



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლაში

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად

ბადრი ოთარაშვილი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ვეფხია გვარამია
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ქ.თბილისი, 0175, საქართველო

2019 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ბადრი ოთარაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლაში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი :

ხელმძღვანელი:

ვეფხია გვარამია

რეცენზენტი:

ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი:

საგამოცდო კომისიაში წარდგენილია 2019 წელს

ბადრი ოთარაშვილი

„საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლაში“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სხდომის ჩატარების თარიღი „-----“ „-----“ 2019 წელი

„ინდივიდუალური პიროვნების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს“.

„ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებას და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდებით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციალურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას“.

ავტორის ხელმოწერა

რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომი ეხება შემდეგ თემას: „საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლაში“, ნაშრომის მიზანია ტერორიზმთან ბრძოლა მისი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „ICC“-ის იურისდიქციაში მოქცევით, რისი საფუძველიც გახდა მასშტაბური ტერორისტული აქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ წლებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და მასთან დაკავშირებული უამრავ ადამიანთა მსხვერპლი, აღნიშნულმა ფაქტორმა ჩამოაყალიბა ახლებური ხედვა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც დღესდღეობით გახდა რეალური და სერიოზული საფრთხე კაცობრიობის პროგრესის, სტაბილურობისა და მსოფლიოს სოციალური უსაფრთხოებისათვის.

ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს უპირველეს მიზანს, უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით უსაფრთხოების თემა ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და პრაქტიკაში. ყოველთვის იყო და რჩება უმნიშვნელოვანეს თემად საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოებას გლობალიზაციის ეპოქაში, მაშინ როცა ეკონომიზაცია, დემოკრატიზაცია და ინფორმატიზაცია ქმნის განვითარებისათვის უპრეცედენტო შესაძლებლობებს, მაგრამ ამავე დროს აქცევს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას უფრო დაუცველად ისეთი გამოწვევებისათვის, როგორცაა ტერორიზმი.

ბუნებრივია, ტექნიკურმა განვითარებამ ტერორიზმი უფრო სახიფათო გახადა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, აქტიურად ებრძვიან ტერორიზმს, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად არის ჩართული საქართველოც. საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს რომ კანონი ეფუძნება „საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და საქართველოს კანონმდებლობას.

ნაშრომის კვლევის მიზანია იურიდიულ, ფილოსოფიურ, და სოციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით კომპლექსურად შესწავლილ იქნას ტერორიზმის არსი, მიზეზები, საპეციფიკა, ფორმები, კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი ხასიათი, ტერორიზმთან ბრძოლის ზოგადთეორიული საფუძვლები, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები.

ნაშრომის კვლევის მიზნების მისაღწევად დასახული ამოცანებია: ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მეთოდების და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გაანალიზება. საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი. ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო თუ საქართველოს საკანონმდებლო სირვცეში არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით მეცნიერული დასკვნის ფორმულირება და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის კვლევის ობიექტია ტერორიზმის ფენომენი - რთული და მრავალმხრივი პოლიტიკური-სოციალური მოვლენა; მისი კონკრეტული გამოვლინებები სამეცნიერო და ტექნოლოგიური რევოლუციის თვალსაზრისით. შესწავლის ობიექტია ტერორიზმის პარადიგმების ტრანსფორმაციის პროცესი, ტერორიზმის მეთოდებისა და ფორმების ანალიზი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში: ნაშრომში ჩამოყალიბებულია ტერორიზმის ფორმები და სახეები გაანალიზებულია ტერორიზმის, როგორც სოციალური მოვლენის ისტორიული განვითარების ფონზე; კვლევაში ტერორიზმის ისტორიული განვითარების კვლევისას დადგინდა მისი მახასიათებლები და ტაქტიკა, რომლებიც ყველა დროისა და ფორმის ტერორიზმს ახასიათებს.

ნაშრომის კვლევის დასასრულს შემუშავდა ტერორიზმის როგორც სოციალური ფენომენის შესახებ დასკვნები და რეკომენდაციები.

ნაშრომის ჰიპოთეზა: ტერორიზმი გლობალური დონის დანაშაულია. ნებისმიერ დანაშაულთან ბრძოლას ესაჭიროება სისტემურობა და კომპლექსურობა, ანუ

ზემოქმედება ყველა ან ძირითად მიზეზებზე და პირობებზე, რომლებიც წარმოშობენ მას, აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლისათვის აუცილებელია მთელი საერთაშორისო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა, კოლექტიური ქმედებების კოორდინაცია გლობალურ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე.

#####

Abstract

Master's Thesis refers to the following theme: „International legal cooperation in the fight against terrorism“ The aim of the work is the fight against terrorism under jurisdiction of the International Criminal Court, Which became the basis Massive terrorist acts that have taken place in many parts of the world in the recent years and the large number of victims associated to those act create a new view of the problem of terrorism that has now become a real and serious threat to human progress, stability and world social security.

First and of course the foremost aim of any independent state is to ensure security. Therefore, the topic of security today is one of the central issues in the theory and practice of international relations. It has always been and remains an important issue for the researchers of international relations. Special importance is given to security in the epoch of globalization, while economicization, democratization and informatization creates unprecedented opportunities for development, but at the same time makes the system of international relations more vulnerable to challenges such as terrorism.

Naturally, technological development made terrorism more dangerous. Leading countries of the world, under the leadership of the United States, are actively fighting terrorism, but still without any results. Georgia is actively involved in the fight against terrorism. It should be noted that the Law of Georgia on Terrorism First of all is based on "internationally recognized principles and norms" in the field of human rights and Georgian legislation.

The objectives and tasks of the thesis research. The purpose of the study is to provide a complex analyze of the essence, reasons, specifics, forms, criminological and criminal character of terrorism, general theoretical basis for combating terrorism, international and internal legal regulatory mechanisms, based on legal, philosophical and social literature.

The tasks for achieving research work objectives are the following: analyzing the deficiencies in the legislation and international and internal methods of combating terrorism. Comparative analysis of Georgian and international legislation, formulation of scientific conclusions and developing practical recommendations for the elimination of problems in the international and Georgian legislation about the fight against terrorism.

The subject of research is the phenomenon of terrorism - a complex and multilateral political-social phenomenon; Its specific manifestations in terms of scientific and technological revolution. The subject of the study is also the transformation of paradigms of terrorism, analysis of methods and forms of terrorism.

Scientific novelty of the research work. The scientific novelty of the research work lies in the following: the research covers the forms and the types of terrorism; terrorism is analyzed as a social event on the background of the historical development. During the research of the historical development of terrorism its characteristics and tactics have been determined which are typical for terrorism of all time and forms.

At the end of the research, the conclusions and recommendations on the terrorism as a social phenomenon were developed.

The hypothesis of the research work: Terrorism is a global offense. The struggle against any crime requires systemicity and complexity, i.e. the impact on all or the major causes and conditions that generate it, therefore it is evident that for effective fight against terrorism the joint efforts of the entire international community and coordination of collective actions on a global, regional and national level are essential.

სარჩევი

შესავალი.....	11
გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა.....	15
თავი I . ტერორიზმის გენეზისის ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები.....	19
1.1. ადრეული ტერორიზმის პერიოდი	20
1.2. ტერორიზმი რევოლუციურ პერიოდში.....	24
1.3. ტერორიზმი ცივი ომის პერიოდში.....	26
1.4.ტერორიზმი თანამედროვე ეპოქაში	29
თავი II. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თეორიული საკითხები	32
2.1. ტერორიზმის დეფინიცია	35
2.2. ტერმინ ტერორის და ტერორიზმის დიფერენცირება.....	44
თავი III ტერორიზმის ფორმები, მიზეზები, მიზნები და გამოწვევები	48
3.1. რელიგიური ტერორიზმი.....	52
3.2. ეთნო-სეპარატისტული ტერორიზმი.....	55
3.2.1. ირლანდიის გამანთავისუფლებელი არმია “IRA”	56
3.2.2. ქვეყანა და თავისუფლება ბასკებს „ETA”	58
3.2.3. თამილ-ილამის გამათავისუფლებელი ვეფხვები „ LTTE”	60
3.3. ტერორიზმი ჩეჩნეთში.....	61
3.4. კიბერტერორიზმი	64
3.5.ბირთვული ტერორიზმი.....	67
3.6. პოლიტიკური ტერორიზმი	69
3.7.სოციალური ტერორიზმი	70
თავი IV . ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმები.....	73
4.1. ერთა ლიგა ტერორიზმის წინააღმდეგ.....	74
4.2. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაეროს) ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში	76
4.3. ევროპის საბჭო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.....	79
4.5. ევროპის კავშირი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში	81

4.6. ინტერპოლი და ევროპოლი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში	83
4.7. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ევროპულ ქვეყნებში	87
4.8. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში	91
4.8.1. ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა	94
თავი V. ტერორიზმის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულად კვალიფიკაციის შესაძლებლობა.....	99
5.1. ტერორიზმის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „ICC“-ის იურისდიქციაში მოქცევის კონცეფცია	99
5.2. როგორ მოვაქციოთ ტერორიზმი „ICC“-ის იურისდიქციაში	103
5.2.1. შესაძლებელია თუ არა ტერორიზმის „ICC“-ის იურისდიქციაში შემავალ დანაშაულების ნაწილად მოაზრება?	103
5.2.2. ტერორიზმის „ICC“-ის იურისდიქციაში დამოუკიდებელ დანაშაულად მოაზრების კონცეფცია.....	107
თავი VI. ტერორიზმის სტატისტიკა.....	113
6.1. ტერორიზმის სტატისტიკა მსოფლიოში	113
6.2. ტერორიზმის სტატისტიკა საქართველოში	115
დასკვნა.....	119
ბიბლიოგრაფია.....	123

შესავალი

მასშტაბური ტერორისტული აქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ წლებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და მასთან დაკავშირებული უამრავ ადამიანთა მსხვერპლი, აყალიბებს ახლებურ ხედვას ტერორიზმის პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც დღესდღეობით გახდა რეალური და სერიოზული საფრთხე კაცობრიობის პროგრესის, სტაბილურობისა და მსოფლიოს სოციალური უსაფრთხოებისათვის.

ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს უპირველეს მიზანს, უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების თემა ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და პრაქტიკაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოებას¹ გლობალიზაციის ეპოქაში, მაშინ როცა ეკონომიზაცია, დემოკრატიზაცია და ინფორმატიზაცია ქმნის განვითარებისათვის უპრეცედენტო შესაძლებლობებს, მაგრამ ამავე დროს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას უფრო დაუცველად აქცევს ისეთი გამოწვევებისათვის, როგორცაა ტერორიზმი.

ბუნებრივია, ტექნიკურმა განვითარებამ ტერორიზმი უფრო სახიფათო გახადა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, აქტიურად ებრძვიან ტერორიზმს, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად არის ჩართული საქართველოც. საქართველოს კანონი² ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ უპირველეს ყოვლისა ეფუძნება

¹ ხუციშვილი, გიორგი: ტერორიზმი : რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ? : [ქართ. და რუს. ენ.]. - თბილისი. გამომც: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთ. კვლევ. ცენტრი, 2003. გვ. 55.

² საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, თბილისი - 2007 წლის 27 ივნისი

„საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და საქართველოს კანონმდებლობას.

იურიდიულ მეცნიერებაში ტერორიზმი სათანადოდ არაა დამუშავებული. ტერორიზმი არის სოციალური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური მაგრამ, უპირველეს ყოვლისა სამართლებრივი, ამასთან სისხლისსამართლებრივი პრობლემა, რადგანაც ტერორიზმი დანაშაულია. ტერორიზმის კრიმინოლოგიური ანალიზი კი საშუალებას იძლევა დასმული პრობლემა ფართო, სოციოლოგიურ ასპექტში გაანალიზდეს, რაც აღნიშნულის შედარებით ღრმა წვდომაში დაგვეხმარება.

ტერორიზმი ხშირად თანაარსებობს³ ისეთ მოვლენებთან, როგორცაა: ეთნიკური სეპარატიზმი, რელიგიური ფანატიზმი, ექსტრემისტული მემარჯვენე, ან მემარცხენე პოლიტიკური მოძრაობები. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 70-იან წლებში მკვლევარებმა გაამახვილეს ყურადღება იმ პერიოდის მსოფლიოში ახლად გამოკვეთილ ტენდენციებზე. კერძოდ, გარკვეული სახელმწიფოთა მხრიდან, სხვა სახელმწიფოების მიმართ, საყოველთაოდ აღიარებულ დიპლომატიურ მეთოდებთან ერთად, ძირგამომთხრელი საქმიანობის წარმოების შესახებ. კერძოდ, ე.წ. რევოლუციის იატაკქვეშა მზადების, ამ მიზნით შესაბამისი კადრების მომზადების, იარაღით და ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, დაფინანსების და პროპაგანდის წარმოების შესახებ. საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, კი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომმა და რუსეთის მხრიდან საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებამ ცხადყო, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული მოთხოვნების უკან რუსეთის სახელმწიფო დგას. აღნიშნულ ვითარებაში დღის წესრიგში დადგა მომხდარის გაანალიზება და მომავალი საფრთხეების პროგნოზირება. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სეპარატიზმის ხელშეწყობიდან ტერორიზმის ხელშეწყობამდე ერთი ნაბიჯია და ზოგიერთ შემთხვევაში, კი ეს ორივე მოვლენა ერთად თანაარსებობს. უკანასკნელ პერიოდში მრავალი სახელმწიფო თავს არიდებს პირდაპირ კონფრონტაციას, რომელმაც შეიძლება

³ გორაშვილი გიორგი: ეთნიკურ-სეპარატისტული ტერორიზმის განვითარების საფრთხე საქართველოში და მისი პროფილაქტიკის გზები - თბილისი. გამომცემლობა : უნივერსალი, 2010 წელი. - გვერდი 96.

დიდი ხარჯები გამოიწვიოს და სასურველი მიზანი მაინც ვერ იქნეს მიღწეული. ამის გამო, აღნიშნული სახელმწიფოები ეძებენ ზემოქმედების სხვა საშუალებებს, მათ შორის, პირველ პლანზე ტერორიზმია.

საქართველოს ისტორიული განვითარების მოცემულ ეტაპზე აუცილებელია გაანალიზდეს ის საფრთხეები⁴, რომელთა წინაშეც შეიძლება ქვეყანა აღმოჩნდეს და დაისახოს პროფილაქტიკის გზები და საშუალებები. მნიშვნელოვანია ტერორიზმის იმ სახეების და ფორმების ცალკე გამოყოფა და შესწავლა, რომელთა წარმოშობის საფრთხე შეიძლება შეიქმნას საქართველოში. საქართველოსთვის ტეროგენულად უნდა ჩაითვალოს რელიგიური და ეთნიკურ-სეპარატისტული ტერორიზმის სახეები.

ტერორიზმი სოციალურ კონფლიქტთა სპექტრში⁵ განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ტერორიზმის გამიჯვნა ომის, პარტიზანული ან ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის, ასევე კონფლიქტის სხვა ფორმებისგან დიდ მნიშვნელობას იძენს, აღნიშნული მოვლენის სწორი შეფასების და მის მიმართ რეაგირების ადეკვატური, სამართლებრივად დასაბუთებული ზომების გასატარებლად.

ტერორიზმთან ბრძოლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნორმატიული საშუალებები, როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივი ასპექტით. კარგად გააზრებული და ეფექტური ანტიტერორისტული კანონმდებლობა არის სახელმწიფოს კონკრეტული სამოქმედო გეგმა და სამართლებრივი დასაყრდენი ტერორიზმთან ბრძოლაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი კონტრტერორისტული კანონმდებლობის არსებობას, რომელიც ეფექტურობასთან ერთად არ არღვევს ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს. ამ კუთხით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კონტრტერორისტული კანონმდებლობის შესწავლა.

⁴ ურუშაძე მერაბ: გლობალიზაცია-გლობალური ტერორიზმის საფრთხე / მერაბ ურუშაძე ; [რედ. მამია ებრალიძე]. - თბილისი. გამომცემლობა უნივერსალი, 2007. გვერდი 112.

⁵ ხუციშვილი გიორგი: ტერორიზმი : რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ? : [ქართ. და რუს. ენ.]. - თბილისი. გამომც: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთ. კვლევ. ცენტრი, 2003 წელი გვერდი 57.

„ტერორიზმი“ „ტერორისტები“, „ტერორისტული საქმიანობა“ – ეს ტერმინები პრაქტიკულად ყოველდღიურად ჩნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რაც ჩვენს მოსახლეობას გაურკვევლობასა და შიშს უნერგავს საკუთარი აწმყოსა და მომავლის, ასევე საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შესაძლო ხელყოფის გამო.

დღეისათვის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის⁶ პრობლემის შესწავლა ორი მიმართულებით მიმდინარეობს.

პირველი მიმართულება უკავშირდება ტერორიზმის, როგორც პოლიტიკური ხასიათის მქონე საერთაშორისო - სამართლებრივი კატეგორიის შესწავლას.

მეორე მიმართულება უკავშირდება სამეცნიერო ნაშრომებს, რომლებშიც ტერორიზმის პრობლემა სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური პოზიციებიდან არის განხილული.

შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტურად ბრძოლის აუცილებლობა აქტუალურს ხდის მოცემულ საკვალიფიკაციო ნაშრომს, ვინაიდან ის ტერორიზმის ცნებისა და არსის, სახეებისა და ფორმების, ტერორიზმის გამო პასუხისგებისა და მისი პრევენციის ზომების კვლევას ეძღვნება.

⁶ სანიკიძე გელა: ტერორიზმი-მართული პროცესები გამომცემლობა საქ. ეროვნ. აკად., ტერორიზმის გნოსეოლ., ისტ. ეტაპების, თანამედროვეობისა და პროფილაქტიკის საერთაშორ. ს/კ ცენტრი. - თბ, 2006. გვერდი 49.

გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობის პროცესში, საკითხის უკეთ გასააზრებლად და ტერორიზმის ცნების, მიზნების, ამოცანების, სახეების, წარმოშობის ისტორიის და მასთან ბრძოლის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივ პერიპეტივებზე ინფორმაციის მოსაძიებლად ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან გამოვიყენე დ.სუჯაშვილის ავტორობით 2018 წელს გამოცემული წიგნი სახელწოდებით „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“, აღნიშნულ ნაშრომში გარკვევით არის ჩამოყალიბებული ზემოაღნიშნული საკითხები, რაც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ტერორიზმის შესახებ.

ტერორიზმი, როგორც საერთაშორისო დანაშაული - აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის მოსაძიებლად ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან გამოვიყენე მ.ურუშაძის ავტორობით 2007 წელს გამოცემული წიგნი სახელწოდებით „გლობალიზაცია-გლობალური ტერორიზმის საფრთხე“, აღნიშნულ ნაშრომში დეტალურადაა განხილული ტერორიზმის, როგორც საერთაშორისო დანაშაულის გლობალური საფრთხეები, მისი განვითარების ეტაპები და ყველა ის ძირითადი საკითხები, რაც ზოგად ინფორმაციას გვაწვდის ტერორიზმის შესახებ.

ნაშრომის შექმნის დროს ასევე დამეხმარა გ.გორაშვილის ავტორობით 2010 წელს გამოცემული წიგნი სახელწოდებით „ეთნიკურ-სეპარატისტული ტერორიზმის განვითარების საფრთხე საქართველოში და მისი პროფილაქტიკის გზები“ სადაც კარგად არის აღწერილი ტერორიზმის სახეები და მისი ფორმები, წიგნში ასევე განხილულია ტეროგენული საფრთხეები საქართველოსთან მიმართებით და მის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია, როგორც საკანონმდებლო ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში ეროვნული უსაფრთხოების გლობალური პრობლემების განხილვის კუთხით ინფორმაციის მოძიებაში დამეხმარა ჯ.გახოკიძის ავტორობით 2007 წელს გამოცემული ნაშრომი სახელწოდებით „ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები“, სადაც კარგად არის ჩამოყალიბებული საქართველოს წინაშე არსებული

უსაფრთხოების პრობლემები ტერორიზმთან მიმართებით და მისი პროფილაქტიკის გზები.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში, საკითხის უკეთ გასააზრებლად და სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ისტორიული პერიპეტებზე ინფორმაციის მოსაძიებლად ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან გამოვიყენე მ.ტურავას 2015 წელს, გამოცემული წიგნი „**სახელწოდებით საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები**“, აღნიშნულ ნაშრომში დეტალურადაა განხილული საერთაშორისო მატერიალური და საპროცესო სისხლის სამართლის ყველა ძირითადი საკითხი. აღნიშნულ წიგნი ყურადღების ცენტრში მოექცა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (1998 წლის) წესდება-რომის სტატუტი, რომელიც წარმოადგენს მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომლის ძალაში შესვლით, პირველად კაცობრიოს ისტორიაში დაფუძნდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო. წინგში განხილულია თანამედროვე საერთაშორისო მატერიალური და საპროცესო სისხლის სამართლის დოგმატიკა, ასევე განხილულია სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილებათა მნიშვნელოვანი ასპექტები. წინგში აგრეთვე განხილულია სისხლის სამართლის დროებითი საერთაშორისო სასამართლოების-ყოფილი იუგოსლავიის და რუანდის ტრიბუნალების წესდებების, დოგმატიკის და სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვანი საკითხები, რამაც ნოყიერი ნიადაგი შექმნა თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებისთვის. წიგნმა ვერც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნის ისტორიულ განვითარებას აუარა გვერდი. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. ნიუბერგის სასამართლო პროცესის ძირითადი ასპექტები და პრინციპები.

ნაშრომის შექმნის პროცესში აგრეთვე ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან დამეხმარა ვ.გვარამიას წიგნი თემაზე: „**საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადიცია**“ 2002 წლის გამოცემა, აღნიშნულ ნაშრომში დეტალურადაა გაანალიზებული საქართველოს მიერ რომის სტატუტის რატიფიკაციის მნიშვნელობა, რაც დაკავშირებული იყო მის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანასთან, რათა იგი შესაბამისობაში ყოფილიყო რომის სტატუტის დებულებებთან. ამ

მიმართაებით ნაშრომში წარმოდგენილია სტატუტის არსი, ის პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს სტატუტის დებულებებიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით განხილულ იქნა მატერიალური და პროცესუალური სამართლის საკითხები, მათ შორის, დებულებები, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფოს თანამშრომლობას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან, ასევე სპეციალური კანონი „სისხლის სამართლის სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“.

ნაშრომის შექმნის პროცესში აგრეთვე ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან დამეხმარა ვ.გვარამიას ნაშრომი თემაზე: **„ინტერპოლი და ევროპოლი საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის მექანიზმები“** 2009 წელს გამოცემული წიგნი, სადაც კარგად არის ჩამოყალიბებული ინტერპოლისა და ევროპოლის როლი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ასევე დამეხმარა როგორც გ.გორაშვილის ავტორობით 2010 წელს გამოცემული სადისერტაციო ნაშრომი სახელწოდებით **„ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება“**, ასევე ა.ჭილიტაშვილის ავტორობით 2009 წელს გამოცემული სადისერტაციო ნაშრომი სახელწოდებით **„ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში“**, სადაც კარგად არის გაშლილი ტერორიზმის სახეები, მათი ფორმები და მასთან ბრძოლის როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ასევე საერთაშორისო მექანიზმები.

ნაშრომზე მუშაობისას დამეხმარა, როგორც უცხოური ლიტერატურიდან, ასევე სტატიებიდან და ინტერნეტ საიტებიდან მიღებული ინფორმაცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, რმელთაგან გამოვყოფდი:

- 1) Ю.С. Горбунов „Террооризм и правовое регулирование противодействия ему“ монография Москва 2008
- 2) В. Замковой М. Ильчиков „Террооризм- Глобальная Проблема Современности“ Москва 1996 г ;
- 3) Ю.В. Чуфаровский, „Терроризм - глобальная проблема современности“ (методологический анализ) Следователь, 1998. №5 ;

- 4). Н. Салимов „Современные проблемы терроризма“ (криминологическое исследование)
Диссертация на соискание ученой степени доктора юр. наук;
- 5) G. E. Fuller, “Redrawing the World’s Borders,” World Policy Journal, Vol. 14, No. 1, Spring 1997;
- 6). „ВИШНЯКОВА Я.Д. „ОСНОВЫ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ ТЕРРОРИЗМУ“ Под редакцией Я.Д.ВИШНЯКОВА Москва. (2006).
- 7) X. A. Льюренте. Критическая история испанской инквизиции. Том I.
- 8). G. E. Fuller, “Redrawing the World’s Borders,” World Policy Journal, Vol. 14, No. 1, Spring 1997
- 9) I. O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins. Countering the New Terrorism. 1999 Rand.
- 10) C. Sterling, The Terror Network: The Secret War of International Terrorism (New York: Reader’s Digest Press, 1981)

ნაშრომში გამოყენებულ სხვა ლიტერატურაში ძირეულადაა განხილული და გაანალიზებული ტერორიზმის ფორმები და მათთან დაკავშირებული უახლოესი გამოწვევები. ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები და საშუალებები ავტორების მიერ ისეა განმარტებული და განხილული, რომ აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკითხველს მისცემს შესაძლებლობას გაერკვიოს მის მნიშვნელობაში. ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურა სრულად შეესაბამება ტერორიზმის საკითხთან დაკავშირებულ საერთაშორისო მიდგომებს და მოსაზრებებს. მასში განხილული მეცნიერების მოსაზრებები ლოგიკურად ავსებს ერთმანეთს და ქმნის ერთ დიდ საბრძოლო სტრატეგიას, რომელიც მიმართულია ტერორიზმის თანამედროვე ფორმების წინააღმდეგ.

თავი I. ტერორიზმის გენეზისის ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები

კაცობრიობის განვითარებამ ტერორიზმის შინაარსზე დიდი გავლენა იქონია. ისტორიულად ტერორიზმი სხვადასხვა ხასიათით და ფორმით გვევლინებოდა ის თავის თავში ასახავდა კონკრეტული პერიოდის თავისებურებებს. ტერორიზმი ყოველთვის განპირობებული იყო კონკრეტული ეპოქის სინამდვილით და თავის მხრივ, დიდ ზეგავლენას ახდენდა მასზე, შესაბამისად მის არსში ჩასაწვდომად აუცილებელია იმის განხილვა, თუ როდის და სად მოხდა მისი აღმოცენება და განვითარება.

თომას მაგდშტადტი წიგნში „გავიგოთ პოლიტიკა“⁷ ტერორიზმის წარმოშობას უკავშირებს რელიგიას, სახელდობრ, სამ საიდუმლოებით მოცულ რელიგიურ სექტას: თუგების, ზელოტების და ასასინების. თუგები - ერთ-ერთი ინდუისტური სექტის წარმომადგენლები იყვნენ, მათ საუკუნეების მანძილზე, რელიგიური მოსაზრებების საფუძველზე, ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს, სექტა საბოლოოდ XIX საუკუნეში დაიშალა, ზელოტები⁸ - ებრაელთა ექსტრემისტული დაჯგუფების წევრები, მკ. წ. 66-73 წლებში ხოცავდნენ განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის მქონე ადამიანებს და ცდილობდნენ რომის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებას, ასასინები - შიიტური ისლამური სექტის წარმომადგენლები, ისლამის „განწმენდის“ მიზნით, მათ სხვა სარწმუნოებების აღმსარებელი უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს XI საუკუნის დასაწყისში.

ტერორიზმი ჩნდება მაშინ, როდესაც საზოგადოება განიცდის ღრმა კრიზისს. ეს კრიზისი, ხშირად იდეოლოგიური ხასიათისაა და დაკავშირებულია სახელმწიფო-სამართლებრივ სისტემასთან. ასეთ საზოგადოებაში ჩნდებიან ხოლმე პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფები, რომლებიც ოპოზიციურად არიან განწყობილი არსებული ხელისუფლების მიმართ და ეჭვქვეშ აყენებენ მის ლეგიტიმაციას.

⁷ მაგდშტადტი თომას, გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, თბ., 2010.

⁸ ზელოტები (მოშურნენი) - ქრისტიანობის ლექსიკონი, პიერო პეტროზილო, თბ., 2011. გვ. 434.

ტერორიზმის ისტორიული განვითარების ეტაპებიდან შეიძლება რამოდენიმე პერიოდი გამოიყოს: ადრეული, რევოლუციური, ცივი ომის დროინდელი და თანამედროვე.

1.1. ადრეული ტერორიზმის პერიოდი

ტერორიზმი როგორც გარკვეული მიზნის მიღწევის ძალადობრივი ხერხი, მსოფლიო ისტორიაში ადრეიდანვე ცნობილია⁹. ანტიკურ ეპოქაში სამეცნიერო ნაშრომებში ტერორის კონცეფცია დანერგა არისტოტელემ განსაკუთრებული ტიპის საშინელების აღსაწერად, რომელიც ტრაგედიით იპყრობდა ბერძნული თეატრის მაყურებელს. ეს იყო საშინელება, რომელიც წარმოდგენილი იყო ტკივილის, ქაოსის და განადგურების სახით. ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო ტერორის გამოჩენის შესახებ აღნიშნულია რომის ისტორიაში. დიქტატორმა ლუციი კორნელი სულამ თავისი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ და დასჯის მეთოდების გასაფართოვებლად გამოიყენა პროსკრიპცია იმ ხალხთა მიმართ, ვინც რომის იმპერიის ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფებოდა. მოქალაქე, რომელიც კლავდა პროსკრიპციაში მითითებულ ადამიანს, იღებდა მოკლული ადამიანის ქონების ნახევარს.¹⁰

იმის მიუხედავად, რომ ტერორიზმი ყოველთვის არსებობდა, იგი სხვადასხვანაირად იწოდებოდა და აღიქმებოდა დროის სხვადასხვა მონაკვეთში.¹¹ ადრეულ საუკუნეებში ტერორიზმი ხელისუფლებისთვის ბრძოლის ერთ-ერთ ხერხდაც კი ჩამოყალიბდა. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ტერორს იყენებდნენ.

ჩვ. წ. ა. I საუკუნეში ამჟამად არსებული ისრაელის ტერიტორიაზე არსებობდა სიკარების ორგანიზაცია, რომელიც ებრძოდა რომაელებისა და იუდეველთა არისტოკრატას და რომელიც თანამშრომლობდა რომთან თავისი ტერიტორიების ავტონომიისათვის. სიკარიელების შეიარაღებული გამოსვლები გადაიზარდა აჯანყებაში, შემდეგ კი

⁹ Ю.В. Чуфаровский, Терроризм - глобальная проблема современности (методологический анализ) // Следователь, 1998. №5

¹⁰ ВИШНЯКОВА Я.Д. (2006). ОСНОВЫ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ ТЕРРОРИЗМУ с. 13.

¹¹ ix. Ю. М. Антонян, Терроризм. Криминологическое и уголовно-правовое исследование. М. Щит-М, 2001. с. 6.

ებრაელთა ომში (ჩვ. წ. აღ. VI საუკუნეში), რასაც შემდგომ მოჰყვა მემბოხეთა მარცხი და მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი გაჭირვება.

ტერორიზმი განსაკუთრებით მძვინვარებდა რევოლუციების დროს, როცა რევოლუციის მოწინააღმდეგეებს (პოლიტიკურ მტრებს) სასტიკად უსწორდებოდნენ.¹² ტერორიზმის (ტერორის) თავდაპირველი გამოვლინებები ისტორიულად შეიძლება ჯერ კიდევ ძველ მონათმფლობელურ მსოფლიოში ვეძიოთ.

ტერორსა და შიშზე იყო დაფუძნებული შუამდინარეთში სარგონის მიერ ჩამოყალიბებული ასურეთის პირველი იმპერია, შემდგომ ანტიკური ხანის სამხედრო იმპერიები.¹³ რომის იმპერიას ტერორის მეთოდი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ჰქონდა აყვანილი. აღნიშნული მეთოდის მეშვეობით იმპერიას მორჩილებაში ჰყავდა, როგორც მონების დიდი მასები, ისე დაპყრობილი სახელმწიფოები და პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, როგორც რომში, ისე მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულის დასტურია სისხლში ჩახშობილი მონათა აჯანყებები. რომში პირველი და მეორე ტრიუმვირატის დროს მასობრივად ხდებოდა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ფიზიკური განადგურება. იმპერატორები ნერონი, სულა, პომპეუსი, ცეზარი და სხვები მოწინააღმდეგეების ფიზიკური განადგურების გარდა, მიზნად ისახავდნენ მათ დაშინებას და იძულებას, გადაეღათ ისეთი ნაბიჯები, როგორც ეს რომის მმართველებს აწყობდათ. ტირანები იხოცებოდნენ, მაგრამ მათ მეთოდები სხვების შეიარაღებაში გადადიოდა.¹⁴

მონათმფლობელურ სახელმწიფოში ტერორიზმის მთავარ სუბიექტს სახელმწიფო წარმოადგენდა, რომელიც იყენებდა ტერორს, როგორც კანონიერ საშუალებას მასობრივი იძულებითი შრომისთვის, საზოგადოების მართვისთვის, ომების წარმოებისთვის, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დათრგუნვისთვის. ტერორისტული საქმიანობა

¹² М. Квачадзе. Характеристика современного терроризма. В кн. Российский ежегодник международного права. 1995, с. 203-204 #f lwdwd#pr |ydclo ld#z1jq1g dq#p#o hnyhlVyl0 l/#j #pdxo dVyl0 l1#g dcdVdxo l#vd{0 ho pzli rvd#g d#vdvdpduWo r#{ho lvxi o helv#z1qddUpg hj #We/#5335.

¹³ Histoire du Terrorisme de l'Antiquite a al Qaida. Sous la direction de Gerard Chaliand et Arnaud Blin, Bayard, Paris, 2004, p.9.

¹⁴ И. И. Карпец, Преступное общество. М.,1983, с. 29.

მიმართული იყო როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე ფუნქციების განხორციელებისკენ. ადრეულ ტერორიზმს პოლიტიკურთან ერთად გააჩნდა ეკონომიკური მოტივაციაც.¹⁵

მონათმფლობელურ საზოგადოებაში გამოყენებული ძალადობა იყოფოდა კანონიერად და კანონსაწინააღმდეგოდ იმის მიხედვით, თუ ვინ ვის მიმართ ახორციელებდა ძალადობას. სახელმწიფოდან მომდინარე ძალადობა, მათ შორის მონის მიმართ, არ ითვლებოდა კანონსაწინააღმდეგოდ. ამგვარად ჩაეყარა საფუძველი მიდგომას, რომ სახელმწიფო ტერორი არის პოლიტიკური ბრძოლის კანონიერი მექანიზმი, ხოლო ოპოზიციური – უკანონო, რომელსაც სახელმწიფო უნდა ებრძოლოს ყველა არსებული საშუალებით.¹⁶

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ქრისტიანების მასობრივი დევნა და მათი განადგურება რელიგიური ტერორის თავისებურ გამოვლინებად უნდა შეფასდეს. რომაელი მმართველების მხრიდან ხშირი იყო ქრისტიანების მასობრივი განადგურების ფაქტები, IV საუკუნეში რომის არმიიდან გაათავისუფლეს ყველა ქრისტიანი, დაანგრეს ეკლესიები, გაანადგურეს საეკლესიო წიგნები, ქრისტიანული აღმსარებლობის შემთხვევაში რომაელები კარგავდნენ მოქალაქეობას. 304 წელს გამოიცა ედიქტი,¹⁷ რომლის მიხედვითაც, ქალაქის მთელი ქრისტიანული მოსახლეობა მსხვერპლად უნდა შეეწირათ კერპებისათვის. ქრისტიანული გადმოცემის თანახმად, პირველ ქრისტიანთა ხვედრი მძიმე იყო, მათ დევნიდნენ, დასცინოდნენ, სიკვდილით სჯიდნენ. მოციქული პეტრე და პავლე 64 წელს აწამეს რომში, სხვა მოციქულების უმრავლესობაც მოწამეობრივად აღესრულა: წმ. მოციქული თომა ინდოეთში, წმ. იაკობ ალფესი ეგვიპტეში ჯვარზე გააკრეს, წმ. იაკობ ზებედესი იერუსალიმში ჰეროდე აგრიპამ სიკვდილით დასაჯა, წმ. იუდა იაკობისა არმენიაში ჯვარზე აღესრულა.¹⁸

XI-XIII საუკუნეებში მუსულმანურმა შიიტურმა ისლამისტურმა სექტამ, რომელიც უმეტესად ცნობილი იყო როგორც ასასინები, ფიზიკურად გაანადგურა სირიის

¹⁵ Ю. С. Горбунов, Терроризм и правовое регулирование противодействия ему. Монография, М, 2008, с. 20

¹⁶ Ю. С. Горбунов, Терроризм и правовое регулирование противодействия ему. Монография, М, 2008, с. 21-22.

¹⁷ С.Г. Лозинский. История папства. 3-е изд. М.,1986, С. 20-21

¹⁸ ქავთარაძე გ., ქრისტიანობის მოსვლა რომის იმპერიის სათავეში, http://www.lib.ge/body_text.php?6527, 2009.

ხელისუფლების წარმომადგენლები. მისი მომხრეები თავისი მმართველის ბრძანებით კლავდნენ ყველა სასიკვდილოდ განწირულს, მიუხედავად ნებისმიერი უსაფრთხოების ზომებისა. 1256 წ. სექტის სათავე - ციხესიმაგრე ალამუტი მოექცა მონღოლების დარტყმის ქვეშ, რომლებმაც მთლიანად გაანადგურეს ასასინები.¹⁹

XII-XIII საუკუნეების რომის იმპერიის ომის ფონზე სამეფო დინასტიის წინააღმდეგ, კათოლიკური ეკლესიის რელიგიურმა ავტორიტეტებმა დაასაბუთეს მონარქების ქვეშევრდომების სამართლებრივი მკვლევლობები. XVI საუკუნეში მონარქომანიის იდეა მეტად აქტუალური გახდა. მოკლულ იქნა უამრავი კათოლიციზმის მოწინააღმდეგე, მათ შორის, ვილჰელმ ორანსკი.

რამდენიმე საუკუნის შემდეგ უკვე კათოლიკური ეკლესია ჯვაროსნული ლაშქრობებით, კოლონიალური დაპყრობითი ომებით ფიზიკური განადგურების შიშით ძალადობით მოაქცევს მრავალრიცხოვან ერებს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. კათოლიკური ეკლესიის მხრიდან ტერორის სახედ შეიძლება მივიჩნიოთ ინკვიზიცია²⁰, რომელმაც განსაკუთრებული მასშტაბები გერმანიასა და ესპანეთში მიიღო²¹. მხოლოდ 1481–1498 წლებში ინკვიზიციის კოცონზე დაწვეს 9 ათასი ადამიანი და 6,5 ათასი იმ ადამიანების გამოსახულება, რომლებმაც თავს გაქცევით უშველეს ანდა განაჩენის აღსრულებამდე წამებით მოკლეს. კონფისკებული იქნა 90 ათასი ადამიანის ქონება.²² აღსანიშნავია ესპანელი კათოლიკეების ომი მავრი მუსულმანების წინააღმდეგ პირინეის ნახევარკუნძულის დასაუფლებლად. მუსულმანები აღნიშულ ნახევარკუნძულს ფლობდნენ XIII საუკუნიდან. 1492 წელს როდესაც ქრისტიანებმა საბოლოოდ გაიმარჯვეს, მუსულმანები დააყენეს არჩევანის წინაშე: ან უნდა გადმოსულიყვნენ ქრისტიანულ რელიგიაზე ან არადა დაეტოვებინათ ქვეყანა. აღნიშნული ულტიმატუმი

¹⁹ ВИШНЯКОВА Я.Д. (2006). ОСНОВЫ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ ТЕРРОРИЗМУ . ст. 15-16

²⁰Х. А. Льюренте. Критическая история испанской инквизиции. Том I.

.www.bookshelf.ath.cx/LIBRARY/CHI/contents.html. 2010.

²¹ Р.Р. Рахманова, Инквизиция. www.atheism.ru/library/Rahmanova_1.phtml 2008

²² Ф.А. Брокгауз, И.А. Ефрон. Энциклопедический словарь. СПб., 1894, Т. 25, Ст. 200.

წაუყენეს ებრაელებსაც, რომელთა რელიგიური თავისუფლება მუსულმანთა მმართველობის პერიოდში ეჭვის ქვეშ არ დამდგარა.²³

1.2. ტერორიზმი რევოლუციურ პერიოდში

თანამედროვე რევოლუციური ტერორიზმი 1800-იან წლებში ანარქისტული ძალადობისაგან წარმოიშვა. დაბნეულობა ამ საკითხში რუსული რევოლუციის შესახებ მცდარი ცნობებიდან მომდინარეობს.

მე-19 საუკუნის შუახანებიდან ტერორიზმმა შინაარსი შეიცვალა და ხელისუფლების წინააღმდეგ რევოლუციურად განწყობილი ძალების შეიარაღებაში გადავიდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ტერორიზმი სხვადასხვა სახის ჯგუფების დასახასიათებლად გამოიყენებოდა, როგორებიც იყო მუშათა ორგანიზაციები, ანარქისტები, ნაციონალური მიმართულების ჯგუფები და სხვანი.²⁴

საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში კლასიკურმა მასობრივმა ტერორმა წარმოაჩინა შიშის მართვის მოდელი და აამუშავა მოძველებული ტერორიზმის მექანიზმი. 1820-იან წლებში იტალიაში წარმოიშვა ნაციონალური ორგანიზაციები, რომლებიც იბრძოდნენ ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად. სიცილიაზე გაჩნდა მაფია ბურბონების მონარქებთან საბრძოლველად. ამავე დროს, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში აღმოცენდა კარბონარიების საძმო, რომლის ქსელიც გავრცელდა მთელს იტალიაში. ამავე პერიოდში, ტერორიზმმა გავრცელება ჰპოვა საფრანგეთში, ავსტრიაში, გერმანიაში. საფრანგეთის მეფე ლუი ფილიპის მიმართ განხორციელდა შვიდი თავდასხმა. ერთ-ერთი თავდასხმის დროს მოკლულ იქნა 18 და დაჭრილი 22 ადამიანი.²⁵

განხორციელებულ ტერორისტულ აქტთა შორის, აღსანიშნავია 1894 წელს იტალიელი ანარქისტის მიერ საფრანგეთის პრეზიდენტის სადი კარნოს მკვლელობა; 1897 წელს, ისევ ანარქისტების მიერ სასიკვდილოდ დაიჭრა ავსტრიის დედოფალი ელიზაბეტა;

²³ А.А. Крамсков. Терроризм и западное христианство. Терроризм и религия. М., 2005. Ст. 49.

²⁴ Dr. D. J.W. Vanderhoof, The Criminology of Terrorism. Copyright © 2001, The University of North Carolina at Pembroke, www.uncp.edu

²⁵ ВИШНЯКОВА Я.Д. (2006). ОСНОВЫ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ ТЕРРОРИЗМУ. . . ст. 20

1900 წელს ტერორისტული აქტის მოწყობით მოკლეს იტალიის ხელმწიფე უმბერტო პირველი, ხოლო 1901 წელს აშშ -ს პრეზიდენტი უილიამ მაკ-კინ-ლი, ²⁶ ამავე დროს ხდებოდა ნაკლებად გახმაურებული ტერორისტული აქტები თეატრებში და რესტორნებში ბომბების აფეთქება, საშუალო და დიდი ოფიციალური პირების მკვლელობები და ა.შ. ანარქო-ტერორიზმი შემცირდა 1910-1920 წლებში.

ტერორიზმი XIX საუკუნეში გახდა პოლიტიკურ ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. XX საუკუნის დასაწყისი ხასიათდება ტერორიზმის ფართო ზრდითა და ხარისხობრივი ტრანსფორმაციით. დამყარდა საერთაშორისო კავშირები ტერორისტებს შორის. ტერორიზმმა მოიცვა ლათინური ამერიკა და აზია, გარდა ამისა, იგი იქცა სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირების ფაქტორად. ტერორისტულ მოძრაობებს მხარს უჭერდნენ ის ქვეყნები, რომლებიც ტერორიზმის თავდასხმის ობიექტის მოწინააღმდეგეები იყვნენ. ტერორიზმი დაიყო გლობალურად და ლოკალურად ორიენტირებულ სახეებად. XX საუკუნეში წარმოიშვა პოლიტიკური მოძრაობები, რომელთაც გააჩნდათ გლობალური ინტერესები და პრეტენზიები, რომლებიც აქტიურად იყენებდნენ ტერორიზმის ტაქტიკას.

“რევოლუციური ხანის” ტერორიზმს აშკარად გამოხატული პოლიტიკური ხასითი ჰქონდა, დამყარებული იყო კარგად გააზრებულ და დამუშავებულ იდეოლოგიაზე. ამ პერიოდის ტერორისტთა მოთხოვნები ძირითადად სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური წყობის დანგრევსკენ, ნაციონალური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების მოპოვებისკენ იყო მიმართული. “რევოლუციური ხანის” ტერორისტული აქტები ობიექტის მიხედვით უფრო სელექციურია, ვიდრე მასობრივი. მკვლევარები “სელექციური” ტერორიზმის ცნებაში რომელიმე ერთი კონკრეტული პიროვნების, ან პირთა ჯგუფის წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტს გულისხმობენ. შემთხვევებს, როდესაც ტერორისტული აქტი პირთა განუსაზღვრელი წრის წინააღმდეგაა მიმართული, “ზრმა” ტერორიზმად მოიაზრებენ²⁷. ტერორისტების მხარდაჭერა სახელმწიფოებრივ დონეზე იქცა საერთაშორისო საქმიანობად რიგ წამყვან

²⁶ История терроризма в России в документах, биографиях, исследованиях, Автор-составитель О. В. Будницкий. Ростов н/д: Феникс, 1996. с. 32-88.

²⁷ В. Замкова, М. Ильчков, Терроризм-глобальная проблема современности, М., 1996, с. 4-5.

ქვეყნებში. პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანია მხარს უჭერდა ირლანდიურ სეპარატისტებს, რომლებიც იბრძოდნენ ბრიტანელების წინააღმდეგ და იყენებდნენ ტერორიზმის მეთოდებს (სამხედრო ობიექტებისა და რესტორნების აფეთქებები სადაც სადილობდნენ ინგლისელი სამხედროები და ა.შ.); რუსეთი მხარს უჭერდა სომხური პარტიის ბოევოკურ ორგანიზაციებს „დამნაკცუთიუნ“ („ერთობა“), რომელიც მოქმედებდა თურქეთის ტერიტორიაზე.

პირველი მსოფლიო ომი დაიწყო ტერორისტ გავრილ პრინციპის გასროლით 1914 წლის ივლისში, მოკლა სარაევოს ერცჰერცოგი ფერდინანდი. ამ ომის შედეგად დაეცა სამი იმპერია. ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში XX საუკუნე ხასიათდებოდა გეოგრაფიული ცვლილებებითა და ტერორიზმის სახეების გამოვლინებით. განსაზღვრული ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორიზმი უფრო მეტად უკავშირდებოდა გარე მხარდაჭერას. ტერორიზმის სახელმწიფო მხარდაჭერა გახდა აგრესიული ტოტალიტარული რეჟიმების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, არსებითად გაფართოვდა ტერორიზმის გეოგრაფია, აღმოსავლეთში გაჩნდა ტერორიზმის კერები.

თანამედროვე ტერორისტული აქტივობისგან განსხვავებით, “რევოლუციური ტერორიზმის” პერიოდი ნაკლები მსხვერპლიანობით ხასიათდება, რადგანაც მისი ობიექტის ქვეშ ძირითადად კონკრეტული პირები ხვდებოდნენ. ტერორისტები შეძლებისდაგვარად თავს არიდებდნენ “უდანაშაულო” მასებში მსხვერპლს. ლიტერატურაში აღწერილია ამ პერიოდის ტერორისტებში გარკვეული ღირსების კოდექსის არსებობაც კი. “ცნობილია მრავალი შემთხვევა, როდესაც ისინი თავს იკავებდნენ ტერორისგან, როდესაც სამიზნე მსხვერპლის ირგვლივ იმყოფებოდნენ ქალები ან ბავშვები.”²⁸

1.3. ტერორიზმი ცივი ომის პერიოდში

მეორე მსოფლიო ომი - კიდევ ერთი ეტაპია ტერორიზმის განვითარების ისტორიაში. ომის შემდგომ პერიოდში ტერორიზმი ხდება გლობალური მოვლენა და განიცდის

²⁸ К.Н.Салимов Современные проблемы терроризма (криминологическое исследование) Диссертация на соискание ученой степени доктора юр.наук. 2000 с. 18

შემდგომ ხარისხობრივ ცვლილებებს. 1939 წლამდე ტერორიზმის ობიექტები ძირითადად იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, სამხედრო მოსამსახურეები, რეჟიმთან თანამშრომელი პირები, მაგრამ არა მშვიდობიანი მოსახლეობა. ნაციზმმა, ჰიროსიმამ და ნაგასაკიმ 1945 წ. (აშშ-ს პრეზიდენტის ჰ. ტრუმენის ბლძანებით ატომური დაბომბვის შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება) გლობალური მასშტაბით შეცვალა დამოკიდებულება ადამიანის სიცოცხლის ფასეულობებზე. ჩამოყალიბდა თანამედროვე ტერორიზმის თეორია და პრაქტიკა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ტერორიზმის ძირითად დეტერმინანტებად გვევლინება ორი დიდი ბანაკის: სოციალისტურის და კაპიტალისტურის დაპირისპირება და დეკოლონიზაციის პროცესების ტალღა. ამ პერიოდში ტერორიზმად შეფასდა ევროპული კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ნაციონალური ჯგუფების საქმიანობა. 1945 წლის შემდეგ დეკოლონიზაციის პროცესებმა ტერორიზმის მძლავრი ტალღა მოიტანა, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, როგორცაა აფრიკის ჩრდილოეთი და საჰარის რაიონი, სამხრეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი აზია, აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთი.²⁹

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა და დეკოლონიზაციის პროცესი არ შეიძლება გაიგივდეს ტერორიზმთან, თუმცა ძალიან ხშირად არა მხოლოდ დოქტრინაში, არამედ ზოგიერთი ქვეყნის ოფიციალურ წყაროებში, ზემოაღნიშნული მოვლენები ერთმანეთთან იგივდება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური წყობის ბანაკი: სოციალისტური და კაპიტალისტური. აღნიშნული დაპირისპირება “ცივი ომის” სახელითაა ცნობილი და ითვლება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დამთავრდა. მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკური ვითარება ტერორისტული აქტივობის მძლავრი დეტერმინანტი აღმოჩნდა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი არნახული ტერორისტული მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამ პერიოდში განსაკუთრებული აქტივობით მოქმედებდნენ მემარჯვენე თუ მემარცხენე, ეთნო-ნაციონალური თუ რელიგიური მიმართულების ჯგუფები. აღსანიშნავია, რომ

²⁹ G. E. Fuller, “Redrawing the World’s Borders,” *World Policy Journal*, Vol. 14, No. 1, Spring 1997. p. 100

ზემოხსენებულ პერიოდში ტერორიზმის დინამიკაზე უდიდეს გავლენას სწორედ „ცივი ომი“ ახდენდა. მართალია აღნიშნულ პერიოდში არსებობდნენ ტერორისტული ჯგუფები, რომლებიც მოქმედებდნენ ისე, რომ არ შედიოდნენ მჭიდრო კონტაქტში, ან არ ექვემდებარებოდნენ დაპირისპირებულ მხარეებს, მაგრამ ასეთი ჯგუფები ზოგადი წესიდან უფრო გამონაკლისს წარმოადგენდნენ. ზუსტად აღნიშნულ პერიოდში აქტუალური გახდა მოვლენა, რომელიც შემდგომ ტეროლოგებმა დაახასიათეს როგორც „სახელმწიფოს ხელშეწყობით წარმოებული ტერორიზმი“.

ორი დიდი ბანაკი, რომელთა სათავეში, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირი, ხოლო, მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები იდგა, არიდებდა თავს პირდაპირ კონფრონტაციას, თუმცა ცდილობდა დაესუსტებინა მოწინააღმდეგე არაპირდაპირი, დიპლომატიურად მიუღებელი მეთოდებით. დაპირისპირებულები აწარმოებდნენ ერთმანეთის მიმართ ძირგამომთხრელ საქმიანობას და სხვა საშუალებებთან ერთად ეფექტურად იყენებდნენ ტერორიზმს. მაშინ, როდესაც მიღებული, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით დაშვებული მეთოდებით ომის წარმოება საკმაოდ ძვირი უჯდება სახელმწიფოს, ტერორიზმი წარმოადგენს მოწინააღმდეგის თანდათანობითი დასუსტების ეფექტურ გამოსავალს, გააჩნია ერთგვარი სისხლის გამოშვების ეფექტი. საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ერთმანეთის წინააღმდეგ სხვადასხვა ტერორისტული ჯგუფების წაქეზებით, დაფინანსებით და ხელშეწყობით ცდილობდნენ დაესუსტებინათ მოწინააღმდეგე და მოეპოვებინათ მსოფლიო ჰეგემონობა³⁰. ტერორიზმმა ახალი ძალა შეიძინა 1960-იან წლებში და ფანატიკოსების ხელში პოლიტიკურ იარაღად იქცა. ტერორიზმი XX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ უფრო განვითარდა და დღემდე რეალურ საფრთხეს წარმოადგენს³¹.

ტერორისტული ეპოქა, რომელსაც ტერორიზმის “ცივი ომის ხანა” ვუწოდეთ, გაჯერებულია სოციალისტური და კაპიტალისტური ბანაკების დაპირისპირების მუხტით. ამ პერიოდის მემარცხენე თუ მემარჯვენე, რელიგიური და ეთნო-

³⁰ გორაშვილი გ., „ტერორიზმის კრიმინალური დახასიათება“, (სამაგისტრო ნაშრომი) თბილისი 2010, გვ. 33

³¹ გოგოლიძე ი. (n.d.). უსაფრთხოების დილემა და გლობალური გამოწვევები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი ; გვ.11-12

ნაციონალური ტერორისტული ჯგუფების უმრავლესობა განიცდიდა ერთი, ან მეორე ბანაკის ზეგავლენას, ჰქონდა მათგან აქტიური მხარდაჭერა, ანდა სარგებლობდა პასიური მდუმარებით, რაც თანხმობის ნიშანს წარმოადგენდა.

1.4. ტერორიზმი თანამედროვე ეპოქაში

თანამედროვე ტერორიზმი სათავეს განმანათლებლობის ეპოქაში იღებს, იგი ევროპაში წარმოიშვა და მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში გავრცელდა. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან თანამედროვე ტერორიზმი მსოფლიოს სერიოზულ პრობლემად იქცა, რაც უკავშირდება პოლიტიკური პარტიების, სოციალური ფენების იდეოლოგიების ჩამოყალიბებას. ტერორი ეს არის დანაშაული, რომლის მიზანსაც ხელისუფლების დაშინება, იძულება და მასზე ზემოქმედება წარმოადგენს. ტერორიზმის მიზეზებად დასახელებულია: ნეოკოლონიალიზმი, რასიზმი, აგრესიის პოლიტიკა, პოლიტიკური რეჟიმის არადემოკრატიულობა, უსამართლობა, სეპარატიზმი, რელიგიური ფანატიზმი და ა.შ.შ...³²

ოცდამეერთე საუკუნე კაცობრიობის ტერორიზმის ისტორიაში 2001 წლის 11 სექტემბერის ნიუ-იორკის ცათამბჯენის ტყუპებზე განხორციელებული ტერაქტით გამოირჩევა, რა დროსაც ხუთი ათასზე მეტი ადამიანი სიცოცხლეს გამოესალმა. ნიუ-იორკს მალე მოსდევს მადრიდი (2004 წლის 11 მარტი) და ბესლანი (2004 წლის 1 სექტემბერი), რითაც ოცდამეერთე საუკუნის ტერორიზმმა განაცხადა, რომ იგი ისეთი ძლიერია და სისხლიანი, როგორც არასდროს. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭომ განაცხადა, რომ “საერთაშორისო ტერორიზმი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საფრთხეს 21-ე საუკუნის მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროებისათვის.”³³

³² ჰელიძე ს. ტერორიზმის გამოწვევები საქართველოში. (2011). კრიმინოლოგი. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი 1(6) .

³³ S.C. Res. 1377, Annex, U.N. Doc. S/res/1377 . www.un.org. 2001.

თანამედროვე ტერორიზმი გაცილებით უფრო მეტ მსხვერპლს მოითხოვს, ვიდრე ოდესმე. მსხვერპლიანობის ზრდის ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ როგორც ხალხი, ისე მასობრივი საინფორმაციო საშუალებები თითქოს შეეჩვია და დაკარგა მგრძობელობა ტერორისტთა ტრადიციული ქმედებების მიმართ. აღნიშნულმა ფაქტორმა ტერორისტებს უზიძგა იმოქმედონ უფრო დრამატულად, დაღვარონ უფრო მეტი სისხლი, რათა მიაღწიონ ძველებურ ეფექტს. ტერორისტებს დიდი მსხვერპლი აძლევს გარკვეულ გარანტიას იმისა, რომ მათი ქმედებები სათანადოდ გაშუქდება საინფორმაციო საშუალებებში და მიიპყრობს საზოგადოების ყურადღებას.”³⁴

თანამედროვე ტერორიზმის თვისებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი გამოიყოს :

პირველ ასეთ მახასიათებელად შეიძლება მივიჩნიოთ ტერორისტული ჯგუფების მიერ საერთაშორისო ქსელის შექმნა, რომლის მეშვეობითაც ისინი თანადგომას უწყვენ ერთმანეთს.³⁵

მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ სახელმწიფოთა მხრიდან ტერორიზმის მხარდაჭერა ცივი ომის პერიოდს არ ჩაბარებია.³⁶

თანამედროვე ტერორიზმის მესამე მნიშვნელოვან მახასიათებლად შეიძლება გამოიყოს ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება.³⁷ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები საშუალებას აძლევს პატარა ჯგუფს იმოქმედოს ფართო შესაძლებლობებით. ტერორისტებმა თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები შეიძლება გამოიყენონ ორი მიმართულებით: პირველი, როგორც იარაღი თავიანთი მიზნების მისაღწევად; მეორე, როგორც ტერორისტული ხელყოფის ობიექტი.

თანამედროვე ტერორიზმის მეოთხე მახასიათებელი რელიგიურად მოტივირებული ტერორისტული აქტივობის ხვედრითი წილის ზრდაა.

³⁴ I. O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins. Countering the New Terrorism. 1999 Rand, p.13.

³⁵ C. Sterling, The Terror Network: The Secret War of International Terrorism (New York: Reader.s Digest Press, 1981)

³⁶ Terrorism: national security policy and the home front. Stephen C.Pelletiere Editor May 15, 1995 Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, Pa 17013-5050. p. 53.

³⁷ S. C.Pelletiere, Terrorism: national security policy and the home front. Editor May 15, 1995 Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, Pa 17013-5050. p.64.

თანამედროვე ტერორისტული ტაქტიკა შეიძლება ამჟამადაც იგივეა, რაც ერთი საუკუნის წინ, მაგრამ ტექნოლოგიურმა მიღწევებმა იგი გაცილებით ეფექტური გახადა. ტექნოლოგიური მიღწევების წყალობით შესაძლებელი გახდა გლობალური საერთაშორისო ტერორიზმი. გადაადგილების თანამედროვე საშუალებების წყალობით ტერორისტებს შეუძლიათ იერიში მიიტანონ დედამიწის ნებისმიერ კონტინენტზე. ინტერნეტი, რადიო, ტელევიზია და თანამგზავრული კავშირი უზრუნველყოფს მომენტალურ დაკავშირებას ფართო აუდიტორიასთან. იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებები ადვილად მოსაპოვებელი გახდა. თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებას გააჩნა მრავალი სუსტი წერტილი, დაწყებული საჰაერო ხომალდებიდან და დამთავრებული ატომური რეაქტორებით.³⁸

თანამედროვე ტერორიზმზე მსჯელობისას აუცილებლად აღსანიშნავია ტერორისტების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაც, დაწყებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, კომპიუტერული პროგრამებით და ინტერნეტით დამთავრებული. ზოგიერთ მათგანს საკუთარი ელექტრონული ვებგვერდებიც კი გააჩნია. მაგალითად, “ჰეზბოლას” ინტერნეტში სამი პროპაგანდისტული ხასიათის საიტი აქვს. კავკასიელ მოჯაჰედებს, რომლებიც იბრძვიან რუსეთისგან ჩრდილოეთ კავკასიის გამოყოფისა და მუსულმანურ იმირატად ჩამოყალიბებისთვის, აქვთ საინფორმაციო ვებგვერდი, სადაც დეტალურად არის აღწერილი მათი აქტივობა, სამომავლო მიზნები, იდეოლოგიური პლატფორმა³⁹.

გამომდინარე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, ტერორიზმის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის განხილვისას ცხადი გახდა, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, დროის ამა თუ იმ პერიოდში ტერორიზმი ვითარდებოდა და ვლინდებოდა სხვადასხვა გვარად, ყოველივე ეს კი ფაქტობრივად იმაზე მიაიშნებს, რომ ტერორიზმი ყოველთვის „ახალი“.

³⁸ B. M. Jenkins, International Terrorism The Other World War. 1985. Rand. p.12

³⁹ www.kavkazcenter.com. 2010.

თავი II. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თეორიული საკითხები

ტერორიზმმა, როგორც მოვლენამ, განვითარების ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი განვლო, რომელიც მოიცავს “ზილოტ სიკარებისა” და “ჰაშაშინების” საქმიანობას, პარიზის ქუჩებში დატრიალებულ იაკობინელთა ტერორს, რუსი რევოლუციონერების ბრძოლას, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩაღებულ ანტიკოლონიურ მოძრაობებს, მემარჯვენე, მემარცხენე, რელიგიურ, ეთნო-ნაციონალური მიმართულების ჯგუფების ტერორისტულ საქმიანობას. საფრთხის უზარმაზარი მნიშვნელობის გამო, ტერორიზმზე ბევრი ითქვა და დაიწერა. მოვლენას სხვადასხვა კუთხით და სხვადასხვა ასპექტით იხილავდნენ და იკვლევდნენ, თუმცა ვერანაირად ვერ მოხერხდა ტერორიზმის, როგორც სოციალურ-სამართლებრივი მოვლენის, ერთიანი, ყველასათვის მისაღები იურიდიული განსაზღვრების შემუშავება, ხოლო ერთიანი ნორმატიული განსაზღვრების გარეშე, შეუძლებელია ერთიანი სამართლებრივი მიდგომებიც. ამიტომაც, რომ, თუკი საზოგადოების ერთი ნაწილისთვის გარკვეული ჯგუფი ტერორისტულია, მეორე ნაწილისთვის ეროვნულ-ნაციონალური, რელიგიური, ან სოციალური უფლებებისათვის მებრძოლია. საყოველთაოდ ცნობილი განცხადება იმის შესახებ, რომ ერთისთვის ტერორისტი, თავისუფლებისთვის მებრძოლია მეორესთვის იქცა არა მხოლოდ ერთგვარ კლიშედ, არამედ ერთ-ერთ რთულად გადასალახავ წინააღმდეგობად ტერორიზმთან ბრძოლაში.⁴⁰ სიტყვა “ “Terrere” ” (ტერერე) ლათინურად დაშინებას ნიშნავს⁴¹, იგი ორი მნიშვნელობით გამოიყენება: პირველი - “შიში”, “საშინელება”, მეორე - “დაშინების საშუალება”, “შიშის საგანი”, “საშიში გარემოება”.⁴² ლათინური “Terrere” - დან არის ნაწარმოები ფრანგული სიტყვა “terreur”-ი, რომელიც, თავის მხრივ, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ძალადობრივი სოციალური მოვლენის აღმნიშვნელად იქცა. ფრანგული განმარტებითი ლექსიკონი ტერორიზმს განმარტავს როგორც “რევოლუციური ჯგუფების მიერ ჩადენილი ძალადობრივი აქტების

⁴⁰ იხ. В.В. Устинов *Международный опыт борьбы с терроризмом, стандарты и практика*. М., 2002, с. 8

⁴¹ იხ. *Histoire du Terrorisme de l'Antiquité à al Qaida*. Sous la direction de Gerard Chaliand et Arnaud Blin, Bayard, Paris, 2004, p. 9

⁴² იხ. Ю. С. Горбунов, *Терроризм и правовое регулирование противодействия ему*. Монография. М., 2008, с. 16

ერთობლიობას, რაც ტერორიზმის მეშვეობით მიზნად ისახავს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას.” ტერორიზმადაა, აგრეთვე, მიჩნეული “სახელმწიფოს მიერ დამყარებული ძალადობრივი რეჟიმი”.⁴³ ს. ოჟეგოვის და ნ. შვედოვას რედაქციით გამოცემული რუსული განმარტებითი ლექსიკონი ტერორიზმს განმარტავს, როგორც “ტერორის პოლიტიკასა და პრაქტიკას”, რაშიც იგულისხმება “პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დაშინება, გამოხატული ძალადობაში, თვით მათ ფიზიკურ განადგურებამდე”, აგრეთვე “მოსახლეობის დაშინება”⁴⁴. დაშინება, ძალადობრივი ქმედება, ძალადობა ან მისი გამოყენების მუქარა.⁴⁵ ტერორიზმზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როდესაც ქმედების საზრისს შიშის დანერგვა, დაშინება შეადგენს, ეს არიტერორიზმის უძირითადესი ნიშანი...⁴⁶ ტერმინი “ტერორი” და მისგან ნაწარმოები ტერორიზმი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის (1789-1794), კერძოდ, კი იაკობინელთა დიქტატურის, პერიოდში იქცა ძალისმიერი გზით მიზნის მიღწევის გარკვეული მეთოდის აღმნიშვნელად, რომლის საფუძველიც მოწინააღმდეგის დაშინება, თავზარის დაცემა, მისთვის პერმანენტული შიშის განცდის თავს მოხვევაა. “ტერორის”, როგორც სისტემატურად გამოყენებული ძალადობის კონცეფცია, რომელიც მიმართულია გარკვეული პოლიტიკური შედეგების მიღწევისკენ, ჩამოაყალიბა მაქსიმილიან რობესპიერმა საფრანგეთის რევოლუციის დროს: “საჭიროა დავთრგუნოთ რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მტრები, ანდა დავიღუპოთ რესპუბლიკასთან ერთად. ასე რომ, აღნიშნულ სიტუაციაში ჩვენი პოლიტიკის უპირველესი მიზანია ვმართოთ ხალხი გონიერების, ხოლო ხალხის მტრები ტერორის მეშვეობით. თუკი სახალხო სახელმწიფოს დასაყრდენი მშვიდობის დროს არის კეთილგონიერება, რევოლუციის დროს კეთილგონიერებასთან ერთად აუცილებელია ტერორიც; კეთილგონიერების გარეშე ტერორი დამღუპველია; ტერორის გარეშე კეთილგონიერება უსუსური.”⁴⁷ იაკობინელთა ტერორით ბატონობის დროს, მხოლოდ 1793 წლის შემოდგომიდან 1794

⁴³ იხ. Larousse trois volumes en couleurs. Tome trois. Librairie Larasse, P., 1966. P. 828

⁴⁴ იხ. С. И. Ожегов, Н.Ю. Шведова «Толковый словарь русского языка». М., 1995 г., с. 784

⁴⁵ იხ. В. Даль, Толковый словарь живого великорусского языка. Т. IV. –М.: «Русский язык», 1980. с. 401; С.И. Ожегов Словарь русского языка. –М.: «Русский язык», 1968.с. 784

⁴⁶ იხ. Ю. М. Антонян Терроризм. Криминологическое и уголовно-правовое исследование. М.: Щит-М, 2001. с. 8

⁴⁷ იხ. М. Robespierre, “Principes de morale politique,” <http://membres.lycos.fr/discours/1794.htm>

<http://membres.lycos.fr/discours/1794.htm>. 2009

წლის ზაფხულამდე სიკვდილით დაისაჯა დაახლოებით 40 ათასი ადამიანი, განადგურდა ათასობით რეალური, თუ პოტენციური მოწინააღმდეგე, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. მათი უმრავლესობა საერთოდ უდანაშაულო ადამიანი იყო. ტერორის კონცეფციის მამამთავარს მაქსიმილიან რობესპიერს, თვითონ უაღრესად მორალურ პიროვნებას, სურდა ჩამოეყალიბებინა იდეალური საზოგადოება, რომელიც მარადიული ეთიკური პრინციპების შესაბამისად იქნებოდა მოწყობილი, თუმცა ამ კეთილშობილური მიზნების მიღწევის საშუალებად მან ტერორი შეარჩია.⁴⁸ ტერორიზმი, როგორც გარკვეული მიზნის მიღწევის ხერხი, გამართლებულია ზოგიერთი სოციალური ჯგუფისთვის. საინტერესოა, რომ გაეროს ტერორიზმის პრობლემათა კვლევის სპეციალური, საერთაშორისო კომიტეტის მიერ ტერორიზმის გამოძვევ მიზეზებად დასახელებულია : ნეოკოლონიალიზმი, რასიზმი, აგრესიის პოლიტიკა, ოკუპაცია და მისი შედეგები : უსამართლობა, უთანასწორობა, ჩაგვრა და ექსპლუატაცია. ტერორიზმის⁴⁹ დეტერმინანტებად ზემოაღნიშნული მიზეზების დასახელება, გარკვეულწილად, ამართლებს ტერორისტებს, ანიჭებს მათ მართალი საქმისთვის წამებულთა სტატუსს, ჰქმნის მათგან გოლიათთან მებრძოლი დავითის სახეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარკვეულ წრეებში ყალიბდება აზრი ტერორისტების ქმედებების ლეგიტიმურობის შესახებ ტერორისტული საქმიანობის ლეგიტიმაცია გამოიხატება იმაში, რომ ტერორისტები ბოროტებას ებრძვიან და თავისი საქმით კეთილი შედეგის მიღწევა სურთ. აღნიშნულში მდგომარეობს ტერორისტული იდეოლოგიი საკვანძო საკითხი, რომელიც გაცილებით ადრე, საუკუნეების გადაღმა, თეორიულად წამოაყენა ნიკოლო მაკიაველმა, ხოლო იეზუიტთა ორდენმა სამოქმედო დევიზად აღიარა : მიზანი ამართლებს საშუალებას.~ აღნიშნული დევიზი მუდამ თან სდევს ყველა დროის და მიმართულების ტერორისტულ იდეოლოგიას, როგორც თვითგამართლების უნიკალური საშუალება. ტერორისტული თვითგამართლების დოქტრინა მდგომარეობს იმაში, რომ სიმართლისთვის მებრძოლები იძულებულნი არიან დაადგნენ ტერორისტული მეთოდებით ბრძოლის გზას, რადგან სხვა არჩევანი არ

⁴⁸ იხ. С. А. Эфи́ров Покушение на будущее. Логика и футурология «левого» экстремизма. М.: Мол. гвардия, 1984. сс. 145-153

⁴⁹ იხ. UN.Doc. A/C.6/34/5 SR.10. P. 14.

გააჩნიათ და რადგან ნათელი მიზნის მიღწევა სურთ, ზუსტად ამგვარი იდეოლოგიით ცდილობენ ისინი ლეგიტიმურობის მოპოვებას და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში აღწევენ კიდევაც მიზანს. როგორც ერნესტ გენრი ამბობდა : ტერორისტებს, მათ ორგანიზაციებს რომ არ ჰქონდეთ გარკვეული სოციალური ჯგუფებისგან მხარდაჭერა ტერორისტულ საქმიანობაში, იდეებში, ფინანსურ უზრუნველყოფაში, ლეგიტიმურობისთვის ბრძოლაში, დღემდე, ალბათ, აღარცერთი ტერორისტული ორგანიზაცია არ იარსებებდა. მის წინააღმდეგ დაუძინებელი ბრძოლის მიუხედავად, ტერორიზმი ვითარდება, იძენს ახალ მომხრეებს, ხორციელდება ახალი ტერორისტული აქტები...⁵⁰ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენ სამართლიანიც არ უნდა იყოს მიზეზი, ვერასოდეს ვერ გაამართლებს ტერორისტულ საშუალებებს. ტერორისტული საშუალებები არის აღნიშნული სამართლიანი საფუძვლების დისკრედიტაცია.⁵¹ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მოგვიანებით მიღებულ 1269-ე რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ წარმომშობი მიზეზების და დასახული მიზნების მიუხედავად, ტერორიზმის ნებისმიერი გამოვლინება დანაშაულია. `უპირობოდ განიკითხავს ტერორიზმის ყოველ აქტს, მეთოდს და პრაქტიკულ გამოვლინებას, როგორც დანაშაულებრივს და გაუმართლებელს, მისი მოტივაციის, ფორმის, ჩადენის ადგილის და ჩამდენი პირების მიუხედავად, განსაკუთრებით კი ისეთს, რომელიც ხელყოფით ემუქრება საერთაშორისო მშვიდობას და უშიშროებას.⁵²

2.1. ტერორიზმის დეფინიცია

შეფასების ორმაგი სტანდარტის და ტერორიზმის საყოველთაოდ მიღებული იურიდიული დეფინიციის არარსებობის პირობებში, როგორც დოქტრინაში, ასევე, ოფიციალურ ნორმატიულ აქტებში, ხშირია ტერორიზმის აღრევა სხვა სოციალურ-სამართლებრივ მოვლენებთან. განსაკუთრებით ხშირია ომის, პარტიზანული ბრძოლის, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის, დეკოლონიალიზაციის პროცესების ტერორიზმთან გაიგივება. ზოგიერთი ავტორი ტერორიზმისა და ძალადობის სხვა

⁵⁰ იხ. Г.Э. Против терроризма. М.: АПН, 1981. с. 8

⁵¹ იხ. G. P. Shultz, Terrorism and the Modern World., Terrorism: An International Journal 7, 1985, №.4, p. 437

⁵² იხ. 1999 წლის 1269-ე რეზოლუცია. S/Res/1269 www.un.org, 1999

ფორმების განმასხვავებელ ინდიკატორად ასახელებს პოლიტიკური ოპონენტების სხვადასხვა მეთოდებით სისტემატურ დაშინებას მათზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.⁵³ მოცემული ინდიკატორი არსებითად არასაკმარისია აღნიშნულ სოციალურ მოვლენებს შორის ასე თუ ისე მკვეთრი ზღვარის გასავლელად. იმის გამო, რომ ტერორიზმი არ არის მოქცეული მკაცრ იურიდიულ ჩარჩოებში, საზოგადოებაში გავრცელდა მისი არასამართლებრივი, პოპულისტური გაგება. ტერორიზმის ცნება ასახავს გარკვეულ სოციალურ-სამართლებრივ მოვლენას. დღეს ასეთი დოქტრინული, საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში შემუშავებული ტერორიზმის ცნებათა რიცხვი, ზოგიერთ ავტორთა მონაცემებით, ორ ასულს აღემატება და ჯერჯერობით არცერთი საყოველთაოდ აღიარებული არ არის. ტერორიზმის იურიდიული განსაზღვრების გარშემო აზრთა ასეთი სხვადასხვაობა, ჩვენი აზრით, გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით:

- 1) ტერორიზმის მრავალფეროვანი და რთული ბუნებით, რის გამოც ჭირს მოვლენის ზოგად-იურიდიული ანალიზი და მოქნილი სამართლებრივი ნორმის ჩამოყალიბება;
- 2) მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე ტერორიზმის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებით, ე.წ. ორმაგი სტანდარტების არსებობით. **(ტერორიზმისთვის ხელის შეწყობიდან მასთან ბრძოლამდე);**
- 3) თვითონ ტერორიზმის, როგორც სოციალური მოვლენის განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთულობით.

ტერორიზმი ხომ ყოველთვის გარკვეული პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებოდა, მიუხედავად იმისა, თუ რა სარჩული ედო მას, ნაციონალური, რელიგიური თუ სხვა. ტერორიზმის ცნების შემუშავება უმნიშვნელოვანესია. აღნიშნული ჩამოყალიბებს ერთიან მიდგომას სახელმწიფოთა მხრიდან, გამიჯნავს ერთმანეთისგან ზემოქმედების სამართლებრივ და უკანონო საშუალებებს.⁵⁴

⁵³ იხ. Ю. С. Горбунов, Терроризм и правовое регулирование противодействия ему. Монография. М. 2008, с. 16

⁵⁴ იხ. V. Nanda, The Role of International Law in Combating Terrorism, 10 Mich. St. U. Dcl. Intl L. pp. 603, 604 2001.

საერთაშორისო სიხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში ტერორიზმის ვერ მოხვედრის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეიძლება ტერორიზმის იურიდიული ცნების არარსებობაც მივიჩნიოთ.⁵⁵ ტერორიზმის აკრძალვა ერთ ქვეყანაში არ არის საკმარისი ტერორისტული თავდასხმების თავიდან ასაცილებლად სხვა დანარჩენ ქვეყნებში, ვინაიდან ტერორიზმი მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის გლობალურ პრობლემად ჩამოყალიბდა. საყოველთაოდ მიღებული ცნების არსებობა აუცილებელია მსოფლიოში “ერთნაირი მინიმალური იურიდიული სტანდარტის” დასადგენად. ტერორისტების მიერ გამოწვეული მავნე შედეგი შეიძლება სხვადასხვა სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით ისჯებოდეს სამართლის ზოგადი ნორმებით, მაგალითად, მკვლელობა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ა.შ.

მიუხედავად ტერორიზმის საერთო სამართლებრივი დეფინიციის არ არსებობისა, საერთაშორისო სამართალი ავალდებულებს სახელმწიფოებს ებრძოლონ ტერორიზმს⁵⁶ და განახორციელონ შიდა სახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ტერორისტული დანაშაულების კრიმინალიზაცია.⁵⁷ გაეროს უშიშროების საბჭოს 1373-ე რეზოლუციის მიხედვით, სახელმწიფოებს ეკისრებათ მნიშვნელოვანი ვალდებულებები ტერორიზმთან ბრძოლის ასპექტით⁵⁸. ტერორიზმის ერთიანი იურიდიული დეფინიციის არარსებობის პირობებში ღიად რჩება საკითხი, რას და ვის უნდა ებრძოლონ სახელმწიფოებმა, შესაბამისად, აღნიშნული ხდება იმის საბაზი, რომ ზოგიერთი სახელმწიფო საერთოდ თავს არიდებს ტერორიზმთან ბრძოლის ვალდებულებას, ზოგიერთი კი ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით ახშობს კანონიერ პოლიტიკურ ოპოზიციას. მაგალითად, რუსეთში და ეგვიპტეში ტერორიზმთან ბრძოლის სახელით კანონიერი პოლიტიკური ოპოზიციის სტრუქტურა განადგურდა. საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიღებული აქვს 21 გლობალური და რეგიონალური შეთანხმება, აქედან 12 გლობალურ

⁵⁵ იხ. R. J. Goldstone & J. Simpson, Evaluating the Role of the International Criminal Court as a Legal Response to Terrorism, 16 Harv. Hum. Rts. №. 13,14. 2003.

⁵⁶ იხ. M. Flory International Law: Instruments to Combat Terrorism, in Terrorism and International Law 31, Rosalyn Higgins & Maurice Flory eds., 1997.

⁵⁷ იხ. S.C. Res. 1373, U.N. Doc. S/Res/1373. Sept. 28, 2001

⁵⁸ იხ. Human Rights Watch, in the Name of Counter-Terrorism: Human Rights Abuses Worldwide. 2003, <http://www.hrw.org/un/chr59/counter-terrorism-bck.pdf>

კონვენციას წარმოადგენს. გაეროს ერთ-ერთი ბოლო კონვენცია ბირთვული ტერორიზმის აღმოფხვრის წინააღმდეგ არის მიმართული.⁵⁹ ტერორიზმთან მიმართებით საერთაშორისო სამართლისთვის დამახასიათებელი დღევანდელი ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ აქცენტი გადატანილია საერთაშორისო კონვენციების დებულებების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ასახვაზე და არა ტერორიზმის საყოველთაოდ აღიარებული დეფინიციის შემუშავებაზე, საერთაშორისო დანაშაულად გამოცხადებაზე.⁶⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ერთ-ერთი დეფინიციის მიხედვით: ტერორისტია ნებისმიერი ადამიანი, რომელიც გარკვეული ქვეყნის მხრიდან აღიარების უქონლობის მიუხედავად, მოქმედებს მარტო, ან როგორც გარკვეული ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც არ არის მიჩნეული საკუთარი ერის ოფიციალურ ნაწილად და მოქმედებს, რათა გაანადგუროს, ან დააზიანოს სამოქალაქო მოსახლეობა, აგრეთვე, რათა გაანადგუროს ან დააზიანოს საკუთრება, რომელიც ეკუთვნის სამოქალაქო მოსახლეობას ან ხელისუფლებას, გარკვეული პოლიტიკური მიზნის მიღწევის მიზნით. ტერორიზმი არის სამოქალაქო პირების სიცოცხლის განადგურება ან ჯანმრთელობის დაზიანება, აგრეთვე, სამოქალაქო, ან სახელმწიფო საკუთრების განადგურება ან დაზიანება, ჩადენილი გარკვეული ქვეყნის ხელისუფლების ოფიციალური გადაწყვეტილების გარეშე, გარკვეული ინდივიდუმებისა თუ ჯგუფების მიერ, რომლებიც მოქმედებენ ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად ან ხელისუფლების დაკვეთით ან თანხმობით და ცდილობენ პოლიტიკური მიზნის მიღწევას.⁶¹ ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივი დებულებების ქმედითობა დამოკიდებულია კონკრეტულ სახელმწიფოთა შიდასამართლებრივ ბაზაზე. საერთაშორისო სამართლისაგან განსხვავებით, სადაც ტერორიზმის საყოველთაოდ აღიარებული და ნათელი დეფინიციის არარსებობა ფატალურ პრობლემას არ წარმოადგენს, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ტერორისტული

⁵⁹ იხ. საერთაშორისო კონვენცია ბირთვული ტერორიზმის აღმოფხვრის შესახებ (ღია ხემოსაწერად 2004 წლის 14 სექტემბრიდან)

⁶⁰ იხ. Davis Polk & Wardwell, Defining Terrorism: The Evolution of Terrorism as a Legal Concept in International Law and its Influence on Definitions in Domestic Legislation, New York, Boston College International & Comparative Law Review, HeinOnline - 29 B. C. Int'l & Compo L. Rev. 23 2006. p.35.

⁶¹ იხ. <http://www.inlink.com/civitas/mun/res9596/terror.html>

დანაშაულობების ზუსტ და ამომწურავ განსაზღვრებას უნდა შეიცავდეს.⁶² მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყნის სამართლებრივ სისტემას გააჩნია სადავო საკითხები დოქტრინული თვალსაზრისით, იურისპრუდენციაში უდავო ჭეშმარიტებად ითვლება ის, რომ სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს კანონის სწორად განმარტებას და ერთგვაროვნად გამოყენებას.⁶³

ტერორიზმის შიდასამართლებრივი დეფინიციის შემუშავებას გააჩნია ოთხი ძირითადი ფუნქცია: **პირველი**, შიდასამართლებრივ მექანიზმებზე და მოკიდებული კონკრეტული პირებისთვის (ფიზიკური ან იურიდიული) “ტერორისტის” ან “ტერორისტული ორგანიზაციის” სისხლისსამართლებრივი სტატუსის მინიჭება. აღნიშნული სტატუსი შესაძლებლობას იძლევა კონფისკაციას ან გაყინვას დაექვემდებაროს ტერორისტული დანაშაულების ჩამდენ პირთა ფინანსური აქტივები. ტერორისტული ხასიათის დანაშაულების ჩადენაში ეჭვიმტანილების მიმართ განხორციელდეს კონკრეტული საგამომიებო მოქმედებები: დაკავება, დაკითხვა, გაძლიერებული თვალთვალი და სხვა.

მეორე, შიდასამართლებრივი დეფინიცია ტერორიზმს გამიჯნავს სხვა მსგავსი დანაშაულებისგან.

მესამე, საფუძვლად უდევს შიდასახელმწიფოებრივი სტრუქტურების კოორდინაციას. მაგალითად შეერთებულ შტატებში ტერორისტული ხასიათის დანაშაულებს იძიებს გამომიების ფედერალური ბიურო, იუსტიციის სამინისტრო და არა ადგილობრივი პოლიცია, რაც პრობლემის მოგვარებაში სპეცსამსახურების ჩართვის შესაძლებლობას იძლევა.

მეოთხე, ა) ტერორიზმის ზუსტი დეფინიცია აუცილებელია კონტრტერორისტული საშუალებების და მეთოდების სწორი შერჩევითთვის სახელმწიფოს ძალისმიერი ორგანოების მხრიდან, ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით;⁶⁴ ბ) სამოქალაქო

⁶² იხ. Davis Polk & Wardwell, Defining Terrorism: The Evolution of Terrorism as a Legal Concept in International Law and its Influence on Definitions in Domestic Legislation, New York, Boston College International & Comparative Law Review, HeinOnline -29 B. C. Int'l & Compo L. Rev. 23 2006 p.69

⁶³ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა “მერიდიანი”, 2007 წ., გვ. 90.

⁶⁴ იხ. W. M. Reisman, International Legal & sponses to Terrorism, 22 Hous. J. Int'l I. № 3, 1999. p.9

საზოგადოების კანონიერი უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვის თავიდან აცილებისთვის; გ) ტერორისტების ეფექტურად გამოვლენისა და დასჯისთვის; დ) ორგანიზებული დანაშაულობის სხვა ფორმებისგან ტერორიზმის გამიჯვნისთვის.⁶⁵

ტეროლოგიაში ტერორიზმის ორ ასეულზე მეტი ცნებაა შემუშავებული, საილუსტრაციოდ მიზანშეწონილია რამდენიმე მათგანის განხილვა: ვ. ვიტიუკი აყალიბებს ტერორიზმის ძირითად ნიშნებს: 1. ტერორიზმი არის პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი და სისტემატური ძალადობრივი ქმედებების განხორციელებასთან. ტერორიზმი ორგანიზებული დანაშაულობისგან პოლიტიკური ბუნებით განსხვავდება. 2. ტერორიზმს ახასიათებს არა მარტო ამა თუ იმ გავლენიანი პირების, არამედ თვით ხელისუფლების და გარკვეული სოციალური ჯგუფების, ფიზიკური პირების დაშინება. 3. ტერორიზმს ახასიათებს ტაქტიკა, რომელიც მდგომარეობს პოლიტიკური მკვლევლობების სისტემატურ ორგანიზებაში, რაც არ არის დაკავშირებული მასების რევოლუციურ ბრძოლასთან.⁶⁶

რ. ერიქსონის აზრით, ტერორიზმი არის ძალადობის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება ან გამოყენების მუქარა, მიმართული ინდივიდების წინააღმდეგ, შიშის გამოსაწვევად, რათა აიძულოს ან დააშინოს სახელმწიფო, საზოგადოება ან ინდივიდი, პოლიტიკური, სოციალური, თუ იდეოლოგიური მიზნების მიღწევისთვის.⁶⁷

ტერორიზმის იურიდიული დეფინიციის განხილვისთვის მნიშვნელოვანია ალექს შმიდტის ნაშრომი, აღნიშნულ ნაშრომში მას გაანალიზებული აქვს ტერორიზმის 140-ზე მეტი განსაზღვრება, რომელიც შემუშავებულია 1936- 1981 წლებში. ამ შესწავლის შედეგად, მან გამოყო ტერორიზმის მახასიათებელი 22 ძირითადი შემადგენელი ელემენტი და 20 ძირითადი მიზანი (რომლის მიღწევისკენაც ყველაზე ხშირად არის ხოლმე მიმართული ტერორისტული საქმიანობა). ტერორიზმის ძირითად ელემენტებს

⁶⁵ იხ. D. Polk & Wardwell, Defining Terrorism: The Evolution of Terrorism as a Legal Concept in International Law and its Influence on Definitions in Domestic Legislation, New York, Boston College International & Comparative Law Review, HeinOnline -- 29 B. C. Int'l & Comp. L. Rev. 23, 2006. p.70

⁶⁶ იხ. В. В. Витюк Социальная сущность и идеино-политические концепции современного левого терроризма. Автореф. дисю доктю философ.наук. М.,1985, С. 9

⁶⁷ იხ. R. J. Erikson. Legitimate USE of military forse against state-sponsored international terrorism. Air University Press Maxwell Air Force Base, Alabama 36112-5532. 1989.p.22

შეადგენს: 1) ძალადობა; 2) პოლიტიკური ხასიათი; 3) დაშინება, ტერორი; 4) მუქარა; 5) ფსიქოლოგიური ეფექტები და აღნიშნულით გამოწვეული რეაქცია; 6) მსხვერპლისა და საფრთხის დიფერენციაცია 7) მიზანმიმართული, დაგეგმილი, სისტემატური და ორგანიზებული მოქმედება; 8) ბრძოლის მეთოდი, ერთგვარი სტრატეგია, ტაქტიკა; 9) მიღებული ნორმების, ჰუმანიტარულის ჩათვლით, განსაკუთრებით უხეში დარღვევა; 10) თანხმობის მიღწევის იძულებითი, გამოძალვითი ხასიათი; 11) საქმიანობის ფართოდ გახმაურება, რეკლამირება; 12) განურჩევლობა მსხვერპლის შერჩევისას; 13) სამოქალაქო საზოგადოებაზე, შეუიარაღებელ ადამიანებზე თავდასხმა; 14) დაშინება; 15) მსხვერპლის უდანაშაულობა; 16) ჯგუფი, მოძრაობა, ან ორგანიზაცია, როგორც სამართალდამრღვევი; 17) სიმბოლური, დემონსტრაციული ხასიათი; 18) მოულოდნელობა არაპროგნოზირებადობა; 19) საიდუმლო ხასიათი; 20) განმეორებადობა, სერიული ხასიათი, ძალადობის ერთგვარი კამპანია; 21) ტერორიზმის დანაშაულებრივი ხასიათი. 22) მოთხოვნები, რომლებიც მიმართულია მესამე პირებზე.⁶⁸

რაც შეეხება ტერორიზმის ძირითად მიზნებს, შმიდტის აზრით, ესენია: 1) ტერორიზება, ფართო მასების დაშინება; 2) ხელისუფლების მხრიდან რეპრესიების პროვოცირება; 3) ძალების მობილიზება; 4) მასებში საკუთარ მოქმედებებზე დადებითი ან უარყოფითი შეხედულების შექმნა, საზოგადოების პოლარიზაცია და რადიკალიზაცია; 5) პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება, გარკვეული ხელისუფლების დამხობა; 6) წინააღმდეგობის დასუსტება და განადგურება; 7) თანხების მოპოვება, შეიარაღების შეძენის ანდა სხვა აქტივობის დასაფინანსებლად; 8) სიძლიერის შენარჩუნება, კარგი დისციპლინა, მოქნილი მმართველობა, სამიზნე ჯგუფების გადმოზიდება და მათი ერთგულების მიღწევა; 9) საზოგადოების დემორალიზაცია, მასში არეულობის, უწყობის შეტანა, პერმანენტული განგაშის და აფორიაქებულობის განწყობის ჩამოყალიბება, პანიკური, კოლაფსური კლიმატის შექმნა; 10) სახელმწიფო საკუთრების, მისი მოსამსახურეების განადგურება და დაზიანება, სახელისუფლებო ძალების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის თავიდან აცილების მიზნით; 11) ხელისუფლების დასუსტება

⁶⁸ იხ. A. P. Schmid, Political Terrorism: A Research Guide to Concepts, Theories, Data Bases and Literature, Amsterdam: North-Holland Publishing Co., 1983, pp. 76 -77.

და დისკრედიტაცია, ხელისუფლების უძლურების დემონსტრაცია, რათა განადგურებული იქნეს დემოკრატიული ინსტიტუტები, დამსხვრეულ იქნეს საზოგადოების რწმენა საკუთარი ხელისუფლების მიმართ; 12) ტერორისტული საქმიანობის დაგეგმვა საზღვარგარეთ; 13) საკუთარი თავის რეკლამირება, საზოგადოების ყურადღების მიქცევა, მისი მხარდაჭერის მოპოვება. 14) სახელმწიფო აპარატისა და უსაფრთხოების სამსახურისთვის დაბრკოლებების შექმნა, შეფერხება; 15) ახალი კადრების მოზიდვა ტერორისტული საქმიანობისათვის; 16) ტერორისტული ჯგუფის შიგნით, აგრეთვე, მის მხარდამჭერებში გარკვეული მორალური დოგმების თუ ნორმების შექმნა; 17) ტერორისტული ჯგუფის ფარგლებში მკაცრი დისციპლინის შენარჩუნება, მოღალატეების და შინაგანაწესის დამრღვევთა დასჯა; 18) გამარჯვების მიღწევა იძულებითი დათმობების ხარჯზე (მაგ. დაპატიმრებულ თანამებრძოლთა გათავისუფლება და ა.შ.); 19) ტერორისტული ჯგუფის მოწინააღმდეგე ძალებისთვის დახმარების გამწევ, ან რაიმე სხვა ბრალის მქონე წევრთა დასჯა; 20) საზოგადოებაზე, სახელმწიფოზე დომინირებული მდგომარეობის მიღწევა, მათი დაქვემდებარება და პარალიზება, დამონება და დაშინება.

ტერორიზმის მახასიათებელი 22 ელემენტიდან და 20 მიზნიდან ავტორი ხუთ ძირითადს გამოყოფს თითოეულისთვის.

კერძოდ, ტერორიზმის ხუთი ძირითადი ელემენტია: 1) ძალადობა, 2) პოლიტიკური ხასიათი, 3) ტერორი ანუ დაშინება, 4) მუქარა, 5) მესამე პირებზე ზემოქმედება.

რაც შეეხება ტერორიზმის ხუთ ძირითად მიზანს ესენია: 1) მასების დაშინება და ტერორიზება, 2) ხელისუფლების მხრიდან განურჩეველი რეპრესიების პროვოცირება, 3) ტერორისტული ძალების გაძლიერება, მობილიზება და ხელისუფლების ძალების შესუსტება, 4) საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენა დადებითი ან უარყოფითი ფორმით, 5) პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება და მმართველი რეჟიმის დამხობა.⁶⁹

შეიძლება ითქვას, რომ ტერორიზმის ერთიანი ცნების შემუშავება არა მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, არამედ ერთი სახელმწიფოს შიგნითაც საკმაოდ ჭირს. 1985

⁶⁹ იხ. A. P. Schmid, დასახელებული ნაშრომი, გვ. 97-99.

წელს აშშ-ის სენატის მითითებით ყველა სამთავრობო დაწესებულებას დაევალა შეემუშავებინა ტერორიზმის განსაზღვრება საკუთარი შეხედულების შესაბამისად.⁷⁰ საბოლოო ჯამში ყველა ფედერალურმა დაწესებულებამ შეიმუშავა ტერორიზმის საკუთარი დეფინიცია და, მიუხედავად განსაზღვრებების დიდი სიმრავლისა, ისინი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ, რაზეც უოლტერ ლაკუარმა, საერთაშორისო სტრატეგიული კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა, განაცხადა, რომ მხოლოდ აშშ-ის მთავრობამ შეიმუშავა ტერორიზმის უამრავი განსაზღვრება, რომელთაგანაც ერთმანეთის იდენტური არცერთი არ არის.⁷¹ აშშ-ს სამთავრობო დაწესებულებების მიერ შემუშავებულ ტერორიზმის განსაზღვრებათა შორის მნიშვნელოვანია შემდეგი:

1) ვიცე პრეზიდენტის მიზნობრივი ჯგუფი: ტერორიზმი - ძალადობის უკანონო გამოყენება, ანდა ასეთი ძალადობის მუქარა, მიმართული ადამიანებისა ანდა საკუთრების მიმართ, პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მიღწევის მიზნით. როგორც წესი, ხელისუფლების, ადამიანთა ანდა ჯგუფების დაშინების ან იძულების განზრახვით, მათი ქმედებისა თუ პოლიტიკის შეცვლის მიზნით.⁷²

2) სახელმწიფო დეპარტამენტი: წინასწარ განზრახული, პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა, მიმართული მშვიდობიანი სამიზნის წინააღმდეგ, ჩადენილი ნაციონალისტური მიმართულების ჯგუფების თუ სახელმწიფოს საიდუმლო აგენტების მიერ, როგორც წესი, ფართო მასებზე ზემოქმედებისთვის.⁷³

3) თავდაცვის სამინისტრო: ტერორიზმი - ეს არის ძალადობის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება, ან მისი გამოყენების მუქარა, პირთა თუ საკუთრების წინააღმდეგ,

⁷⁰ იხ. Senate, Committee on the Judiciary, Subcommittee on Security and Terrorism, Report on .State-Sponsored Terrorism, . 99th Cong., 1st sess., June 1985.

⁷¹ იხ. W. Laqueur, .Reflections on Terrorism, . Foreign Affairs. №1. 1986 p. 65

⁷² იხ. Vice President, Public Report of the Vice President.s Task Force on Combatting Terrorism. Washington, D.C., February 1986, p. 1

⁷³ იხ. . Department of State, Patterns of Global Terrorism: 1984. Washington, D.C.: November 1985, inside front cover

ხელისუფლებისა, თუ საზოგადოების დაშინებები ან იძულებისათვის, პოლიტიკური, რელიგიური და იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად.⁷⁴

არაბული კონვენცია „ტერორიზმის აღკვეთის შესახებ“⁷⁵ - ტერორიზმი არის ნებისმიერი აქტი ან ძალადობის მუქარა, მიუხედავად მისი მოტივებისა ან მიზნებისა, რომელიც ინდივიდუალური ან კოლექტიური ფორმით მიმართულია საზოგადოებაში შიშის დასანერგად, ფიზიკური ზიანის მისაყენებლად ან სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ხელყოფის მიზით, ასევე ყველა ის ქმედება, რომლის შედეგად საფრთხე ემუქრება გარემოს, კერძო და საჯარო საკუთრებასა და ეროვნულ რესურსებს.

მიუხედავად ბევრი მცდელობისა შექმნილიყო ტერორიზმის საერთო განსაზღვრება აღნიშნული საკითხი დღესაც აქტუალურია და დღის წესრიგშია, თუმცა მაინც არსებობს ყველაზე გავრცელებული და მიღებული ტერორიზმის შემდეგი დეფინიცია:

ტერორიზმი არის ძალადობრივი ქმედების გამოყენება, რათა წარმოქმნას შიში - პოლიტიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად. ტერორისტული აქტი მიმართულია სამოქალაქო სამიზნეების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს მაქსიმალურ რეზონანსსა და ყურადღების მოპყრობას.⁷⁶

2.2. ტერმინ ტერორის და ტერორიზმის დიფერენცირება

სამეცნიერო წრეებში სირთულეს წარმოადგენს ტერორის და ტერორიზმის ცნებების ურთიერთგამიჯვნა და ხშირად ლიტერატურაში ისინი სინონიმებადაც კი გამოიყენება, თუმცა აღნიშნული ცნებები ერთი და იმავე სოციალური დატვირთვით არ ხასიათდებიან. ტერორის და ტერორიზმის ცნებების ურთიერთმიმართების შესახებ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების კლასიფიკაცია სამ ძირითად ჯგუფადაა შესაძლებელი:

⁷⁴ იხ. Defense Department: Terrorism is the unlawful use or threatened use of force or violence against individuals or property to coerce or intimidate governments or societies, often to achieve political, religious, or ideological objectives. Source: <http://www.periscope.usni.com/demo/terms/t0000282.html>.

⁷⁵ Arab convention for the Suppression of terrorism 1998.

⁷⁶ დ.სუჯაშვილი, „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი, 2018 წ. გვ.18.

1) როდესაც ტერორისა და ტერორიზმის ცნებები იდენტური სოციალური მოვლენების გამომხატველადაა მიჩნეული.

2) როდესაც ტერორს უფრო ფართო მნიშვნელობა ეძლევა, ხოლო ტერორიზმი განხილულია როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, მისი გამოხატულება.⁷⁷

3) როდესაც ეს ორი ცნება მკვეთრადაა გამიჯნული.

ცნებებს “ტერორსა” და “ტერორიზმს” შორის არსებობს მკვეთრი ზღვარი, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ნაწარმოებია პირველისგან. “ტერორიზმი - ეს არის პირველ რიგში, სუსტების იარაღი, რომელსაც იყენებენ იმის გამო, რომ მათ არ შეუძლიათ მოწინააღმდეგესთან პირდაპირი შერკინებით მიაღწიონ გამარჯვებას (ამ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა ომს), “ტერორი, კი არის მათი იარაღი ვის ხელშიცაა ხელისუფლება, რაც ანიჭებს მას ოფიციალურ (ინსტიტუციონალიზებულ) ხასიათს.”⁷⁸ “ტერორი - ეს არის რეპრესიის პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც ემყარება მის ძალისმიერ ინსტიტუტებს.

ტერორის იარაღი - რეპრესიაა, ტერორიზმის იარაღი - ტერორისტული აქტი.”⁷⁹ საკმაოდ ორიგინალური მოსაზრება აქვს გამოთქმული აღნიშნულ საკითხზე ეფიროვს. მისი აზრით, ტერორიზმი შეიძლება მოვიაზროთ ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. ფართო მნიშვნელობით ტერორიზმს ავტორი მიაკუთვნებს სახელმწიფო ტერორს, ტერორისტულ პოლიტიკას, სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის ყველა სახეს და გენოციდს. ვიწრო მნიშვნელობით ტერორიზმად შეიძლება განვიხილოთ სისხლისსამართლებრივად რელევანტური კონკრეტული ტერორისტული აქტები. ტერორის ცნებაში ავტორი მოიაზრებს იმავე შინაარსს, რაც აღნიშნულ ცნებას ჰქონდა იაკობინელთა დიქტატურის დროს, კერძო კი, სახელმწიფო ტერორს.⁸⁰ ჩვენი აზრით, სამივე მოსაზრებას თავისი სუსტი მხარე გააჩნია. ამოვალთ იმ დებულებიდან, რომ

⁷⁷ იხ. С. И. Ожегов, Н.Ю. Шведова Толковый словарь русского языка. М., 1994. С. 784

⁷⁸ იხ. М.В. Назаркин. Криминологическая характеристика и предупреждение терроризма. Диссертация на соискание ученой степени к.ю.н, М.1998, с. 30.

⁷⁹ იხ. Е. Кожушко Современный терроризм, анализ основных направлений. Минск, 2000, с.10

⁸⁰ იხ.Ю. М. Антонян Терроризм. Криминологическое и уголовно-правовое исследование. М. Щит-М, 2001. с.11

ტერორს ჩვენ განვიხილავთ როგორც ხერხს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ერთმა მხარემ დაშინებით აიძულოს მეორე მხარე შეასრულოს მისთვის სასურველი ქმედება.

აქედან გამომდინარე, **ტერორი**, როგორც ხერხი და მეთოდი, არსებობს როგორც შედარებით უფრო ფართო, ზოგადსოციალური მოვლენა **ტერორიზმისგან** განსხვავებით. **ტერორი** თანაარსებობს ომებთან, რევოლუციებთან, აჯანყებებთან, სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის შიგნით ტოტალიტარულ, ხოლო ქვეყნის გარეთ კოლონიალურ პოლიტიკასთან და სხვა. ტერორი ზემოაღნიშნული მოვლენების ნაწილს წარმოადგენს. **ტერორი** პოულობს გამოხატულებას სისხლის სამართლის დანაშაულებშიც, რომელთა შორის **ტერორიზმიცაა**. ზოგიერთი ავტორი სისხლის სამართლის მთელ რიგ დანაშაულებს გამოყოფს ტერორიზმის ელემენტებით.⁸¹

ტერორიზმი შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც სისხლის სამართლებრივი დანაშაული (შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტით), რომელსაც გააჩნია ნორმატიულად განსაზღვრული ნიშნები. ტერორი, მართალია, ტერორიზმშიც პოულობს გამოხატულებას, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, გაცილებით ფართო სოციალურ სპექტრზე ვრცელდება. გაეროს მხრიდან აღიარებული იქნა თვითგამორკვევის უფლება, თუმცა ამ უფლების ფარგლები გაუგებარია, რა შემთხვევაშია სახეზე ტერორიზმი და რა შემთხვევაში ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა.⁸²

სახელმწიფოები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ნაციონალურ გამათავისუფლებელი ბრძოლისთვის მხარდაჭერით, ცდილობდნენ აღნიშნული მიზნის მისაღწევად მიმართული ქმედებები ტერორიზმის დეფინიციის ქვეშ არ მოქცეულიყო. მაშინდელი მსოფლიოს პოლარიზაცია საბჭოთა დასავლურ და მესამე მსოფლიოს

⁸¹ იხ. В. П. Емельянов, Уголовная Ответственность за Терроризм и Преступления с Признаками Терроризиввния. Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук. М.1998. с. 30 доктора юридических наук. М.:2001. с. 104 – 193.

⁸² იხ. J. E. Alvarez, The u.n. s 'War' on Terrorism, 31 Int'l. Legal Info. 2003. P. 238

ქვეყნების ბანაკებად, ტერორიზმის ცნების განსაზღვრის საკითხებშიც განსხვავებულ მიდგომებს განაპირობებდა.⁸³

⁸³ იხ. P. J. Van Krieken, Terrorism and the International Legal Order With Special Reference to the Un, the Eu and Cross-Border Aspects 13 (2002) p. 114.

თავი III ტერორიზმის ფორმები, მიზეზები, მიზნები და გამოწვევები

როგორც უკვე ავლინიშნეთ, ტერორიზმი არ არის ახალი ფენომენი - იგი უკვე დიდი ხანია ძალადობრივი ქმედების მეთოდია. დღესდღეობით, თანამედროვე ცივილიზაციისათვის ტერორისტული საქმიანობა გახდა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა. ტერორიზმის წარმოშობა მიდის ძალიან შორს, საუკუნეებს მიღმა. თუმცა, ტერორიზმის პრობლემა განსაკუთრებით მწვავე დღევანდელობაშია, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა გამწვავებასთან და მსოფლიო საზოგადოებას შორის მძიმე კონფლიქტებთან. ხდება ექსტრემისტულად განწყობილი პირების, ჯგუფებისა და ორგანიზაციების მიერ ტერორისტული აქტების მოწყობის ზრდა, იზრდება ტერორისტული აქტების დახვეწილობა და ანტიჰუმანურობა. ტერორიზმი გახდა ნამდვილი კატასტროფოგენური ფაქტორი ადამიანთა საზოგადოებაში და მომგებიანი საქმე მათი ორგანიზატორებისათვის.⁸⁴

ტერორისტული საქმიანობა - მიუხედავად მიზეზისა - მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ტერორისტული აქტის განხორციელების ორგანიზებას, დაგეგმვას, მომზადებას და რეალიზაციას;
- ტერორისტული ქმედების გაღვივება, ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციებისადმი ძალადობა, მატერიალური ობიექტების განადგურება;
- უკანონო შეიარაღებული ფორმირების, დანაშაულებრივი საზოგადოების (კრიმინალური ორგანიზაცია), ორგანიზებული ჯგუფის შექმნა, ტერორისტული აქტის ჩასადენად ან/და მასში მონაწილეობის მისაღებად;
- შეიარაღება, მომზადება და ტერორისტების გამოყენება;

⁸⁴ Савельев С. (n.d.). *Терроризм – прибыльный бизнес для его организаторов*. Retrieved from <http://www.sec4all.net/modules/myarticles/article.php?storyid=607>; <http://www.inforos.ru>
ст.11

➤ ტერორისტული ორგანიზაციის და დაჯგუფების შეგნებულად დაფინანსება ან რაიმე სხვა სახის დახმარების გაწევა.⁸⁵

როგორც უკვე აღინიშნა, ტერორიზმი მრავალფეროვანია და შეიძლება სხვადასხვა ფორმით და სახით გამოვლინდეს. ეს შეიძლება იყოს: სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეებისა და მთავრობის წარმომადგენლების მკვლელობა; მძევლად აყვანა, ბანდიტიზმის ზოგიერთი ფორმა; დანაშაულებრივი ქმედებებს მოსდევს უდანაშაულო ადამიანების სიკვდილი, სახელმწიფოთა მიმართ დიპლომატიურ საქმიანობაში, საერთაშორისო კონტაქტებსა და შეხვედრებზე, სახელმწიფოთაშორის სატრანსპორტო კავშირების ხელის შეშლა; სახელმწიფო ტერორიზმი, რომლის ხშირ შემთხვევაში გადაზრდა ხდება აგრესიაში; შეიარაღებული ჯგუფების გაგზავნა (მათ შორის დაქირავებული), რომლებიც იყენებენ შეიარაღებულ ძალას სხვა სახელმწიფოს მიმართ. აქედან გამომდინარე, ამ სფეროს რეგულირება პირველ რიგში ორიენტირებული უნდა იყოს ტერორისტული აქტის ჩადენის მეთოდზე. ყველა ტერორისტული აქტი იწარმოება შესაძლო საერთაშორისო რეაქციის მაქსიმალურად მისაღწევად, მედიასაშუალებების მხრიდან ფართოდ გასაშუქებლად ან დიდი თანხების მისაღებად. ეს შეიძლება იყოს: საერთაშორისო ხაზების თვითმფრინავის გატაცება, უცხოელი დიპლომატებისა და სამხედრო პირების მოტაცება, საელჩოების დაპყრობა, თავდასხმა პირებზე, რომელთაც გააჩნიათ მსოფლიო აღიარება, თვითმფრინავების აფეთქებები და ა.შ...

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ტერორიზმის პრობლემა იმდენად აქტუალურია, რომ მისი შედეგების იგნორირება შეუძლებელია. ტერორიზმის განმარტებები მრავალცრიცხოვანია, თუმცა თითქმის ყველა მათგანი ითვალისწინებს რამდენიმე ფაქტორს: ძალადობა, მოხდარი ფაქტის გახმაურების სურვილი, პოლიტიკური მოტივი და მოსახლეობის გამიზნული დაშინება. ცხადია, რთულია ტერორიზმის ცნების ზუსტი განსაზღვრა იმ სტრატეგიული ორიენტაციების

⁸⁵ Лекарев С. (n.d.). *Особенности терактов на территории современной России*. Retrieved from www.oxpaha.ru, <http://www.sec4all.net/modules/myarticles/article.php?storyid=238>. Ст .13

პოლისემიური ხასიათის გამო, რომელსაც ის მოიცავს.⁸⁶ არსებობს ტერორიზმის რამდენიმე ფორმა:

სახელმწიფო ტერორიზმი

როცა ხელისუფლება მისივე ქვეყნის მოქალაქეებზე ახორციელებს ტერორისტულ აქტებს. სტეფან სლოანის მიხედვით, სახელმწიფო ტერორიზმი არის “ხანგრძლივი პოლიტიკური ომი არაპირდაპირი აგრესიის ფორმით”.⁸⁷ ტერორიზმის ექსპერტის, პაულ ვილკინსონის აზრით, “ინტერნაციონალური ტერორისტული თავდასხმები უბრალოდ ომის წარმოების განსხვავებული საშუალებაა”,⁸⁸ ბრაიან ჯენკინსის აზრით, “ტერორიზმი მართლაც იქცა ომის წარმოების ახალ მეთოდად. . .”⁸⁹

სახელმწიფო ტერორიზმის ქვეშ იგულისხმება აგრესიული ქმედებები, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ ქვეყანაში სამხედრო ძალის გამოყენებით პოლიტიკური სისტემის დასამხობად. სახელმწიფო ტერორიზმად ასევე შეიძლება იწოდოს შანტაჟი ბირთვული, ბაქტერიოლოგიური ან სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღის საშუალებით იმ ქვეყნის მიმართ, რომელსაც იგი არ გააჩნია. შეჭრა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

უკანასკნელ პერიოდში მრავალი სახელმწიფო თავს არიდებს პირდაპირ კონფრონტაციას, რომელმაც შეიძლება დიდი ხარჯები გამოიწვიოს და სასურველი მიზანი ვერ იქნეს მიღწეული. ამიტომ აღნიშნული სახელმწიფოები ეძებენ ზემოქმედების სხვა საშუალებებს, მათ შორის წინა პლანზე ტერორიზმია. შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ ჩრდილოეთ კორეის მიერ ტერორიზმის ხელშეწყობა სამხრეთ კორეის წინააღმდეგ. სუდანისა და ირანის მიერ ისლამური ტერორიზმის ხელშეწყობა ეგვიპტესა

⁸⁶ სენარკლენი პ; არიფენი ი., საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე თეორიები და ამოცანები, გამომც. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2014. გვ .71.

⁸⁷ იხ. S. Sloan, *Beating international Terrorism: An Action Strategy for Preemption and Punishment*. Maxwell Afb, Ala.: Air University Press, December 1986.

⁸⁸ იხ. P. Wilkinson, *Terrorism and the Liberal State*. New York: J. Wiley & Sons, Halstead Press, 1977, p. 179

⁸⁹ იხ. B. M. Jenkins, *Combating Terrorism Becomes a War*,. Rand, 6988, Rand Corp., Santa Monica, Calif., May 1984, p.7

და ახლოაღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებში, პაკისტანის მიერ ტერორიზმისთვის ხელშეწყობა ქაშმირში ინდოეთის წინააღმდეგ...⁹⁰

ამბოხებების სახელმწიფოებრივი სპონსორობა და მფარველობა, როგორც საგარეო პოლიტიკის ერთგვარი ინსტრუმენტი, დამახასიათებელი იყო ცივი ომის პერიოდისთვის. შეერთებული შტატები იყენებდა რა ნიკარაგუელ რევოლუციონერებს, ავღანელ მოჯაჰიდებს, ტიბეტელ ბუდისტ მეომრებს და სხვებს, ცდილობდა შეეჩერებინა კომუნიზმი. ვაშინგტონი, ამ მხრივ, არ წარმოადგენდა გამონაკლისს, საბჭოთა კავშირი და ჩინეთი მფარველობდნენ კომუნისტ პარტიზანებს ანგოლაში, საბერძნეთში, სამხრეთ აფრიკაში, ვიეტნამში და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში...

ამბოხებული სეპარატისტული რეჟიმების ხელშეწყობის თვალსაჩინო მაგალითია რუსეთის ფედერაციის მხრიდან 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ომი, ხოლო ამის შემდგომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარება.

საერთაშორისო ტერორიზმი

სახელმწიფო ტერორიზმი არის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის მიმართ ორგანიზებული და დაფინანსებული ტერორისტული ქმედება. საერთაშორისო ტერორიზმი ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ გარედან იმართება ტერორიზმის მხარდამჭერი ქვეყნების ან ორგანიზაციების მიერ. ეს ქვეყნები ტერორიზმს განიხილავენ, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტს, თუმცა დღეს იგი შენიღბულად ხორციელდება, კერძოდ, ტერორისტული ორგანიზაციების შექმნით, დაფინანსებით, კოორდინაციით, ტერორისტული ჯგუფების მომზადებით და სხვა. (მაგ: როცა რომელიმე ქვეყნის ხელისუფლება შეიფარებს საერთაშორისო ტერორისტებს, აფინანსებს საერთაშორისო ტერორისტულ ოპერაციებს, ან რაიმე სხვა გზით უჭერს მხარს ტერორიზმს, რომელიც მის საზღვრებს გარეთ ხორციელდება).

შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმი

⁹⁰ იხ. I. O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins, Countering the New Terrorism. Copyright © 1999 Rand p. 103.

შიდასახელმწიფოებრივი არის ძალის ან ძალადობის უკანონო გამოყენება ადამიანის ან ქონების წინააღმდეგ, არსებული ხლისუფლების, მთავრობის, სამოქალაქო მოსახლეობის ან ნებისმიერი მისი სეგმენტის დაშინებისათვის პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მიღწევის მიზნით, იგი ხორციელდება ერთი ქვეყნის ფარგლებში ტერორისტების მიერ, რომლებსაც მთავრობასთან არავითარი კავშირი არ აქვს;

ტრანსნაციონალური ტერორიზმი

როცა სხვადასხვა ქვეყნის ტერორისტული დაჯგუფებები, რომელთაც არც ერთი მთავრობა არ აფინანსებს, ერთმანეთთან იწყებენ თანამშრომლობას, ან ასეთი დაჯგუფებების ტერორისტული ოპერაციები ერთი სახელმწიფოს საზღვრებს სცილდება.

თანამედროვე ტერორიზმის გლობალურმა ხასიათმა ტერორიზმის საშინაო და საერთაშორისო ფორმებს შორის არსებული საზღვარი კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა. შესაძლებელი გახდა ტერორისტული აქტების, რომლებიც არ არის რომელიმე მთავრობის მიერ დაფინანსებული ან განხორციელებული, ანტისახელმწიფოებრივ ტერორიზმში გაერთიანება.

ტიპოლოგიის მიხედვით არსებობს:

3.1. რელიგიური ტერორიზმი

რელიგიური ტერორიზმის სათავეები შორეული ისტორიული წარსულიდან იწყება. ზოგიერთი რელიგიურ-ტერორისტული ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მათ უნდა გაწმინდონ მსოფლიო ახალი ეპოქისათვის.⁹¹ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ისლამურმა ტერორიზმმა საერთაშორისო, გლობალური ხასიათი მიიღო. მუსულმანური აღმოსავლეთი ქრისტიანული დასავლეთის წინააღმდეგ, როგორც ერთგვარი ჯვაროსნული ლაშქრობა დასავლური კულტურის წინააღმდეგ რეალურ საფრთხედ იქცა.⁹² რელიგიური ტერორიზმი საეროსთან შედარებით გაცილებით უფრო დამანგრეველია. აღნიშნული გამოწვეულია ღირებულებითი სისტემის რადიკალური

⁹¹ იხ. D. J.W. Vanderhoof, The Criminology of Terrorism, Copyright © 2001, The University of North Carolina at Pembroke, www.uncp.edu. 2003

⁹² იხ. S. P. Huntington, "The Clash of Civilizations?," Foreign Affairs, Summer 1993, p. 22-49.

განსხვავებულობით, ლეგიტიმაციისა და თვითგამართლების თავისებური მექანიზმის არსებობით, განსხვავებული მორალური ნორმებისა და მსოფლმხედველობის ქონით. რელიგიური ტერორისტისთვის ძალადობა ღვთისგან დადგენილ წმინდა ვალდებულებად აღიქმება, რომელიც ხორციელდება თეოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად და სრულიად გამართლებულია წმინდა წერილის მიხედვით. დღემდე არ არის აზრთა ერთიანობა იმ საკითხში, თუ რა უნდა ეწოდოს თანამედროვე ისლამურ მოძრაობებს, რადგანაც ზოგიერთი ავტორი მათ მოიხსენიებს როგორც ფუნდამენტალისტებს, ზოგიერთი როგორც რადიკალებს და ექსტრემისტებს.⁹³ ფრენსის ფუკიამას ახალი ცნებაც კი შემოაქვს "ისლამო ფაშიზმი".⁹⁴

ახლო აღმოსავლეთში გვხვდება რელიგიურ ფუნდამენტალიზმთან დაკავშირებული უამრავი ტერორისტული დაჯგუფებები: „ისლამური სახელმწიფო“, „აბუ ნიდალის ორგანიზაცია“, „ალ-ქაიდა“, „ისლამური ჯიჰადი“, ჰეზბოლა (ღვთის პარტია), „ჰამასი“. ტერორისტული დაჯგუფებები ეთნიკურად და პოლიტიკურად ჰომოგენურია და შესაბამისად, რთულია ამ ტერორისტულ ქსელებში შეღწევა და კონტროლი.

ისლამურ ფუნდამენტალიზმზე და ტერორიზმზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხოთ ვაჰაბიზმს, რომელსაც სპეციალისტები ისლამის უკიდურესად პოლიტიზირებულ, მილიტარისტულ ფენომენად მოიხსენიებენ. ვაჰაბიზმი წარმატებით ითავსებს ტერორისტულ საქმიანობას, რის გამოც მთავარი კატალიზატორის როლს თამაშობს იმ ტრაგიკულ მოვლენებში, რაც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ვითარდება ჩრდილოეთ კავკასიაში და რის გამოც უცხოელი ექსპერტები ამ რეგიონს „მსოფლიოს ახალი წესრიგის უწესრიგობას“ უწოდებენ.⁹⁵ ნიშანდობლივია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამის რადიკალიზაცია რუსეთის პოლიტიკას უკავშირდება.

რელიგიური ტერორიზმის უნივერსალური მოდელია „ისლამურ სახელმწიფო“, რომელიც დღეს მსოფლიოსთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. „ისლამური

⁹³ იხ. E. Sivan, *Radical Islam: Medieval Theology and Modern Politics*. New Haven, Ct: Yale University Press, 1985; O. Roy, *The Failure of Political Islam*. Cambridge, Ma: Harvard University Press, 1994; . J. L. Esposito, ed., *Voices of Resurgent Islam*. New York: Oxford University Press, 1983.

⁹⁴ იხ. F. Fukuyama, "Their Target: The Modern World," *Newsweek* January 2002, Internet: <http://www.msnbc.com/news/672448.asp> . 2003.

⁹⁵ ჩიქოვანი ნ. „რელიგია და კულტურა სამხრეთ საქართველოში“, თბ., 2006. გვ. 23

სახელმწიფოს“ წინამორბედია 1999 წელს შექმნილი ტერორისტული დაჯგუფება „ჯამათ ალ-თაუჰიდ ვალ-ჯიჰად“, რომლის დამფუძნებელიც იყო აბუ ბაქრ ალ-ბალდადი, რომელიც „ალ-ქაიდას“ ექვემდებარებოდა. 2006 წელს ჯგუფი შეუერთდა ამბოხებულ სუნიტურ ჯგუფებს „მუჯაჰედთა შურას“ (საბჭოს) ჩამოსაყალიბებლად, რომელმაც უკვე 2006 წლის ოქტომბერში გამოცხადა „ერაყის ისლამური სახელმწიფოს“ შექმნა, ერთ-ერთი წინამძღოლი ალ-ბალდადი გახდა, ხოლო 2010 წლიდან იგი „სახელმწიფოს“ ერთპიროვნული ლიდერია. 2011 წლის მარტში სირიაში სამოქალაქო ომის გაჩაღების შემდეგ, ალ-ბალდადიმ საკუთარი მებრძოლები გაგზავნა, რომლებსაც შეუერთდნენ სირიელი რადიკალი ისლამისტები და შექმნეს „ალ-ნუსრას“ ფრონტი. 2013 წლის აპრილში „ერაყის ისლამური სახელმწიფო“ და სირიაში მოქმედი „ალ-ნუსრას“ ფრონტი გაერთიანდა და მიიღო „ერაყისა და სირიის ისლამური სახალიფო“-ს სახელწოდება. 2014 წლის 29 ივნისს ჯგუფმა საკუთარი თავი გამოაცხადა მსოფლიო სახალიფოდ, ოფიციალურ სახელწოდებად - „ისლამური სახელმწიფო“, აბუ ბაქარ ალ-ბალდადი კი ხალიფა გახდა. ისლამურ სახელმწიფოს მალე გამოუჩნდნენ მხარდამჭერები: 2015 წლის ივნისისათვის ოფიციალური განშტოებები არსებობდა ლიბიაში, ეგვიპტეში, საუდის არაბეთში, იემენში, ალჟირში, ავღანეთში, პაკისტანში, ნიგერიაში და ჩრდილოეთ კავკასიაში. ისლამური სახელმწიფოს წევრები არიან მაროკოში, ლიბანში, იორდანიაში, თურქეთში, ისრაელსა და პალესტინაში, მაგრამ აქ არ არსებობს ოფიციალური განშტოებები. ფაქტობრივად „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნით ალ-ბალდადიმ, ერთი მხრივ, ხაზი გაუსვა, რომ საერთაშორისო ჯიჰადიზმს ახალი ცენტრი და ხელმძღვანელობა ჰყავდა და, მეორე მხრივ, გააერთიანა ორი კონფლიქტი: სამოქალაქო ომი სირიაში და დე ფაქტო სამოქალაქო ომი ერაყში. დაფიქსირდა ისლამური სახელმწიფოს ამბიციაც: ახლო აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური წესრიგის შექმნის მიზანი, ასევე საერთაშორისო ჯიჰადისტურ მოძრაობაში „ალ-ქაიდას“ ჩანაცვლება. „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგია ე.წ. სალაფიტურ მოძღვრებას ემყარება. ეს არის ისლამის თითქოსდა კონსერვატიული, მაგრამ იმავდროულად ექტრემისტული ინტერპრეტაცია, ქადაგებს რა რელიგიის სახელით ძალადობას.⁹⁶ ამგვარად იკვეთება

⁹⁶ სანიკიძე გ., „ისლამური სახელმწიფო“ და „დიდი თამაში“ ახლო აღმოსავლეთში, საქართველოს

მთავარი - ისლამური სახელმწიფო გლობალური ტერორიზმის ცენტრი ხდება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მდგომარეობა მყიფეა. მათ არ აქვთ „სახელმწიფოს“ მართვისა და პოლიტიკური მოწყობის რეალისტური გეგმები.

3.2. ეთნო-სეპარატისტული ტერორიზმი

ეთნიკური კონფლიქტის ერთ-ერთი ფორმაა. ეთნო - სეპარატისტებისთვის ტერორიზმი ხშირად ხდება სასურველი პოლიტიკური შედეგის მიღწევის საშუალება. ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტოლოგიაში აღიარებულია, რომ ეთნიკურ კონფლიქტებს საფუძვლად ეთნიკური პლურალიზმი უდევს. პოლიტიკური სისტემის ეთნიკური პლურალიზმის ცნებაში იგულისხმება საზოგადოების ერთი პოლიტიკური სისტემის საზღვრებში სხვადასხვა ეთნოსის არსებობა... თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური სისტემების დიდი უმრავლესობა პოლიეთნიკურია... ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მეცნიერები აღნიშნავდნენ, რომ მსოფლიოში არსებული სახელმწიფოებიდან მხოლოდ 9% (132-დან 12) თავისი მოსახლეობით წარმოადგენდა ეთნიკურად ჰომოგენურს.⁹⁷ დღეს მსოფლიოში სახელმწიფოთა რიცხვი 200 აღემატება, თუმცა ამის მიუხედავად, ეთნიკური პლურალიზმი კიდევ უფრო გაიზარდა. ეთნოკონფლიქტოლოგები თავიანთ შრომებში ეთნიკური პლურალიზმის სამ ძირითად მიზეზს გამოყოფენ: 1) ტერიტორიული ექსპანსია ანდა დაპყრობითი ომები, 2) ევროპული კოლონიზაციის და შემდგომი დეკოლონიზაციის პროცესები, 3) მოსახლეობის მასობრივი გადაადგილება ანდა ეთნიკური მიგრაციის პროცესები.⁹⁸

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიოში სახელმწიფოთა თითქმის ნახევარი მოიცვა ეთნიკურ საფუძველზე წარმოშობილმა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ. 80-იან წლებში მომხდარი 120 შეიარაღებული კონფლიქტიდან 98 ეთნიკური იყო.⁹⁹ თანამედროვე სამყაროსთვის დამახასიათებელ ფაქტორს წარმოადგენს ე.წ. „კონფლიქტის ასიმეტრიული ფორმები“. „ცივი ომის“ ხანის

სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი, 2015. გვ. 4-8.

⁹⁷ იხ. Идентичность и конфликт в постсоветских государствах. Под ред. М. Олкотт, В. Тишкова, А. Малашенко. М., 1997, сс. 320-321

⁹⁸ იხ. А.Р. Аклаев. Этно – Политическая конфликтология : Анализ и менеджмент. М., 2005, с. 26

⁹⁹ იხ. А.В. Картунов, О.А. Маруховская, Этнополитические конфликты: актуальность, определение, задачи// Материалы междунар. конгресса конфликтологов // Под ред. И. Степанова. М., 2001. с. 194.

დამთავრების შემდეგ კონფლიქტების უმრავლესობის უკან აღარ დგას კომუნისტური ან კაპიტალისტური პოლიტიკური ბანაკი, რომლებიც ერთმანეთს კონფლიქტის ე.წ. “სიმეტრიული ფორმით” უპირისპირდებოდნენ. “ცივი ომის” დროს დაპირისპირება ძირითადად სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობდა, ძალადობის ობიექტს წარმოადგენდა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს სამხედრო ძალები. თანამედროვე ეპოქაში “ასიმეტრიული კონფლიქტის” პირობებში ძალადობის ობიექტს ძირითადად მშვიდობიანი მოსახლეობა წარმოადგენს, ამასთან, კონფლიქტებმა დაკარგა საერთაშორისო ხასიათი და ლოკალურ მასშტაბებში მოექცა, რომელთა დროსაც ხშირადაა გამოყენებული ტერორისტული ბრძოლის მეთოდები. სტოკჰოლმის მშვიდობის ინსტიტუტის გამოკვლევების მიხედვით, 1989-1996 წლებში 102 შეიარაღებული კონფლიქტიდან მხოლოდ 6 იყო საერთაშორისო, ხოლო დანარჩენი 96 - შიდასახელმწიფოებრივი.¹⁰⁰

შიდასახელმწიფოებრივი ეთნიკური კონფლიქტები ხშირად იძენს სეპარატისტულ მიმართულებას. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, სეპარატისტები ბრძოლის პოლიტიკურ მეთოდებთან ერთად იყენებენ ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ტერორიზმს.

ეთნო სეპარატისტულ ტერორიზმზე საუბრისას გვერდს ვერ აუვლით რამდენიმე ტერორისტულ ორგანიზაციაზე საუბარს.

3.2.1. ირლანდიის გამანთავისუფლებელი არმია “IRA”

“IRA” ჩამოყალიბდა 1919 წელს. ის იყო ირლანდიური პოლიტიკური პარტიის „ Shinn Féin“ (რაც სიტყვა სიტყვით ნიშნავს „ჩვენ თვითონ“) საიდუმლო სამხედრო დაჯგუფება, რომელიც პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდა ინგლისის წინააღმდეგ. მისი მიზანი ირლანდიის ტერიტორიიდან ინგლისის განდევნა და ირლანდიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა იყო.

XX საუკუნის დასაწყისში ინგლისმა და ირლანდიამ მიიღეს დეკლარაცია, რომლის თანახმადაც, ირლანდია ავტონომიად გამოცხადდა, რომელსაც საკუთარი

¹⁰⁰ იხ. А.Р. Аклаев. Этно – Политическая конфликтология : Анализ и менеджмент. М., 2005. с. 31

თვითმმართველობა ექნებოდა, ანუ ყველა ის უფლება, რაც დამოუკიდებელ სახელმწიფოს გააჩნია, ოღონდ დიდი ბრიტანეთის საზღვრებში. პროტესტანტი ირლანდიელები დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, რამაც კათოლიკე ირლანდიელების რეაქცია უფრო მეტად გაამწვავა. ამ ფაქტმა ირლანდიელებს შორის სერიოზული განხეთქილება გამოიწვია, ეთნიკურთან ერთად თავი იჩინა რელიგიურმა ექსტრემიზმმაც, კონფლიქტმა ფაქტობრივად ეთნო-რელიგიური შინარსი შეიძინა. გაჩნდა “IRA”-ს რამდენიმე მიმართულება. კათოლიკე და პროტესტანტი ირლანდიელები გაემიჯნენ ერთმანეთს. მოგვიანებით გაჩნდა კიდევ მესამე მიმართულება, რომელიც მშვიდობიან პროპაგანდისტულ ბრძოლას ეწეოდა¹⁰¹.

ბრიტანელი ექსპერტების ცნობით, “IRA”-ს დასაფინანსებლად ყოველ-წლიურად გროვდებოდა 9-დან 16 მილიონ აშშ დოლარამდე. დაფინანსების წყარო იყო, როგორც არალეგალური ბიზნესი, ისე იდეოლოგიურ მხარდამჭერთა ნებაყოფლობითი შემოწირულობა, ამერიკის ირლანდიური დიასპორა. ირლანდიურ ლუდის ბარებში იდგა ყუთები, წარწერით „დახმარება ჩვენს ირლანდიელ ძმებს“, სადაც თანამემამულეებისთვის ფულს ყრიდნენ. პროტესტანტულ ეკლესიებში წირვის შემდეგ იკრიბებოდნენ ირ-ლანდიული დიასპორის წევრები, ეწყობოდა საიდუმლო კრებები, გროვდებოდა თანხები აჯანყებულების დასაფინანსებლად¹⁰².

“IRA”-ს ოპერატიული ბაზები, ირლანდიის გარდა, განლაგებული იყო აშშ-ში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში და შუა აზიაში. “IRA”-ს საკუთარი დაზვერვა და კონტრდაზვერვა ჰყავდა. მისი ინფორმატორები გამოვლინდნენ ირლანდიისა და ინგლისის სამართალდამცავ ორგანოებშიც.

“IRA”-მ მოღვაწეობა ირლანდიის ტერიტორიაზე განლაგებული ინგლისური ძალოვან სტრუქტურების წარმომადგენლობებზე თავდასხმებით დაიწყო. მათი მთავარი დევიზი იყო: „სიკვდილი ინგლისელ ჯარისკაცს.“ მოგვიანებით “IRA”-ს სამოქმედო არეალი თანდათან გაფართოვდა, დუბლინიდან ლონდონამდე და ფაქტობრივად მთელი ინგლისის ტერიტორია მოიცვა. დაიხვეწა ტერორისტების მოქმედების ტაქტიკა და მათი

¹⁰¹ იხ. Е. Кожушко. Современный терроризм. Минск, Харвест, 2000, с. 174.

¹⁰² იხ. <http://www.ng.ru/tag/ira>, 2019.

სამიზნე მშვიდობიანი მოქალაქეებიც გახდნენ. ტერაქტები ეწყობოდა ხალხმრავალ ადგილებში, რათა გართულებულიყო დაზარალებულების ევაკუაცია და გაზრდილიყო მსხვერპლიანობა.¹⁰³

სისასტიკეში არც ინგლისური მთავრობა ჩამოუვარდებოდა “IRA”-ს. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში 350-ამდე ეთნიკური ირლანდიელი დააპატიმრეს, რომელთა უმრავლესობა არ მონაწილეობდა შეიარაღებულ კონფლიქტში, მაგრამ “IRA”-ს თანაუგრძნობდა. დაპატიმრებულებზე ინგლისურ ციხეებში იმ დროს არსებულ წამების ყველა მეთოდს იყენებდნენ, რის შედეგადაც ათობით ირლანდიელი პოლიტპატიმარი დაიღუპა.¹⁰⁴

ინგლისურ-ირლანდიური კონფლიქტის დარეგულირებას ხელს უშლიდა ის, რომ მხარეები მოლაპარაკებაზე არც კი ფიქრობდნენ. პირველი რეალური შედეგი მიღწეული იქნა 1997 წელს. ირლანდიაში ჩატარდა არჩევნები, სადაც გამარჯვება იმ ძალებმა მოიპოვეს, რომლებიც იდეოლოგიურ ბრძოლას უჭერდნენ მხარს და ეწინააღმდეგებოდნენ უაზრო სისხლისღვრას. აღსანიშნავია, რომ განიარაღების ინიციატივით თვითონ “IRA” გამოვიდა. მოლაპარაკებები განიარაღების საერთაშორისო კომისიასთან საიდუმლო ვითარებაში გაიმართა. ისე რომ, ზუსტად არ არის ცნობილი “IRA”-მ ხელთ არსებული ყველა საბრძოლო საშუალება ჩააბარა თუ არა.

“IRA” დღეისათვის აღარ აწყობს ფართო მასშტაბიან ტერაქტებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტი სრულად მოგვარებული ჯერ კიდევ არ არის. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, არ არის გამორიცხული, რომ “IRA”-მ ერთ დღეს კვლავ განაახლოს საომარი მოქმედებები.

3.2.2. ქვეყანა და თავისუფლება ბასკებს „ETA”

ფრანკოს დიქტატურის დროს ბასკეთმა დაკარგა ავტონომია, დაიწყო რეპრესიები ბასკი ხალხის მიმართ, აიკრძალა ბასკური ხელოვნება, ბასკურ ენაზე სწავლება რასაც, ბუნებრივია, ბასკი ხალხის პროტესტი მოჰყვა. 1959 წლის 31 ივლისს შეიქმნა ბასკური

¹⁰³ იხ. <http://www.varyag-stunts.narod.ru/irahistory-ira.html>, 2019

¹⁰⁴ იხ. <http://slovari.yandex.ru/dict/lanzov/article/lan/lan-0030.htm>, 2019.

ექსტრემისტული დაჯგუფება, რომელიც დაკომპლექტებული იყო ბასკური ნაციონალური პარტიის ახალგაზრდა მემარცხენეებისგან. მისი ჩამოყალიბების უმთავრეს მიზანს დამოუკიდებელი ბასკური სახელმწიფოს შექმნა და დაკარგული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენა წარმოადგენდა. ეს არ იყო მხოლოდ იდეოლოგიური ბრძოლა, ამ მოთხოვნების წამოყენება თავისთავად ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას ნიშნავდა.

თავდაპირველად „ETA“ დიდი სიმპათიითა და თანადგომით სარგებლობდა არა მხოლოდ ბასკებში, არამედ ესპანელებშიც, რადგანაც მათი მოთხოვნები პატრიოტული და სამართლიანი ჩანდა. ასევე მხარდაჭერა ჰქონდა ქვეყნის გარეთაც: „ETA“-ს წევრებს საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფარის მიღება შეეძლოთ, სხვა რადიკალურად განწყობილი ტერორისტული ორგანიზაციები ფულითა და იარაღით ამარაგებდნენ.¹⁰⁵

ორგანიზაციის ძირითადი სამიზნე პოლიტიკოსები, სამხედრო პირები და პოლიციელები იყვნენ. იტაცებდნენ სახელმწიფო მოხელეებს პოლიტიკური მოთხოვნებით, აწყობდნენ თავდასხმებს სამხედრო ყაზარმებსა და პოლიციის შენობებზე. ფრანკოს სიკვდილის შემდეგ ბასკეთმა კვლავ ფართო ავტონომია მოიპოვა, მაგრამ რადიკალურმა დაჯგუფებამ მოღვაწეობა მაინც არ შეწყვიტა, მისი მთავარი მოთხოვნა კვლავ ბასკეთის სრული დამოუკიდებლობა იყო, რასაც ესპანეთის მთავრობა უკვე ვეღარ შეასრულებდა, თუმცა მთელ რიგ დათმობებზე მაინც წავიდა ტერორისტებთან: გამოაცხადა ამნისტია და მოლაპარაკებებზე დათანხმდა, რასაც ტერორისტები აფეთქებების სერიებით პასუხობდნენ. მოხდა ისე, რომ საფრანგეთმაც უარი თქვა „ETA“ -ს წევრებისათვის პოლიტიკური თავშესაფარის მიცემაზე, ისინი ფაქტობრივად უკვე კრიმინალები იყვნენ ყველას თვალში. დაკარგეს მხარდაჭერა და პატივისცემა უბრალო ხალხის მხრიდანაც, რადგან ეხლა უკვე ეს ხალხი გახდა მათი სამიზნე : ძარცვავდნენ ბანკებს, იტაცებდნენ უბრალო მოქალაქეებს გამოსასყიდის მიღების მიზნით და ა.შ. ტერორისტული ორგანიზაციის ქმედებამ უარყოფი-თად იმოქმედა ბასკური პროვინციების ეკონომიკურ განვითარებაზეც, რადგან არსებული დაძაბულობის გამო, საგრძნობლად შემცირდა ინვესტიციები. ესპანეთის მთავრობამ

¹⁰⁵ იხ. Е. Кожушко. Современный терроризм. Минск, Харвест, 2000, сс.194-195

შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ტერორისტებს და აქტიურ ქმედებაზე გადავიდა, რითიც მიაღწია „ETA“-ს იზოლაციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. „ETA“ ევროკავშირის ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაშია შესული.¹⁰⁶

3.2.3. თამილ-ილამის გამათავისუფლებელი ვეფხვები „LTTE“

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისმა კოლონიების გათავისუფლება დაიწყო. 1948 წელს ცეილონს ფართო ავტონომია მიენიჭა დიდი ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში. მოგვიანებით ცეილონის ავტონომია „შრი-ლანკის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ გამოცხადდა, სადაც სახელმწიფო ენა სინგალური იყო, ხელისუფლება კი აქტიურად მხარს უჭერდა ბუდისტურ კულტურას. ამას ისიც დაემატა, რომ სახელმწიფომ უარი უთხრა მოქალაქეობაზე იგნლისელების მიერ მოსამსახურებად ჩამოსახლებული ინდოელი თამალების შთამომავლობას და მათი ინდოეთში დეპორტაცია დაიწყო. აღნიშნულმა ვითარებამ თამალების უკმაყოფილება გამოიწვია, ისინი თავს დაჩაგრულ უმცირესობად აცხადებდნენ. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა პირველი თამილური ექსტრემისტული ორგანიზაცია „თამილთა გამათავისუფლებელი ეროვნული ფრონტი“,¹⁰⁷ რომლის მიზანი თამილ-ილამის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა იყო, თუმცა ეს ორგანიზაცია ბრძოლის მხოლოდ იდეოლოგიურ მეთოდებს იყენებდა.

ყველაზე მეტი თვითმკვლელი ტერორისტი მსოფლიოში არსებულ ორგანიზაციათა შორის „ვეფხვებს“ ჰყავთ, რომელთა შორის არიან ქალები და ბავშვებიც კი. 1987-2000 წლებში განხორციელებულ 168 ტერორისტულ აქტში 292 „კამიკაძე“ ტერორისტი დაიღუპა. მათი მეშვეობით მოაწყვეს ტერაქტი ინდოეთის პრემიერ-მინისტრ რაჯივ განდიზე და შრი-ლანკის პრეზიდენტზე. „ვეფხვების“ ლიდერმა მიაღწია იმას, რომ „LTTE“ მსოფლიოში ყველაზე სტაბილური და მრავალრიცხოვანი ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც თავის რიგებში 1990 წლისათვის დაახლოებით 14 ათასამდე ტერორისტს ითვლიდა.¹⁰⁸

¹⁰⁶ იხ. <http://slovari.yandex.ru/dict/lanzov/991147>, 2019

¹⁰⁷ იხ. Г. Таргонский Шри-Ланка: «место, где был рай». www.akm1917.org/vzgl/vz25-63.htm, 2019

¹⁰⁸ იხ. www.nationalsecurity.ru/library/00016/00016ltte3.htm

„LTTE” საკმაოდ კარგად დაფინანსებული ორგანიზაციაა, მათი დაფინანსების ძირითადი წყარო ემიგრანტი თამილები არიან, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებშია მიმოფანტული, მაგალითად: კანადაში „კანადელი თამილების ასოციაცია”, აშშ-ში „მსოფლიო თამილთა მოძრაობა” და სხვა. ასევე არიან ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ისინი „ვეფხვებს” ფულითა და იარაღით ამარაგებენ. „LTTE” შესანიშნავად არის შეიარაღებული სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საბრძოლო არსენალით.¹⁰⁹

პირველი ტერორისტული აქტი „ვეფხვებმა” 1983 წელს მოაწყვეს. ისინი თავს დაესხნენ სინგაპურ სამხედრო მანქანას, სადაც ათობით ჯარისკაცი დაიღუპა. ამას საპასუხოდ სინგაპურელების რეაქციაც მოჰყვა და დაიწყო ომი.

ციელონში არსებული ომი თავისი უცნაურობითაც გამოირჩევა, აღსანიშნავია, რომ მრავალწლიანი სასტიკი ბრძოლების განმავლობაში „LTTE”-ს არც ერთი ტერაქტი არ განუხორციელებია უცხოელი ტურისტების მიმართ. როგორც ჩანს, ტერორისტები უცხო სახელმწიფოთა გაღიზიანებებსაც ერიდებიან, და ემიგრანტ თამალებსაც უფროთხილდებიან, რათა შემდეგ ისინი არ გახდნენ შურისძიების ობიექტები. ეს ფაქტი მუსულმანი ტერორისტებისაგან მკვეთრად განასხვავებს თამილებს.

3.3. ტერორიზმი ჩეჩნეთში

ჩეჩნები კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობენ, როგორც ზოგადად მთიელები, ჩეჩნებიც თავისუფლების მოყვარე ხალხია. ისინი თითქმის სამი საუკუნეა თავდაუზოგავად იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, თუმცა უშედეგოდ.

1944 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა ლიდერის, სტალინის ბრძანებით მილიონამდე ჩეჩენი და ინგუში ეროვნების ადამიანი ციმბირსა და შუა აზიაში გადაასახლეს, როგორც სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით საშიში ხალხი, მათ ბრალად ედებოდათ ფაშისტურ გერმანიასთან თანამშრომლობა. უკან დაბრუნების უფლება მხოლოდ 1957 წელს მიიღეს. ამავე დროს იქნა აღდგენილი ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქი საბჭოთა რუსეთის ფედერაციის ფარგლებში.

¹⁰⁹ იხ. http://www.soldiering.ru/war/sri_lanka/sri_lanka.war-at-sea.php

ჩეჩნებმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა 1991 წელს განაახლეს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. 1994 წლიდან აქტიური საბრძოლო მოქმედებები დაიწყო რუსი სამხედროების წინააღმდეგ. იბრძოდნენ ძირითადად პარტიზანული მეთოდით, რადგანაც ღია ომში რუსეთთან ჩაბმა, ასეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, დამლუპველი იქნებოდა.

პირველი ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქტი ჩეჩნებმა 1995 წლის 14-19 ივნისს რუსეთის ქალაქ ბუდიონოვსკში განახორციელეს. რუსული საზოგადოება შოკში ჩააგდო მომხდარმა, ასორმოცდაათამდე შეიარაღებული ტერორისტი შამილ ბასაევის¹¹⁰ მეთაურობით. ეს იყო ჩეჩენი ტერორისტების მიერ რუსეთის მთავრობაზე ზემოქმედების მიზნით მოწყობილი ტერაქტი, რომელიც საკმაოდ კარგად გათვლილი და მოფიქრებული გამოდგა. ივნისის ბოლოს ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტას და ჩეჩნეთის ტერიტორიიდან რუსული ჯარის გამოყვანას, რითიც დასრულდა პირველი რუსულ-ჩეჩნური ომი, რომელიც 1994 წლიდან მიმდინარეობდა და დაიწყო მოსკოვის პოლიტიკური კრიზისიც. ჩეჩნეთმა ფაქტობრივად დამოუკიდებლობა მოიპოვა.

დამოუკიდებელი ჩეჩნეთი მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში აღმოჩნდა, მოიშალა წარმოება. იქ მომუშავე წამყვანი სპეციალისტების უმეტესი ნაწილი, ეროვნებით რუსი იყო, რომლებმაც საომარი მოქმედებების დროს დატოვა ჩეჩნეთი. ქვეყანა კორუფციის მორევში ჩაეშვა. გაჩნდა დაპირისპირება პოლიტიკურ ელიტაშიც. ამგვარ პირობებში მყოფ ჩეჩნებს „დახმარების“ ხელი გაუწოდა რადიკალურმა ისლამისტურმა ორგანიზაციებმა: „ალ-ქაიდა“ და „თალიბანმა“. ისინი მზად იყვნენ ჩეჩნეთისათვის სათანადო დახმარება გაეწიათ თუმცა, რა თქმა უნდა არა უანგაროდ. მათი მოქმედების უმთავრესი მიზანი „კავკასიის ისლამური სახელმწიფოს“ შექმნა იყო, რომლის შემადგენლობაშიც უნდა შესულიყო ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ჩრდილო ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი და აფხაზეთი.¹¹¹

¹¹⁰ იხ. <http://terrorism.wallst.ru>, 2019.

¹¹¹ იხ. Б.Н. Кашников. Чеченский Терроризм. Взлёт и Падение. Российский научный журнал, 2008. № 3, сс. 70-76.

1998 წლიდან ისლამი ჩეჩნეთში ოფიციალურ რელიგიად აღიარეს. ამის შემდეგ ჩეჩნებმა აქტიური ქმედებები დაიწყეს ჩეჩნეთის საზღვრებს გარეთ, ინგუშეთში, ოსეთში და რუსეთში. მოაწყვეს რამდენიმე ტერაქტი რუსეთის ქალაქებში, რითიც საზოგადოების დაშინებას, მასობრივი არეულობის გამოწვევას საზოგადოების ხელისუფლებასთან დაპირისპირებას ისახავდნენ მიზნად, თუმცა, პირიქით მოხდა რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა მიეღო ადეკვატური ზომები ჩეჩენი ტერორისტების ქმედებების საპასუხოდ. 1999 წელს დაიწყო მეორე ჩეჩურ-რუსული ომი, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა ჩეჩნებისათვის. მათ საბოლოოდ დაკარგეს დამოუკიდებლობა.

2000 წლიდან ჩეჩენ ტერორისტებს შორის გამოჩნდნენ შაჰიდი ქალები, რომლებიც „შავი ქვრივები“-ს სახელით არიან ცნობილი, მათ ასევე „ალაჰის სასძლოებს (საცოლეს) უწოდებენ. მათი ასაკი 13-დან 38 წლამდე მერყეობს.

ჩეჩნების მიერ მოწყობილი ტერაქტებიდან ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და მასშტაბური იყო მოსკოვში თეატრზე განხორციელებული თავდასხმა, სადაც ათეულობით მძევალი აიყვანეს, ტერორისტებს შორის იყვნენ შაჰიდი ქალებიც.

ამას მოჰყვა კიდევ უფრო საშინელი ტერაქტი თავდასხმა ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანის საშუალო სკოლაზე. 2004 წლის 1 სექტემბერს ტერორისტებმა მძევლად აიყვანეს სკოლის მოსწავლეები და სკოლა დანადმეს. ოფიციალური მონაცემებით 334 მძევალი დაიღუპა, რომელთა შორის 186 ბავშვი იყო¹¹². აღნიშულ ტერაქტში მონაწილეობდნენ ინგუშებიც, ამგვარი ქმედებით ტერორისტებს ერებს შორის შუღლის გაღვივება ჰქონდათ განზრახული, რასაც გარდაუვლად უნდა მოჰყოლოდა კავკასიის ომი. თუმცა მათი ცდა უშედეგოდ დასრულდა.

ბესლანის ტერაქტმა ჩეჩური ტერორიზმის სრული დისკრედიტაცია მოახდინა საზოგადოების თვალში. ჩრდილი მიადგა, აგრეთვე, ჩეჩნეთის თავისუფლების იდეასაც. მათი ბრძოლა, რომელიც დამოუკიდებლობის იდეით დაიწყო, კრიმინალურ საქმიანობაში გადაიზარდა. ბრძოლის ტერორისტული მეთოდებით წარმოებამ გამოიწვია ჩეჩური დამოუკიდებლობის სრული ფიასკო.

¹¹² იხ. <http://terroristica.info/node/397,2011>

3.4. კიბერტერორიზმი

„ეტიმოლოგიურად „კიბერტერორიზმი“ ორი სიტყვისაგან - „კიბერ“ და „ტერორიზმისაგან“ შედგება. წინსართი „კიბერ“ ნიშნავს კიბერნეტიკულ სივრცეს, ვირტუალურ სივრცეს, ანუ კომპიუტერის მეშვეობით, მოდელირებულ სივრცეს, რომელშიც ინახება ინფორმაცია პირების, ფაქტების, მოვლენების, პროცესების ნივთების შესახებ მათემატიკური, სიმბოლური ან ნებისმიერი სხვა სახით და მოძრაობის პროცესშია ლოკალური ან გლობალური კომპიუტერული ქსელით“.¹¹³

„ტერმინი - „კიბერტერორიზმი“, ინფორმაციული ტექნოლოგიების ლექსიკონში 1997 წელს გაჩნდა, როდესაც ფედერალური გამოძიების ბიუროს აგენტმა მარკ პოლიტმა განსაზღვრა ტერორიზმის აღნიშნული სახეობა როგორც „სამოქალაქო მიზნების მიმართ, წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკურად მოტივირებული შეტევები ინფორმაციულ, კომპიუტერულ სისტემებზე, კომპიუტერულ პროგრამებსა და მონაცემებზე, სუბნაციონალური დაჯგუფებების ან საიდუმლო აგენტების მხრიდან, გამოხატული ძალადობით“¹¹⁴. „ტერმინი „კიბერტერორიზმი“ პირველად 1980 წელს კალიფორნიის უსაფრთხოები სადადაზვერვის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ბარი კოლინმა გამოიყენა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ კიბერსივრცის აქტიურად გამოყენების აღსანიშნავად. მოგვიანებით, აშშ-ის კიბერტერორიზმის ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი დოროთი დენინგი ინტერნეტში საქმიანობის კლასიფიკაციის შემდეგ ასპექტებს გამოყოფს: „აქტივიზმი“ და „კიბერტერორი“. კიბერტერორიზმი წარმოადგენს ტერორიზმისა და კიბერსივრცის შერწყმას. ის მოიცავს პოლიტიკურად მოტივირებულ ჰაკერულ ოპერაციებს, რომელთა მიზანია პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის დამანგრეველი შედეგების მიღწევა. დენინგის ამგვარი კლასიფიკაცია გამყარებულია „Computer Emergency“ ჯგუფის სტატისტიკური კვლევითი მონაცემებით. ამ მონაცემების მიხედვით, 2001 წელს დაფიქსირებულია ქსელებზე შეტევის 52 685 შემთხვევა, რომელსაც შეეძლო აშშ-ის

¹¹³ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, გამომც.

„მერიდიანი“, 2017, გვ 281;

¹¹⁴ Larry J. Siegel (2008) Criminology- Cyber crime and technology - Cyber terrorism: Cyber Crime With Political Motives . pp № 449;

ინფრასტრუქტურის პარალიზება. ეს ციფრი ორჯერ მეტია 2000 წლის მონაცემებთან შედარებით. მას შემდეგ ინციდენტების რაოდენობა კატასტროფულად მატულობს, საკრედიტო ბარათების სკანირებით დაწყებული და სხვა სახის კომპიუტერული შეტევით დამთავრებული“.¹¹⁵

„ტერორისტები კიბერსივრცეს იყენებენ შემდეგი მიზნებისათვის¹¹⁶:

- ინტერნეტის საშუალებით პოტენციურ სამიზნეებზე შეაგროვონ ინფორმაცია მდებარეობის და მახასიათებლებისგანსასაზღვრად;
- ტერორისტულ მოძრაობათა მხარდაჭერისათვის ფინანსური რესურსების შესაგროვებლად;
- ტერორისტული მოძრაობების შესახებ დეტალური ინფორმაციის შემცველი ვებგვერდების შესაქმნელად, რაც მოიცავს დაჯგუფებების მიზნების, ამოცანების, პროტესტის გამოხატვის ფორმების და დაჯგუფებებთან დაკავშირებული სხვა სახეობის შემცველ ინფორმაციას. რითაც ტერორისტული მოძრაობები ცდილობენ ტერორისტების მხარდამჭერ ჯგუფებზე სინერგიულ ზემოქმედებას, რაც გულისხმობს აღნიშნულ ჯგუფებზე გავლენის მოხდენას მართვის არაკლასიკური, ქვეცნობიერი მეთოდების გამოყენებით;
- ფინანსური ინსტიტუტებისგან ფულის გამოძალვისთვის, რათა მათ თავი აარიდონ კიბერტერორიზმის აქტებს და არ დაკარგონ რეპუტაცია;
- ინტერნეტის ფართო აუდიტორიის გამოსაყენებლად უკვე დაგეგმილი ან სამომავლო მოქმედებების, ან განხორციელებულ ტერაქტებზე პასუხისმგებლობის აღების თაობაზე ინფორმაციის გასავრცელებლად, აგრეთვე, მსგავსი შინაარსის ელექტრონული წერილების მასობრივად დასაგზავნად;
- ინტერნეტის გამოყენება ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის, „ფსიქოლოგიური ტერორიზმის“ ინიცირებისათვის.

¹¹⁵ გურემიძე ს., სტატია, „ტერორიზმი ინტერნეტში“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, V, თბ., 2008, 67;

¹¹⁶ Tropina Tatyana Lvovna (2005) - Cybercriminality: concept, a condition, criminally-legal measures of struggle from <http://www.crime.vl.ru/index.php?p=986&more=1&c=1&tb=1&pb=1>;

- ინტერნეტის საშუალებით საზოგადოებაში შიშისა და პანიკის დასანერგად ან დეზინფორმირების გზით ადამიანების შეცდომაში შესაყვანად. აგრეთვე, ტერორისტული ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ ინტერნეტის მსოფლიო ქსელს სხვადასხვა ჭორის და მათ შორის საგანგაშო ინფორმაციის გასავრცელებლად;
- ტერორისტულ საქმიანობაში სათანადო პოტენციალის და გამოცდილების მქონე პიროვნებების ჩასართავად, რომელთათვისაც ცნობილი არ უნდა იყოს მათი საქმიანობის ნამდვილი მიზანი. მაგალითად, კომპიუტერული ხულიგნების დაყოლიება, რომელთათვის უცნობია, თუ რას ემსახურება მათი სამომავლო საქმიანობა;¹¹⁷
- ელექტრონული ფოსტით ან ელექტრონული შეტყობინებების „დაფებით“ დაშიფრულ შეტყობინებათა გასაცვლელად;
- ტერორისტული შინაარსის ვებგვერდების განსათავსებლად, სადაც საუბარია ფეთქებად ნივთიერებებსა თუ საშუალებებზე, შხამებზე, მომწამვლელ გაზებსა და მათი დამოუკიდებლად მიღება-დამზადების ინსტრუქციებზე“.¹¹⁸

ინტერნეტის საომარ მოქმედებებში გამოყენება თანამედროვე მეთოდია და მასში ხშირად არიან ჩართული რიგითი მოქალაქეები თუ კიბერსაომარი საშუალებებით შეიარაღებული ან ნაწილობრივ შეიარაღებული მებრძოლები. ასეთ განვითარებას სამი სახის შედეგი აქვს: პირველი - სხვადასხვა ჯგუფი, რომლებიც სახელმწიფოს სახელით არ მოქმედებენ. მეორე - სახელმწიფო ძალები გადადიან მოქმედების ახალ სტრატეგიებზე და ქმნიან ან იყენებენ კიბერმებრძოლთა ჯგუფებს და მესამე - ინტერნეტის მეშვეობით იწყება ახალი სახის მებრძოლთა ტიპის ჩამოყალიბება, რასაც ინდივიდუალური კიბერმებრძოლები ეწოდება. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობას არა მხოლოდ შემწყნარებლური დამოკიდებულება აქვს კიბერკრიმინალური დაჯგუფებების მიმართ, არამედ ქირაობს კიდევ მიზანში ამოღებული ქვეყნების წინააღმდეგ“.¹¹⁹ „ყურადსაღებია

¹¹⁷ Сибиряков С. Л. , криминологическое Характеристика и Профилактика Компьютерных преступлений, Волгоград, 1999 с.7.11;

¹¹⁸ ნაკაშიძე გ., სტატია, „კიბერტერორიზმი - XXI საუკუნის მწვავე გამოწვევა“, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, №4 ივლისი-აგვისტო, 2012, 170;

¹¹⁹ მშვიდლობაძე ხ., გლობალური მნიშვნელობის კიბერდომეინი და ახალი გამოწვევები, ექსპერტის აზრი, №11, 2013, გვ 7;

ტერმინი „ქსელური ომი“ რომელიც დევიდ რონფელდმა და ჯონ არკრილამ შემოიტანეს. დევიდ რონფელდის განსაზღვრებით ომის ეს სახეობა - „წარმოადგენს საზოგადოებრივი კონფლიქტის ერთ-ერთ სახეს, რომელიც წარმოებული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით მიმდინარეობს ინტერნეტის მეშვეობით“.¹²⁰ ჯონ არკრილას განმარტებით კი, „ქსელური ომი“ - „სოციალურ დონეზე, ტრადიციული საომარი ძალის გამოყენების გარეშე, კონფლიქტების წარმოების ახალი ხერხია, როდესაც პროტაგონისტები (მთავარ როლში მყოფი ადამიანები) იყენებენ ორგანიზაციის ქსელურ ფორმებს და მასთან დაკავშირებულ დოქტრინებს, სტრატეგიებს და ტექნოლოგიებს, რომლებიც შეესაბამება ინფორმაციული საზოგადოებას ეპოქას.“¹²¹

„ინფორმაციული ომის განსაზღვრების ძირითად ცნებებს წარმოადგენს netwar და cyber war. ორივე კონფლიქტის წარმოების ერთგვარ ფორმაა, რომლის დროსაც შესაძლებელია გამოიყენონ კიბერტერორიზმის მეთოდები და საშუალებები. netwar – კიბერსივრცეში კონფლიქტის წარმოებაა სოციალურ დონეზე, ხოლო cyber war - კიბერსივრცეში კონფლიქტის წარმოებაა სამხედრო დონეზე. მათ შორის განსხვავება კიბერსივრცეში კონფლიქტის წარმოების ფორმა და მიზანია“.¹²²

„კიბერტერორიზმი წარმოადგენს კიბერშეტევის ერთ-ერთ სახეს. მის ნათელ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ პოლიტიკური მოტივაციის მქონე კიბერშეტევა, რომელიც იწვევს სიკვდილიანობას ან სხეულის დაზიანებას, აფეთქებას ან მნიშვნელოვან ეკონომიკურ დანაკლისს. შეტევა, რომ მივიჩნიოთ კიბერტერორიზმად, ის უნდა ატარებდეს პიროვნების ან ქონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობის სახეს, ან უნდა იწვევდეს შიშისათვის საკმარის საფუძველს.“

3.5. ბირთვული ტერორიზმი

ბირთვული ტერორიზმი - ტერორიზმის სპეციფიკური ნაირსახეობაა, რომლის დროსაც ძალადობის ინსტრუმენტად გამოიყენება ბიოლოგიური, ქიმიური, ბირთვული იარაღი,

¹²⁰ Arquilla J. and Ronfeldt D. (1993) - CYBERWAR IS COMING!: Both Netwar and Cyberwar Are Likely – pp. № 27;

¹²¹ Arquilla J. and Ronfeldt D. (2001) Networks And Netwars- THE ADVENT OF NETWAR (REVISITED): Defining Netwar pp. № 6;

¹²² ნაკაშიძე გ., სტატია, „კიბერტერორიზმი - XXI საუკუნის მწვავე გამოწვევა“, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, №4 ივლისი-აგვისტო, 2012, 172

ან მათი კომპონენტები. მათ გააჩნიათ მოქმედების ფართო დიაპაზონი, როგორც შესაძლო ზიანის ხასიათისა და ხარისხის, ისე მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით. მსგავსი იარაღის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა უზარმაზარი მსხვერპლი, ეპიდემიის დიდი კერების აღმოცენება, ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედება და ა.შ.¹²³ სპეციალისტების ვარაუდით, მაგალითად, ბიოლოგიური ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის ტერორისტებს შესაძლებელია სულაც არ დასჭირდეთ ლაბორატორიები სამეცნიერო კვლევების ჩატარების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოყვანისთვის მათ „თათებიანი“ ჯარისკაცების (მწერების) გამოყენებაც შეუძლიათ. კერძოდ, სხვადასხვა დაავადებებით დასნებოვნებული მწერები შეიძლება მიუსიონ კონკრეტულ ადამიანებს ან გაავრცელონ რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე. 1999 წელს ციებ-ცხელების აფეთქებამ დასავლეთ ნილოსში 1700 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ამ ეპიდემიის განზრახ გავრცელების უკან კი ერაცის მაშინდელი ლიდერი სადამ ჰუსეინი იდგა. 2000 წლის ოქტომბერში ტაივანის სპეცსამსახურებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ არატიპური პნევმონიის ეპიდემია ჩინეთის ბიოლოგიური იარაღის ტესტირების შედეგი იყო. ბიოლოგიური იარაღი უფრო ადვილად შეიძლება მოხვდეს ტერორისტების ხელში, ვიდრე ბირთვული. ტერორისტული მიზნით აღნიშნული იარაღისა და ნივთიერებების გამოყენების შესაძლო ობიექტებია მასობრივი თავშეყრის ადგილები (მეტროპოლიტენი, სადგური, აეროდრომი), წყალგაყვანილობის ქსელი, მათი რეზერვუარები, სურსათის საწყობები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, სამხედრო ბაზები, საკომუნიკაციო კვანძები და სხვა. ტერორიზმის იგივე სახეობად შეიძლება ჩაითვალოს ტერორისტების მიერ ბირთვული, ქიმიური ან ძლიერი ტექნოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტების ხელში ჩაგდება, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ინტერესებს, იწვევს მოსახლეობის დაშინებას.

¹²³ ჯემალ გახოკიძე "ეროვნული უსაფრთხოების თავისებურებანი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში", თავი მესამე გვ. 205-249 თბილისი 2003წ

3.6. პოლიტიკური ტერორიზმი

ტერორიზმს პოლიტიკაში ყველაზე ხშირად იყენებს პროგრესის უახლესი მიღწევები: საიდუმლო ტერორისტული დაჯგუფებები, რომლებიც მოქმედებენ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად, იყენებენ ყველაზე თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს, ხშირად იცვლიან დისლოკაციის ადგილს. მაშასადამე, პოლიტიკურ ტერორიზმი გულისხმობს ნახევრად ლეგალური ან არალეგალური ჯგუფების მიერ საკმარისი პერიოდულობით დაგეგმილი ძალადობრივი შეიარაღებული აქციები, რომელთა მიზანია დამინების გზით ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა და გარკვეული შედეგის მიღწევა.¹²⁴

ტერორისტების პოლიტიკური მიზნები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: **საგარეოპოლიტიკური და შიდაპოლიტიკური.**

შიდა პოლიტიკური მიზნები მიიღწევა შიდა ურთიერთობების სფეროში, რომლის წევრებიც არიან სახელმწიფო, მისი სააგენტოები, საჯარო და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, მოსახლეობა. ამ სახის მიზნების სტრუქტურაში შეიძლება გამოიყოს მიზნები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად ან ქვეყნის საზღვრებთან არის დაკავშირებული. შიდა პოლიტიკურ მიზნებს მიეკუთვნება სეპარატისტული, რომელიც მოიცავს სუვერენული სახელმწიფოსგან არაკონსტიტუციურად ნაწილების გამოყოფას და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებას.

საგარეო პოლიტიკური მიზნები ხორციელდება ტერორისტული საქმიანობის სუბიექტების მიერ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სფეროში. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია დესტაბილიზაცია, რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ურთიერთობის ცვლილება სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში მიზნის იდეოლოგიური საფუძველი შეიძლება ემსახურებოდეს ქვეყნის დაცვის კონცეფციას „ამერიკული იმპერიალიზმის“ ექსპანსიისაგან, ბურჟუაზიული „ამორალური

¹²⁴ იხ. Шабалин В.А. (1994 № 4). Политика и преступность. Государство и право ст.11

კულტურისაგან“, აგრესიულ საგარეო პოლიტიკურ ქმედებებში მონაწილეობისაგან და ა.შ. გარდა ამისა, საგარეო პოლიტიკური მიზნებში შედის: ახალი სახელმწიფოების შექმნა არსებულ საგარეო დამოკიდებულებაში შეჭრის შედეგად, რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოსთვის საერთაშორისო არენაზე ავტორიტეტის შელახვა, საერთაშორისო აქციების მარცხი, რომელიც მიმართულია რეგიონული და საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებისაკენ, პროტესტის გამოხატვა ცალკეული სახელმწიფოების პოლიტიკის მიმართ და სხვა.

პოლიტიკური ტერორიზმის მთავარი მიზანი არის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების რღვევა, კონკრეტული პოლიტიკური ლიდერებისა და სახელმწიფოს მეთაურების ჩამოშორება; ამ ტიპის აქტებიდან ყველაზე გახმაურებული იყო პრეზიდენტების მკვლელობა: აშშ-ს პრეზიდენტის ჯონ კენედი, ანვარ სადათის ეგვიპტეში, სალვადორ ალენდე ჩილეში, ინდოეთის პრემიერ მინისტრები ინდირა და რაჯივ განდები, იცხაკ რაბინი ისრაელში;

3.7. სოციალური ტერორიზმი

სოციალურ სფეროში ტერორისტები უფრო ხშირად იყენებენ ისეთ აქციებს, რომლებიც იწვევს „ანონსირებულ ზარალს“ - გაზის აფეთქების მუქარა, წყლის რეზერვუარების მოწამვლა და ა.შ. ამ ტიპის ტერორიზმის სახიფათოა მოსახლეობის მარგინალური ჯგუფების ზრდით განვითარებულ საზოგადოებებში, უთანასწორობის ზრდით, დემონსტრაციული აქციების სურვილით, რომელზეც აქტიურად რეაგირებენ მედიასაშუალებები.

სოციალური ტერორიზმი დაკავშირებულია ტერორისტული აქტების განხორციელებასთან არა მარტო ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, არამედ, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და მასთან ერთად სოციალური წყობის შესაცვლელად.

სოციალური ტერორიზმი მოიცავს ორი სახის ტყვეობის ფორმებს - რადიკალურ მემარცხენეს და რელიგიურს - ამ კონკრეტულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური სისტემის შეცვლას. საერთაშორისო სოციალური ტერორიზმის

ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურ და საფრთხისმომცველ სახედ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისლამური ტერორიზმი.¹²⁵ სინამდვილეში, ხშირად შესაძლებელია რამდენიმე ფორმისა და მეთოდის ტერორიზმის შემთხვევას ჰქონდეს ადგილი. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი სპეციფიკა და ეს კიდევ სრულად არაა შესწავლილი. მაგალითად, ყველა შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს რელიგიური იდეები და გრძნობები.

ეს ტერორიზმის კლასიფიკაციის არასრული ჩამონათვალია მკვლევარი ვ.პ. ემელიანოვი მიიჩნევს, რომ იურიდიულ მეცნიერებაში არსებობს ტერორიზმის არაზუსტი კლასიფიკაცია, მაგალითად, როდესაც სახელმწიფო, პოლიტიკურ, რელიგიურ და ა.შ. ტერორიზმთან ერთად გამოიყოფა სისხლისსამართლებრივი ტერორიზმიც. ემელიანოვის მტკიცების თანხმად, ნებისმიერი ტერორიზმი სისხლის სამართლებრივია და არა სისხლის სამართლებრივი ტერორიზმი უბრალოდ არ არსებობს. ამასთანავე თავად სისხლის სამართლებრივი ტერორიზმი იყოფა დანაშაულის მოტივაციის (პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური და სხვ.) და სუბიექტის (ჩადენილი საკუთარი ქვეყნის მოქალაქის ან უცხოელის, გარკვეული უფლებამოსილების არმქონე პირის ანდა რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლის მიერ) მიხედვით.¹²⁶ ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა და გასათვალისწინებელია მკვლევარ ა.ვ. ნაუმოვის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ „სისხლის სამართლებრივი“ ტერორიზმის გამიჯვნა „არა სისხლის სამართლებრივი“ ტერორიზმისგან შესაძლებელია მხოლოდ მისი მოტივაციის მიხედვით, ანუ კრიმინოლოგიურ ან ფსიქოლოგიურ დონეზე. სისხლის სამართლის კანონის ფარგლებში ნებისმიერი ტერორიზმი – სისხლის სამართლებრივია, ვინაიდან ის სისხლის სამართლის კანონის დარღვევას წარმოადგენს.¹²⁷

რამდენადაც ტერორიზმს გააჩნია სხვადასხვა გამოვლინებები, მისი კლასიფიკაციისათვის აუცილებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა საფუძვლები

¹²⁵ Ожиганов Э. Н. Профиль терроризма: природа, цели и мотивации. (2006, № 2.). СОЦИС . СТ.44

¹²⁶ Емельянов В.П. Террористический акт и акт терроризма: понятие соотношение, разграничение. // Законность (2002 № 7). СТ.15

¹²⁷ ავტორთა კოლექტივი. „კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემები“. თბილისი. (2002), გვ.57 და Walker/Spohn/DeLone. The color of Justice . (2002) PP.15-16

(კრიტერიუმები). ამდენად, ტერორიზმის კლასიფიცირება შეიძლება როგორც მოტივაციის მიხედვით, ასევე დანაშაულის სუბიექტის მიხედვით.

დღესდღეობით, ტერორიზმის კლასიფიკაციის პრობლემატიკაზე მომუშავე სპეციალისტები თვლიან, რომ შესაძლებელია ტერორიზმის 20-ზე მეტი ნაირსახეობის გამოყოფა, რომელთა შორისაა ე.წ. და გავრცელებული პოლიტიკური, რელიგიური, ნაციონალურ-სეპარატისტული, ქიმიური, ბიოლოგიური, ნარკოტიკული და კომპიუტერული ტერორიზმი (ამ აქტებს ხშირად კომპიუტერული ჰაკერები მიმართავენ). თუმცა, გარდა ჩამოთვლილი და ამ დროისათვის გავრცელებული ტერორიზმის სახეებისა, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ახლო მომავალში შესაძლოა აქტუალური გახდეს კოსმოსური ტერორიზმიც, რომლის დროსაც მუქარა ან ტერაქტი განხორციელდება პირდაპირ კოსმოსიდან.¹²⁸

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით კი ნათელია, რომ ტერორიზმი წარმოადგენს რეალურ საფრთხეს ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული უშიშროებისთვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საერთაშორისო მასშტაბები შეიძინა, მათ შორის გამონაკლისი არც საქართველოა, რადგან ტერორიზმის საფრთხე ემუქრება ყველა ქვეყანას, განსაკუთრებით კი საქართველოს მსგავს დამოუკიდებელ ქვეყნებს, რომლებიც რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში ცხოვრობენ, გამომდინარე აქედან აუცილებელია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამოქმედდეს ისეთი საერთაშორისო მძლავრი ინსტიტუტი, როგორცაა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო „,ICC“.

¹²⁸ ჭილიტაშვილი ა. (2009). ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში გვ.45-46

თავი IV . ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმები

ტერორიზმმა ბოლო წლებში შეიძინა ფართომასშტაბიანი ხასიათი, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივი უსაფრთხოებას, სახელმწიფოთა სტაბილურობას, განურჩევლად მათი პოლიტიკური სისტემისა და საერთაშორისო ურთიერთობებისა.

XXI საუკუნეში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გახდა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის მიუხედავად მისი გეოგრაფიული მდებარეობისა, ეკონომიკური მდგომარეობისა და მოსახლეობის რაოდენობისა. ტერორიზმთან საბრძოლველად ნებისმიერი სახელმწიფოს სტრატეგიის მთავარი მიზანი არის ტერორისტული საფრთხეებისაგან მოქალაქეთა, საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესების საიმედო დაცვის უზრუნველყოფა ტერორისტული აქტების ჩახშობისა და აღკვეთის გზით.

ტერორიზმთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიას წარმოადგენს - ყოვლისმომცველი ეფექტური სისტემის განვითარება, რომელიც აერთიანებს ტერორიზმთან ბრძოლისათვის ყველანაირ ძალასა და საშუალებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ტერორიზმის მიერ გამოწვეული საშიში შედეგების აღმოფხვრას ან მინიმუმამდე შემცირებას.

ტერორიზმის წინააღმდეგ კარდინალური ბრძოლა მხოლოდ სახელისუფლებო სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან შეუძლებელია. ეს არის ზოგადსაკაცობრიო პრობლემა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია ყველა სამთავრობო დაწესებულებები, საზოგადოებრივი გაერთიანებების, პოლიტიკური პარტიების, რელიგიური ორგანიზაციების, მედიის, კანონმორჩილი მოქალაქეების ჩართულობა. ტერორიზმთან ბრძოლისას წარმატება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება სამოქალაქო საზოგადოება სრულად განვითარებული.

4.1. ერთა ლიგა ტერორიზმის წინააღმდეგ

საერთაშორისო ნორმატიული საშუალებებით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიული სათავეები უკავშირდება მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთა ლიგის ფარგლებში სიხლის სამართლის კანონმდებლობის უნიფიკაციის პროცესს. 1931 წელს პარიზში სიხლის სამართლის ასოციაციის რიგით მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაზე ტერორიზმის წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის თანახმადაც:

მუხლი პირველი - ის ვინც მოსახლეობის დაშინების მიზნით ფიზიკური პირების ან საკუთრების წინააღმდეგ გამოიყენებს ბომბებს, ნაღმებს, ასაფეთქებელ ან აალებად საშუალებებს, ცეცხლსასროლ იარაღს ან სხვა მომაკვდინებელ და გამანადგურებელ მოწყობილობებს, ვინც გამოიწვევს ან შეეცდება გამოიწვიოს ეპიდემიები და სხვა კატასტროფები, ვინც შეაფერხებს ან შეეცდება შეაფერხოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების მუშაობა დაისჯება.

მუხლი მეორე - ის ვინც განზრახ დაამზადებს, შეინახავს, შემოიტანს ან გადაზიდავს პირველ მუხლში ჩამოთვლილ საგნებს ამავე მუხლში აღწერილი დანაშაულის ჩასადენად დაისჯება.

1933 წელს მადრიდში სიხლის სამართლის ასოციაციის რიგით მეხუთე საერთაშორისო კონფერენციამ ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული რეზოლუცია განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვით მიიღო:

მუხლი პირველი: ის, ვინც არსებული სოციალური წყობის განადგურების მიზნით რაიმე ხერხით ტერორიზმს უწევს მოსახლეობას, - დაისჯება...

მუხლი მეორე: ის, ვინც განზრახ დაამზადებს, შეინახავს, შემოიტანს ან გადაზიდავს გარკვეულ მასალებს ან საგნებს, რომლებიც განკუთვნილია პირველ მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის ჩასადენად, - დაისჯება...

მუხლი მესამე: ის, ვინც ამა თუ იმ ფორმით საჯაროდ მოუწოდებს პირვე-ლი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისაკენ ან ხოტბას შეასხავს აღნიშნულ დანაშაულს ან მის ჩამდენს, - დაისჯება...

1934 წელს საფრანგეთში, ქალაქ მარსელში მოკლეს იუგოსლავიის მეფე ალექსანდრე I და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლუი ბარტუ. აღნიშნულმა მოვლენებმა ერთა ლიგის საქმიანობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საგრძნობლად გააქტიურა. ერთა ლიგის საბჭომ შექმნა კომიტეტი, რომელშიც შევიდა 11 სახელმწიფოს წარმომადგენლი და რომლის მიზანს შეადგენდა ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის შემუშავება. კომიტეტმა შეიმუშავა ორი კონვენციის პროექტი: “ტერორიზმის თავიდან აცილებისა და მისი ჩამდენი პირების დასჯის შესახებ” და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დაარსების შესახებ. აღნიშნული კონვენციები ხელმოსაწერად გაიხსნა 1937 წელს.

“ტერორიზმის თავიდან აცილებისა და მისი ჩამდენი პირების დასჯის შესახებ” კონვენციაში, რომელიც ერთა ლიგამ 1937 წელს მიიღო, ტერორისტული აქტის ფარგლები ძალზე ფართოდ იყო გაგებული და მასში მოიაზრებოდა - განზრახი მოქმედება რომელიც მიმართული იყო სახელმწიფო მეთაურების და დიპლომატიური წარმომადგენლების სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების განადგურების ან დაზიანებისკენ, ასევე ქმედებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანთა სიცოცხლეს. დანაშაულად განიხილებოდა საბრძოლო იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობების, მომწამლავი ნივთიერებების წარმოება, შექმნა, შენახვა ან მიწოდება. დასჯადად იქნა გამოცხადებული დანაშაულებრივი ორგანიზაციების შექმნა ტერორისტული აქტის ჩადენის მიზნით, აგრეთვე მსგავს ორგანიზაციაში მონაწილეობა.¹²⁹

მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო ერთა ლიგის 1937 წლის “ტერორიზმის თავიდან აცილებისა და მისი ჩამდენი პირების დასჯის შესახებ” კონვენცია ძალაში არ შესულა, რადგანაც სახელმწიფოებმა მისი რატიფიცირება ვერ მოახდინეს.

¹²⁹ იხ. კონვენციის ტექსტი : UN A/C. 6/418

4.2. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაეროს) ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

საერთაშორისო საზოგადოებამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განაახლა და გაეროს ეგიდით მიღებულ იქნა 19 საერთაშორისო შეთანხმება და დამატებითი ოქმი.

ტერორისტული ხასიათის დანაშაულის წინააღმდეგ მიღებული პირველი აქტი იყო ტოკიოს 1963 წლის კონვენცია, საჰაერო ხომალდზე დანაშაულებრივი და სხვა სახის ქმედებების აკრძალვის შესახებ. აღნიშნული კონვენცია გამოიყენება იმ აქტების წინააღმდეგ, რომლებიც ხელყოფს საჰაერო ფრენის უსაფრთხოებას.

1970 წელს ჰააგაში მიღებულ იქნა კონვენცია საჰაერო ხომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდების წინააღმდეგ.¹³⁰ საჰაერო ტრანსპორტის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული აქტები გაეროს კონვენციაში მოაზრებულია, როგორც საერთაშორისო ხასიათის ტერორისტული დანაშაულები.

1971 წელს ჰააგაში მიღებულ იქნა კონვენცია სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ ჩადენილი უკანონო ქმედების შესახებ - ეხება იძულებით ქმედებას, რომელიც უკანონოდ და განზრახ მიმართულია ხომალდში მყოფი პირის წინააღმდეგ და საშიშროებას უქმნის ხომალდის უსაფრთხოებას.

1973 წლის 14 დეკემბერს ქალაქ ნიუ-ორკში მიღებულ იქნა კონვენცია საერთაშორისოდ დაცული პირების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ. აღნიშნული კონვენციის მიღება განაპირობა დიპლომატიური აგენტებისა და სხვა საერთაშორისოდ დაცული პირების უსაფრთხოებისათვის უზრუნველყოფის განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საკითხებში.

¹³⁰ გორაშვილი გ. . (2011, თბილისი). ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება გვ.30

1979 წელს ნიუ-ორკში მიღებულ იქნა საერთაშორისო კონვენცია მძევლების აყვანის წინააღმდეგ .¹³¹ აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ „როგორც დანაშაულთან ბრძოლის ტაქტიკა ცხადყოფს , მძევლად აყვანის ყველა ფაქტი ვერ „აღწევს“ ტერორიზმამდე“.

1980 წლის 03 მარტს მიღებულ იქნა კონვენცია ბირთვული ნივთიერების ფიზიკური დაცვის შესახებ. კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება „განავითაროს და გამოიყენოს ბირთვული ენერჯია მშვიდობიანი მიზნისათვის“. აღნიშნული კონვენცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს ბირთვულ ნივთიერებებთან დაკავშირებული დანაშაული ეფექტურად აღკვეთონ, გამოაშკარაონ და დასაჯონ.¹³²

1988 წელს მიღებულ იქნა კონვენცია საზღვაო ნაოსნობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების აღკვეთის შესახებ, რომელიც ადგენს საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების აღსაკვეთ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც ახლოსაა საერთაშორისო ავიაციის შესახებ მიღებულ სამართლებრივ რეჟიმთან.

1991 წელს მიღებულ იქნა მონრეალის კონვენცია ასაფეთქებელი ნივთიერებების აღბეჭვდის შესახებ, მათი აღმოჩენის მიზნით, რომელიც ადგენს აღუბეჭვდელი ფეთქებადი ნივთიერებების ან მისი აღმოჩენისთვის საჭირო აღნიშვნის გარეშე გამოყენების შემცირებას, ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ თავიანთ ტერიტორიაზე ასეთ ნივთიერებებზე კონტროლი.

1997 წელს მიღებულ იქნა „საერთაშორისო კონვენცია ტერორისტული დაბომბვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

1999 წელს მიღებულ იქნა „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ კონვენცია. იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფებების საბოლოო მიზანი არ არის ფინანსური მოგების მიღება, ისინი საჭიროებენ ფულს ტერორისტული ორგანიზაციის მხარდაჭერისთვის, მომხრეების მოზიდვისთვის, ახალი ტექნოლოგიების შეძენისთვის, ტერორისტული იდეოლოგიის სხვადასხვა ქვეყნებში (უფრო

¹³¹ 1979 წლის მძევლების აყვანის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის პრეამბულა

¹³² გორაშვილი გ. ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება . (2011, თბილისი). გვ.38

განვითარებად ყვეყნებში) გავრცელებისთვის და ა.შ. ტერორისტული ორგანიზაცია შესაძლოა ფინანსდებოდეს სახელმწიფოს, რელიგიური ორგანიზაციების, ფიზიკური, კომერციული ან არაკომერციული იურიდიული პირების მხრიდან.

1999 წლის კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ მიღებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ზუსტად იმ მიზნით, რომ სახელმწიფოთა ერთობლივი ძალისხმევით თანამედროვე ტერორისტულ ორგანიზაციებს მოეშალოს ფინანსური საყრდენი.¹³³

ასევე მნიშვნელოვანია გაეროს 2005 წლის 13 აპრილის კონვენცია „ბირთვული ტერორიზმის აღკვეთის შესახებ“. აღნიშნული კონვენცია ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, კონვენციით განსაზღვრული ბირთვული ნივთიერებების დანაშაულებრივად ხელყოფის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღონ აღნიშნული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის ზომები, გააუვნებელყონ რადიოაქტიური ნივთიერება ან ასაფეთქებელი მოწყობილობა.

2006 წლის 8 სექტემბერს გაერომ ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ერთიანი საერთაშორისო დოკუმენტი შეიმუშავა და მიიღო გლობალური კონტრტერორისტული სტრატეგია. აღნიშნულ დოკუმენტს თან ერთვის სამოქმედო გეგმა. გლობალური კონტრტერორისტული სტრატეგიის შემადგენელ კომპონენტებს მიეკუთვნება: **1)** ტერორიზმის ხელშემწყობი პირობების თავიდან აცილების ღონისძიება; **2)** ტერორიზმის თავიდან აცილების და მასთან ბრძოლის ღონისძიებები; **3)** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობების ზრდა ტერორიზმის თავიდან აცილებასა და მასთან ბრძოლის ასპექტით; **4)** კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების საყოველთაო პატივისცემის პრინციპების უზრუნველყოფა ტერორიზმთან ბრძოლაში.

ტერორიზმის წინააღმდეგ შემუშავებული სამართლებრივი აქტების (კონვენციები, რეზოლუციები) ასეთი მრავალფეროვნების მიუხედავად, გაეროს მიერ მიღებული აქტებიდან არცერთი არ იძლევა ტერორიზმის ერთიან ჩამოყალიბებულ დეფინიციას,

¹³³ გორაშვილი გ. ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება (2011, თბილისი).გვ.22

რაც სავარაუდოდ იმ ფაქტით არის გამოწვეული, რომ სახელმწიფოთა შორის არ არსებობს ერთიანი პოზიცია ამ საკითხის საერთო ჩარჩოში მოსაქცევად. ერთადერთი, რაც შეტანხმებულია წევრ ქვეყანათა შორის არის ტერორიზმის მიზანი. გაეროს უშიშროების საბჭოს 1566 რეზოლუციის მიხედვით ტერორიზმის მიზანია „საზოგადოებაში, ან პირთა ჯგუფში, ან ცალკეულ პირებში ტერორის გამოწვევა, მოსახლეობის დაშინება, სახელმწიფოს ან სართაშორისო ორგანიზაციის იძულება, განახორციელონ გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავონ მისი განხორციელებისგან“.¹³⁴

4.3. ევროპის საბჭო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

ევროპის საბჭო მნიშვნელოვან ძალისხმევას წარმართავს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ევროპის საბჭოს მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები სამ მიზანს ეფუძნება: 1. სამართლებრივი ღონისძიებების გაძლიერება ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით; 2. ფუდამენტური დემოკრატიული ღირებულებების დაცვა; 3. ტერორიზმის განმაპირობებელ მიზეზებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა. მოცემული მიმართულებით წარმართული მუშაობის ფარგლებში, ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულია მთელი რიგი სამართლებრივი ინსტრუმენტები, მათ შორის:

ტერორიზმის აღკვეთის შესახებ ევროპული კონვენცია [ETS No. 90] და შემსწორებელი ოქმი [ETS No. 190];

ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ [ETS No. 24] და მისი პირველი და მეორე დამატებითი ოქმები [ETS No. 86 და ETS No. 98];

ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ [ETS No. 30] და მისი პირველი და მეორე დამატებითი ოქმები [ETS No. 99 და ETS No. 182];

ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საქმეების გადაცემის შესახებ [ETS No. 73];

¹³⁴ [http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=S/RES/1566\(2004\)](http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=S/RES/1566(2004)) გადამოწმებულია 10.06.19 წელს

ევროპული კონვენცია ძალადობრივი დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირების კომპენსაციის თაობაზე [ETS No. 116];

კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ [ETS No. 141];

კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ [ETS No. 185] და დამატებითი ოქმი კომპიუტერული სისტემების მეშვეობით ჩადენილი რასისტული ან ქსენოფობიური ქმედებების კრიმინალიზაციის შესახებ [ETS No. 189];

ევროპის საბჭოს კონვენცია ტერორიზმის პრევენციის თაობაზე [CETS No. 196];

ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების, კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ [CETS No. 198].

ევროპის საბჭომ არაერთგზის გაუსხვა ხაზი, რომ ტერორიზმთან ბრძოლა ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპის დაცვით უნდა განხორციელდეს.¹³⁵

ზემოთხსენებული მიზნით 2002 წლის ივლისში მინისტრთა კომიტეტმა სახელმძღვანელო პრინციპები მიიღო ადამიანის უფლებათა პატივისცემისა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე. სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას ყველა პირი ტერორიზმის საფრთხისგან, და იმავდროულად თავი შეიკავოს მიკერძოებული ზომების გატარებისაგან და უზრუნველყოს ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით განხორციელებული ყველა ღონისძიების მართლზომიერება და წამების აკრძალვა.

აღსანიშნავია, რომ არც ევროპის საბჭო გვაძლევს ტერორიზმის საერთო განსაზღვრებას, იგი ტერორიზმს განმარტავს მკხოლოდ იმ გაგებით და იმ დანაშაულებებთან მიმართებით, რომლებიც მითითებულია შესაბამის კონვენციაში. თუმცა აღსანიშნავია „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ევროპული კონვენციისა და მისი შემცველი ოქმისგან განსხვავებით, ევროსაბჭოს კონვენციის პრემულაში მითითებულია ტერორიზმის მიზანი და იგი გაგებული, როგორც „მოსახლეობის სერიოზულად

¹³⁵ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) დასკვნა N8, სტრასბურგი, 2006 წლის 10 ნოემბერი

დაშინება ან სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის უკანონო იძულება, განახორციელოს ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისგან, ა სერიოზულად შეარყიოს ან გაანადგუროს ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურები“. გასათვალისწინებელია, რომ ევროპის საბჭოს კონვენცია არ მიიჩნევს ტერორისტული მოტივაციის არსებობას სავალდებულოდ ქმედების ტერორიზმაზ კვალიფიკაციისთვის.¹³⁶

ევროპის საბჭოს კონვენციის სიახლე მდგომარეობს იმაში, რო იგი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, დასჯადი გახადონ ისეთი ქმედებები, როგორებიც არის „ტერორისტული დანაშაულის ჩადენის მიზნით საჯარო წაქეზება“, „ტერორიზმის მიზნით პირთა გადაბირება“ და „ტერორიზმის მიზნით პირთა წვრთვნა“. აღსანიშნავია, რომ ევროსაბჭოს კონვენცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს თავიანთ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში მოახდინონ აღნიშნული დანაშაულებების იმპლემენტაცია.

4.5. ევროპის კავშირი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

ევროკავშირი გახლავთ ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც შეიმუშავა წევრ სახელმწიფოთა მიერ ერთობლივად გამოყენებადი ტერორიზმის საერთო განსაზღვრება. ტერორიზმის საერთო დეფინიციის არსებობის აუცილებლობის საკითხი მხოლოდ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დადგა დღის წესრიგში. სახელმწიფოთა მოლაპარაკების შემდეგ საბჭომ 2002 წლის 13 ივნისს მიიღო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო - გადაწყვეტილება.

ჩარჩო-გადაწყვეტილება პირველი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც შეიცავს არა მხოლოდ ტერორიზმის დეფინიციას, არამედ „ტერორისტულ ჯგუფებთან დაკავშირებულ დანაშაულებს“. იგი არ არ ასხვავებს ერთმანეთისგან საერთაშორისო და შიდა ტერორიზმს.

¹³⁶ Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism. Rm.coe.int/168008371c, გადამოწმებულია 10.06.19 წელს.

ჩარჩო-გადაწყვეტილების პირველ მუხლს ახასიათებს ორი ობიექტური (შიდა კანონმდებლობის მიხედვით დასჯადობა და პოტენციური შედეგები) და ერთი სუბიექტური ელემენტი (მიზანი).

„თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები იმისთვის, რომ მათი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით განმარტებული „ა“ და „ი“ პუნქტებამდე მითითებული განზრახი დანაშაულები, რომლებსაც თავიანთი ბუნებისა და შინაარსის გამო შეუძლია სერიოზულად დააზიანოს სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია, როდესაც დანაშაულს ჩაიდენს იმ მიზნით, რომ სერიოზულად დააზიანოს მოსახლეობა, ან უკანონოდ აიძულოს სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია, განახორციელოს ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისგან, ან სერიოზულად შეარყიონ ან გაანადგურონ ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურები.

მეორე ობიექტური ელემენტი, უბრალოდ მოითხოვს, რომ ქმედება, თავისი ხასიათითა და შინაარსით, დაზიანების საფრთხეს უქმნიდეს სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას.

ჩარჩო-გადაწყვეტილება მოითხოვს ტერორისტული ქმედებების ჩადენისას სპეციალური მიზნის არსებობას და დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენისთანავე უყურადღებოს ტოვებს მოტივს (რელიგიური, ეთო სეპარატისტული, პოლიტიკური...) რადგან მოტივთა კლასიფიკაციას მნიშვნელობა არ აქვს ტერორიზმის დეფინიციისას.¹³⁷

ჩარჩო გადაწყვეტილებაში ასევე ვხვდებით ჯგუფის განმარტებას, რომლის მიზნებისთვის „ტერორისტული ჯგუფი“ ნიშნავს ორზე მეტი პირისგან შემდგარ, სტრუქტურულ ჯგუფს, რომელიც ჩამოყალიბებულია გარკვეული პერიოდით და ერთობლივად მოქმედებს ტერორისტულ დანაშაულთა ჩასადენად. ჩარჩო გადაწყვეტილების მე-3 მუხლი ეხება ტერორისტულ ქმედებებთან დაკავშირებულ დანაშაულებს. ჩარჩო გადაწყვეტილება, ასევე აკისრებს მონაწილე სახელმწიფოებს დასაჯონ ტერორიზმის წამქეზებლები, დამხმარეები, ხელშემწყობნი ასევე დანაშაულის

¹³⁷ სუჯაშვილი.დ. „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“, თბილისი 2018 წ. გვ64

მცდელობაც. აქვე აღსანიშნავია, რომ თანამონაწილეობის ფორმებისა და მცდელობის განმარტება გადაწყვეტილების მიხედვით სახელმწიფოთა დისკრეციული უფლებაა.¹³⁸

აქვე აღსანიშნავია ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 28 ნოემბრის 2008/919/JHA ჩარჩო გადაწყვეტილება,¹³⁹ რომლითაც ცვლილებები შევიდა 2002/475/ JHA ჩარჩო გადაწყვეტილებაში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ.

4.6. ინტერპოლი და ევროპოლი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

ინტერპოლი და ევროპოლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო მასშტაბით საერთაშორისო ტერორიზმის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. XX-XXI საუკუნის მიჯნაზე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე აქტუალური გახდა ინტერპოლის როლის ზრდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ტერორიზმი უძველესი დროიდან იღებს სათავეს, თუმცა მის მიმართ დამოკიდებულება წარსულში ხშირად განსხვავებული იყო.¹⁴⁰

ინტერპოლის კონსტიტუციის მე-3 მუხლში მოცემული აკრძალვა ორგანიზაციის პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური და რასობრივი ხასიათის საქმეებში ჩაურევლობაზე ზღუდავდა ინტერპოლს, რადგან სახელმწიფოების მხრიდან ჩადენილი ქმედების განსხვავებულად გაგება, კერძოდ, ტერორისტულ აქტად, პოლიტიკურ დანაშაულად ან სხვა სახით კვალიფიკაცია XX საუკუნის 70-იან წლებში ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივ თანამშრომლობაში წარმოადგენდა დამაბრკოლებელ გარემოებას.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ხელშემკვრელმა სახელმწიფომ შეიძლება გადაწყვიტოს არ მიიჩნიოს პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად ან პოლიტიკური მოტივებით განპირობებულ დანაშაულად ადამიანის

¹³⁸ Council Framework Decision eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32002F0475

¹³⁹ საბჭოს 2008 წლის 28 ნოემბრის 2008/919/JI ჩარჩო გადაწყვეტილება, (ხელმისაწვდომი: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/?uri=celex%3A32008F0919>), რომელიც თავის მხრივ 2002 წლის ჩარჩო გადაწყვეტილებაზეა აგებული.

¹⁴⁰ გვარამია ვ. „ინტერპოლი და ევროპოლი“ საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2009. გვ.138 -155.

სიცოცხლის, ჯამრთელობისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ისეთ სერიოზულ ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულები, რომელიც არ არის გათვალისწინებული პირველი მუხლით. აღნიშნულ კონვენციაში მოცემულმა დებულებებმა ინტერპოლს საშუალება მისცა აქტიურად ჩართულიყო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1970 წელს ინტერპოლის გენერალურმა ასამბლეამ ბრიუსელის შეხვედრაზე გადაწყვიტა, რომ ეთანამშრომლათ სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების სფეროში. 1971 წელს მიღწეული იქნა შეთანხმება ინტერპოლს მიეღო ზომები იმ პერიოდში ფართოდ გავრცელებული გამოძალვის მიზნით შანტაჟის აღსაკვეთად. 1979 წელს ნაირობიში ინტერპოლის გენერალური ასამბლეის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მიეღოთ შესაბამისი ზომები ისეთი ორგანიზებული ჯგუფების წინააღმდეგ, რომელთა იდეოლოგიაც ეფუძვნებოდა მკვლელობას, ძალადობას, მძევლების აყვანას, სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევას და სხვა ისეთი ქმედებების ჩადენას, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებდა ფართო საზოგადოებას. აღნიშნულიდან ჩანს, რომ ინტერპოლი ნაბიჯ-ნაბიჯ იწყებს ბრძოლას საერთაშორისო საზოგადოებისათვის საშიშროების შემცველი დანაშაულების წინააღმდეგ. თუმცა იმ პერიოდისათვის ინტერპოლი ტერორიზმის ტერმინის გამოყენებას მაინც გვერდს უვლიდა, რაც რა თქმა უნდა, სახელმწიფოთა განსხვავებული იდეოლოგიისა და ცივი ომის პოლიტიკის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ინტერპოლმა აქტიურად დაიწყო ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ, 1985 წელს ვაშინგტონში გამართულ ინტერპოლის გენერალური ასამბლეის 54-ე სესიაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც გენერალური სამდივნოს შემადგენლობაში უნდა შექმნილიყო სპეციალური ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

1987 წელს შეიქმნა ანტიტერორისტული ჯგუფი. დღეისათვის ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთან ფუნქციონირებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ტერორიზმთან ბრძოლის განყოფილება, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობას ტერორიზმთან ბრძოლაში.

1998 წელს ქაიროში და 1999 წელს სეულში გენერალური ასამბლეის შეხვედრებზე გადაწყდა, რომ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იყო ინტერპოლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისას. მნიშვნელოვანი იყო 1999 წელს გაეროს ეგიდით მიღებული კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“, რომელმაც განავრცო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენცია. მითითებული დოკუმენტები განაპირობებდა ტერორიზმთან ბრძოლაში ინტერპოლის მეშვეობით სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტურ მექანიზმს.

აშშ-ში ტერორისტული თავდასხმის შემდეგ 2001 წლის 24–28 სექტემბერს ინტერპოლის გენერალურმა ასამბლეამ 70 შეხვედრა გამართა ბუდაპეშტში, სადაც გადასცა შეტყობინება AG-2001-RES-05 ტერორისტული თავდასხმის შესახებ, რათა განსჯის საგანი გამხდარიყო სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებზე თავდასხმა აშშ-ში, რაც გამოიხატა მასობრივ მკვლელობაში და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში. აქვე გადაწყდა უფრო ეფექტურად განხორციელებულიყო ბრძოლა ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში პრიორიტეტი უნდა მინიჭებოდა წითელი ცირკულიარის გამოცემას (ინტერპოლის საერთაშორისო ორდერი, რაც ითვალისწინებს ძებნას, დაპატიმრებას და ექსტრადიციას).¹⁴¹ საერთაშორისო ტერორიზმთან მიმართებით უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული რეფორმების შედეგად შეიცვალა ინტერპოლის დამოკიდებულება მასთან ბრძოლასთან დაკავშირებით, კერძოდ, 2003 წლიდან მიღებული იქნა გადაწყვეტილება, თუ დადასტურდებოდა ეჭვი ტერორისტული ჯგუფის წევრობაზე, გამოიცემოდა წითელი ცირკულიარი. მსგავსი დამოკიდებულება ადრეულ პერიოდში ვრცელდებოდა იმ პირების მიმართ, რომლებიც ბრალდებული იყვნენ ტერორისტულ აქტში. ცვლილება გამართლებული იყო ტერორისტული ორგანიზაციების წევრობის დანაშაულად აღიარებით. ინტერპოლის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების საკითხს, რადგან ტერორისტული აქტის ორგანიზება და ჩადენა დაკავშირებულია

¹⁴¹ Deflem Mathieu, and Lindsay C. Maybin. 2005. "Interpol and the Policing of International Terrorism: Developments and Dynamics since September 11." Pp.175-191 in *Terrorism: Research, Readings, & Realities*, edited by Lynne L. Snowden and Brad Whitsel. Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice Hall, 2005.

ფინანსებთან, ამ გარემოებიდან გამომდინარე, 1999 წელს ტერორიზმის დაფინანსების პრობლემა ინტერპოლის ერთ-ერთი მთავარი საკითხი გახდა. 2001 წელს ინტერპოლსა და ევრო პოლს შორის ხელი მოეწერა ტერორიზმთან და სხვა საერთაშორისო დანაშაულებთან სამართლებრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებას. 2002 წლიდან ინტერპოლმა შექმნა სისტემა, რომლის მიხედვითაც წევრი სახელმწიფოების პოლიციის აგენტებს ავტომატურ რეჟიმში ხელი მიუწვდებათ ტერორიზმში ბრალდებული პირების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნაზე, რომელიც შეიძლება გამოცემული იქნას წითელი ცირკულიარით, მწვანე ცირკულიარით და ლურჯი ცირკულიარით. საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური თანამშრომლობის გზაზე ხშირად გვხვდება ისეთი დამაბრკოლებელი გარემოება, როგორცაა არასრულყოფილი ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ზოგიერთ სახელმწიფოში ჯერ კიდევ არ არის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან.

შერიფ ბასსიუნი აღნიშნავს, რომ „ინტერპოლის საქმიანობა ეფექტური არ არის, რადგან აშშ მასთან არ თანამშრომლობს არ გადასცემს მას ინფორმაციას“¹⁴². 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმის შემდეგ გამოძიების ფედერალური ბიურო, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვან ინფორმაციას არ გადასცემდა ინტერპოლს და უპირატესობას ანიჭებდა ცალმხრივი ოპერაციის ჩატარებას. აღნიშნულ გარემოებას შერიფ ბასსიუნი საკამათოდ მიიჩნევს და დასძენს, თანამეგობრობასთან თუ არ იქნება თანამშრომლობა ან მოხდება მისი შეზღუდვა, ნაკლებად სავარაუდოა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იქნეს ეფექტური.¹⁴³ თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა მართებულია განხორციელდეს ცენტრალიზებული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

პატიმრობის ევროპული ორდერის დამკვიდრებამ, რომელიც ძირითადად ევროპოლის მეშვეობით გადაეცემა სახელმწიფოებს, გაამარტივა ექსტრადიციის პროცედურა ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის.

¹⁴² Bassiouni, M. Cherif. 2002. "Legal Control of International Terrorism: A Policy-Oriented Assessment." *Harvard International Law Journal* 43:83-103

¹⁴³ Bassiouni, M. Cherif. 2002. "Legal Control of International Terrorism: A Policy-Oriented Assessment." *Harvard International Law Journal* 43:83-103.

აქვე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი თანამშრომლობის სფეროში მიმდინარე პროგრესის ფონზე პრაქტიკაში გაჩნდა ინტერპოლისა და გაეროს სპეციალური ცირკულარი, რომელიც გამოიცემა ტერორისტული ორგანიზაციების წევრების მიმართ, რომლებიც გაეროს სანქციების ქვეშ ხვდებიან (U).

4.7. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ევროპულ ქვეყნებში

ევროპის უმეტეს სახელმწიფოს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აქვთ ცალკეული კანონები, ან ტერორიზმის განმარტებები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. აღნიშნული საკითხი განვიხილოთ რამოდენიმე ევროპული ქვეყნის მაგალითზე.

გერმანია

გერმანიაში ინდივიდუალური ტერორისტული აქტები ისჯება როგორც დამოუკიდებელი დანაშაულები, მაგალიათად: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ადამიანის თავსუფლების, საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის დანაშაულები, საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველი დანაშაულები, როგორცაა: ცეცხლის წაკიდება, აფეთქება ან მოწამვლა.

2009 წელს კოდექსში შევიდა სამი მუხლი, რომელთა მიხედვითაც დასჯადი გახდა არა მარტო ინდივიდუალურ პირთა მიერ ისეთი ძალადობრივი დანაშაულების მომზადება, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 89-1, 89-2, 91), არამედ ტერორისტულ ორგანიზაციებთან კონტაქტის დამყარება და შენარჩუნება ამ მიმართულებით ინსტრუქტჟის გაწევის მიზნით (იქვე, მუხ. 89-1) და მოწოდება ისეთი მძიმე ძალადობრივი ქმედების ჩადენისაკენ, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს, მაგალითად, ინტერნეტით ისეთი მოწოდებების გავრცელება, რომლებიც შეიძლება მძიმე დანაშაულთა ჩადენის საბაზი გახდეს; არ არის აუცილებელი, რომ მოწოდება შეეხებოდეს კონკრეტული ქმედების ჩადენას (მუხ. 91).

კოდექსის 129 ა მუხლის თანახმად - „ტერორისტულ ორგანიზაციების ფორმირება“ - ნებისმიერი პირი, ვინც აყალიბებს ორგანიზაციას ან როგორც წევრი მონაწილეობას იღებს ამ ორგანიზაციის საქმიანობაში, რომლის მიზანი ან საქმიანობა მიმართულია შემდეგი დანაშაულების ჩადენისაკენ: მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში,

მკვლელობა ან გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული ან საომარი დანაშაულები; ან პირადი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, გასამართლდება როგორც ტერორისტული დანაშაულის ჩამდენი.

ასევე, ვინც აყალიბებებს ორგანიზაციას ან როგორც წევრი მონაწილეობას იღებს ამ ორგანიზაციის საქმიანობაში, რომლის მიზანი ან საქმიანობა მიმართულია სხვა პირთათვის მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანების მიყენების, კომპიუტერული საბოტაჟის, ცეცხლის წაკიდების, ზოგიერთი მძიმე გარემოს დაცვითი დანაშაულის ჩადენის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დანაშაულის ჩადენისაკენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცხადია, რომ დანაშაულის მიზანია მოსახლეობის სერიოზულად დაშინება, ხელისუფლების ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება იმოქმედოს ძალადობით ან ძალადობის მუქარით, სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების მოსპობა ან მათში ისეთი ჩარევა, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას, ისჯება როგორც ტერორისტული დანაშაულის ჩადენაში მხილებული.

დასჯადია ტერორისტული ორგანიზაციის მხარდაჭერა ან ორგანიზაციისათვის წევრების ან მხარდამჭერების მიზიდვა. კოდექსში ტერორისტულ ორგანიზაციებთან ერთად შეტანილია ე.წ. „მუქარის ორგანიზაციები“, რომელთა მიზნები და საქმიანობა წარმოადგენს გარკვეული კრიმინალური დანაშაულების ჩადენის მუქარას (იქვე, მუხ. 129ა-2).

სისხლის სამართლის დევნა შეიძლება განხორციელდეს ევროკავშირის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში მოქმედი კრიმინალური თუ ტერორისტული ორგანიზაციის დაარსების, წევრობისა თუ მხარდაჭერისათვის, თუნდაც ამ ორგანიზაციას გერმანიის ტერიტორიაზე არ ჰქონდეს არც ერთი დამოუკიდებელი ფილიალი თუ საქმე ეხება ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას, დევნის დაწყება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ეჭვმიტანილი მოქმედებს გერმანიაში ან სავარაუდო დამნაშავე ან მსხვერპლი არის გერმანელი ან იმყოფება გერმანიის ტერიტორიაზე (იქვე, მუხ. 129 ბ).

ესპანეთი

ესპანეთში სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმირება განხორციელდა 2010 წელს, ცვლილებები ტერორისტული დანაშაულების კუთხით განპირობებული იყო ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 28 ნოემბრის 2008/919/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებით, რომლითაც ცვლილებები შევიდა 2002/475/ JHA ჩარჩო გადაწყვეტილებაში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ. რეფორმას ტექნიკური ხასიათის ჰქონდა და მიზნად ისახავდა კოდექსის რეორგანიზებას და ტერორისტულ დანაშაულობათა განმარტების დახვეწას, იურიდიულ პირის პასუხისმგებლობის, კრიმინალური ორგანიზაციებისა და ჯგუფების ახლებურად განმარტებას და სხვ.

კერძოდ კი, იმ ნაწილის მიხედვით, რომელიც ეხება ტერორისტულ ორგანიზაციებსა და ჯგუფებს და ტერორისტულ დანაშაულებს (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 571-580), იმ პირთა ქმედება, რომლებიც ხელს უწყობენ, ჩადიან, ორგანიზებას უწევენ ან ხელმძღვანელობენ ტერორისტულ ორგანიზაციას ან ჯგუფს, ასევე მათი ქმედება, ვინც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ასეთი ორგანიზაციის ან ჯგუფის საქმიანობაში, კვალიფიცირებულია, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული (იქვე, მუხ. 571).

სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება პირი, რომელიც, მიეკუთვნება რა ტერორისტულ ორგანიზაციას ან ჯგუფს, მოქმედებს მათ სასარგებლოდ ან თანამშრომლობს მათთან, ჩაიდინა შემდეგ დანაშაულები:

1. ქონების დაზიანება ან ცეცხლის წაკიდება, ადამიანზე თავდასხმა, რასაც მოჰყვა სიკვდილი, სხეულის დაზიანება, ადამიანის გატაცება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მუქარა ან ძალადობა. სასჯელი მკაცრდება, თუ აღნიშნული დანაშაულები ჩადენილი იქნა ხელისუფლების წარმომადგენლის, სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან პოლიციის თანამშრომლის მიმართ (იქვე, მუხ. 572).
2. იარაღის ან სამხედრო აღჭურვილობის შენახვა, ფეთქებადი, აალებადი, ცეცხლგამჩენი ან მხუთავი ნივთიერების ან მოწყობილობის (ან მათი კომპონენტების) შექმნა, შენახვა, წარმოება, ტრანსპორტირება ან მიწოდება. და ამ ნივთიერებების ან მოწყობილობების განთავსება ან გამოყენება (იქვე, მუხ. 573);

3. სხვა ისეთ დანაშაულის ჩადენა, რომელიც არღვევს კონსტიტუციურ წყობას ან სერიოზულად არღვევს მშვიდობას (იქვე, მუხ. 574);
4. თავდასხმა ქონებაზე იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ტერორისტული ორგანიზაციებისა და ჯგუფების დაფინანსება (იქვე, მუხ. 575).

სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადად მიიჩნევს ნებისმიერი სახის თანამშრომლობას ტერორისტული ორგანიზაციებისა და ჯგუფებთან მათი საქმიანობისა და მიზნების განსახორციელებლად (იქვე, მუხ. 576).

კრიმინალიზებულია ასევე ტერორიზმის დაფინანსება როგორც კერძო (მუხ. 576-1), ასევე იურიდიული პირების მიერ (მუხ. 576-3).

სისხლის სამართლის დანაშაულია ასევე ტერორისტებისა თუ ტერორისტული დანაშაულების ქება და გამართლება საჯაროდ ან ფარულად, ასევე ტერორისტული აქტის მსხვერპლთა ან მათი ოჯახის წევრთა დისკრედიტაცია, შეურაცხყოფა ან დამცირება; ტერორისტული დანაშაულის პროვოცირება, საიდუმლო შეთანხმება ან წაქეზება; ისეთი მესიჯებისა და სლოგანების გავრცელება, რომლებიც ახდენს აღნიშნული დანაშაულების პროვოცირებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას, ზრდის მათი რეალურად ჩადენის რისკს (იქვე, მუხ. 579-1).

დაბოლოს, რეფორმის შედეგად დამკვიდრდა „საერთაშორისო რეციდივიზმის“ წესი, რომლის თანახმადაც სხვა ქვეყნის სასამართლოს ან მოსამართლის განაჩენი უთანაბრდება ესპანეთის სასამართლოს ან მოსამართლის მიერ გამოტანილ განაჩენს იმ მიზნით, რომ რეციდივიზმი, გამოყენებული იქნეს როგორც დამამძიმებელი გარემოება შეიარაღებული ბანდების ან ტერორისტული ორგანიზაციებისა და ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულებების განსჯის დროს.

ფინეთი

ფინეთში ტერორისტულ დანაშაულებს არეგულირებს სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე (34ა) თავი, რომელიც კოდექსს 2003 წელს დაემატა. ამ თავში შესულია ტერორისტულ დანაშაულთა ჩამონათვალი და მათი განმარტებები, დებულებები ტერორისტული დანაშაულის დაგეგმვის, ტერორისტული ჯგუფების წაქეზების,

ხელშეწყობის და ტერორიზმის დაფინანსების, ამ დანაშაულთა სისხლის სამართლის წესით დევნისა და იურიდიული პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ამ თავის 1-ლი მუხლით კრიმინალიზებულია „ტერორისტული განზრახვით ჩადენილი დანაშაულები“. მე-6 მუხლის თანახმად, დამნაშავეს აქვს ტერორისტული განზრახვა, თუ თუკი მას განზრახული აქვს:

1. სერიოზული შიში დათესოს მოსახლეობაში;
2. არამართლზომიერად აიძულოს ქვეყნის მთავრობა ან ხელისუფლების სხვა ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია ჩაიდინოს, ნება დართოს ან თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისაგან;
3. არამართლზომიერად შეცვალოს ან შესწორება შეიტანოს ქვეყნის კონსტიტუციაში ან სერიოზულ დესტაბილიზაცია შეუქმნას სამართლებრივ წესრიგს ან სერიოზულად დააზიანოს ქვეყნის ეკონომიკა ან ქვეყნის ფუნდამენტური სოციალური სტრუქტურა;
4. სერიოზულ ზიანი მიაყენოს საერთაშორისო ორგანიზაციის ფინანსურ ან სხვა ფუნდამენტურ სტრუქტურებს.

აღნიშნული დეფინიციები ემყარება ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 13 ივნისის (2002/475/JHA) ჩარჩო გადაწყვეტილებას ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ. მას შემდეგ, რაც ფინეთში მოხდა ევროკავშირის საბჭოს 16.V.2005 კონვენციის იმპლემენტაცია ტერორიზმის თავიდან აცილების თაობაზე, საჯარო მოწოდება დანაშაულის ჩადენისაკენ (რომელიც შედის მე-17 თავის 1-ელ მუხლში), შეიტანეს ასევე ტერორისტული განზრახვით ჩადენილ დანაშაულთა ჩამონათვალში (თავი 34ა, მუხ. 1 (1), (2)). ამგვარადვე დაემატა 34ა თავს მე-4 მუხლი, სახელწოდებით „ტერორისტული ჯგუფის საქმიანობის ხელშეწყობა“. 2008 წლიდან კრიმინალიზებული გახდა ქმედებები, რომლებიც გულისხმობს ტერორისტული ჯგუფის წევრების მომზადებასა და წვრთნას და ტერორისტულ ორგანიზაციაში პირთა მიზიდვასა და ჩაბმას (იქვე, მუხ. 4 (1), 4(2)).

4.8. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმი გლობალური პრობლემაა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში მსოფლიოს არერთი სახელმწიფოა ჩართული მათ შორის საქართველოც,

რომელიც ტერორიზმთან, ბრძოლის სფეროში არსებულ მრავალი საერთაშორისო კონვენციისა თუ ხელშეკრულების მონაწილეა.

ტერორიზმის პერვენციისა და მასთან ბრძოლის შესახებ კონვენციებიდან აღსანიშნავია 1977 წლის 27 იანვრის ევროპული კონვენცია „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, 1999 წლის 9 დეკემბრის გაეროს კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“, 2005 წლის 13 აპრილის გაეროს კონვენცია „ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე“, 2005 წლის 16 მაისის ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ და სხვა.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილებით, განისაზღვრა ტერორისტული დანაშაულის ქმედების შემადგენლობების ნიშნებისა და მათთვის სანქციების შესახებ ერთიანი მინიმალური დებულებები. ტერორისტულ დანაშაულებზე ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ 2005 წლის 20 სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება კი, მიზნად ისახავს წევრ სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის გაცვლის გაძლიერებას. 2008 წლის 28 ნოემბერს ევროკავშირის საბჭომ მიიღო ჩარჩო-გადაწყვეტილება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.¹⁴⁴

აქვე აღსანიშნავია 2014 წლის საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მე-20 მუხლი¹⁴⁵, რომლის თანახმადაც მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოს მნიშვნელობას და თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ ტერორიზმის პრევენციისა და მის აღსაკვეთად შემდეგი საშუალებებით:

¹⁴⁴ ტურავა მ, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 436.

¹⁴⁵ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მე-20 მუხლი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>

ა) ტერორისტული დანაშაულების კრიმინალიზაციის უზრუნველყოფა, საბჭოს 2008 წლის 28 ნოემბრის ჩარჩო გადაწყვეტილებაში 2008/919/JHA, რომელმაც შეცვალა ჩარჩო გადაწყვეტილება 2002/475/JHA, მოცემული განმარტებების შესაბამისად;

ბ) ტერორისტული დაჯგუფებებისა და ინდივიდების და მათი მხარდამჭერი ქსელების თაობაზე ინფორმაციის გაცვლა, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, მონაცემთა დაცვასთან და პირადი ცხოვრების დაცვასთან მიმართებით;

გ) ტერორიზმის პრევენციისა და აღმოფხვრის, მისი მეთოდებისა და საშუალებების და მათი ტექნიკური ასპექტების, ასევე წვრთნების თაობაზე გამოცდილების გაცვლა, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების თანახმად;

დ) რადიკალიზაციისა და რეკრუტირების წინააღმდეგ ბრძოლისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობასთან დაკავშირებით საუკეთესო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გაცვლა;

ე) მოსაზრებებისა და გამოცდილების გაცვლა ტერორიზმში ექვმიტანილ პირთა ტრანს-სასაზღვრო გადაადგილებასა და მოგზაურობასთან, ასევე ტერორისტულ საფრთხეებთან დაკავშირებით;

ვ) ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე, სისხლის სამართლებრივ პროცედურებთან მიმართებაში, საუკეთესო გამოცდილების გაზიარება;

ზ) ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული ტერორიზმის საფრთხეების წინააღმდეგ ზომების მიღება და აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული მასალების ტერორისტული მიზნებისათვის შექმნის, გადატანისა და გამოყენების პრევენციის მიზნით, ასევე მაღალი რისკის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული საშუალებების წინააღმდეგ უკანონო ქმედებების პრევენცია.

4.8.1. ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა

შიდასახელმწიფოებრივი კანონებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია 2007 წლის 27 ივნისის საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ¹⁴⁶. მოცემული კანონი შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან, ხოლო იგი, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობას. აღნიშნული კანონის მე-20 მუხლში ხაზგასმულია, რომ „საქართველო ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობს უცხო ქვეყნებთან, მათ სამართალდამცავ ორგანოებთან, სასამართლოებთან და სპეციალურ სამსახურებთან, აგრეთვე იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ტერორიზმთან ამავე კანონის პირველი მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, ტერორიზმი განმარტებულია როგორც „ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის. აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 27 ივნისის „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი¹⁴⁷, ასევე შეიცავს ტერორისტული მიზნის, საერთაშორისო ტერორიზმის, ტერორისტის, ტერორისტული ჯგუფისა და სხვა ტერორისტულ დანაშაულთან ან მასთან ბრძოლის მექანიზმებთან დაკავშირებულ დეფინიციებს. ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში ყურადღებას იქცევს,

¹⁴⁶ „ტერორიზმთან წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი (2007 წლის 27 ივნისი)

¹⁴⁷ საქართველოს კანონი „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ 2007 წლის 27 ივნისი. მუხლი პირველი (ტერმინთა განმარტება)

საქართველოს მთავრობის განკარგულება (N 53 2019 წლის 23 იანვარი)¹⁴⁸ ქვეყანაში კონტრტერორისტული საქმიანობის ორგანიზებისა და ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციის წესის შესახებ, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კონტრტერორისტული საქმიანობის კოორდინაციას კონტრტერორისტული ცენტრის მეშვეობით ახორციელებს. ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ და პრევენციის საკითხში გამოცემულია არაერთი მნიშვნელოვანი ბრძანება: - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 21 აპრილის ბრძანება №46/04 კომერციული ბანკების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე; - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 31 მაისის ბრძანება №61/04 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე; - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 2016 წლის 5 მაისის ბრძანება №47/04 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე; საქართველოს ხელისუფლების მიერ ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის მაღალ სტანდარტზე მიუთითებს ისიც, რომ ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, „ტერორიზმთან ბრძოლისას საქართველოს კანონმდებლობის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ზედამხედველობენ საქართველოს მთავარი პროკურორი და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალურად უფლებამოსილი პროკურორი“. ასევე ნიშანდობლივია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პირდაპირი დათქმაც იმის შესახებ, რომ სასამართლოს უფლება აქვს, მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან გაათავისუფლოს: „კონტრტერორისტული ან/და სპეციალური ოპერაციის მონაწილე

¹⁴⁸ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 იანვრის N53 განკარგულება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე

პირი (მის პროფესიულ მოვალეობასთან დაკავშირებით), რომლის საქმიანობაც გასაიდუმლოებულია და ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება” (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი).

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ტერორისტულ დანაშაულებს ცალკე XXXVIII თავი აქვს დათმობილი და მოთავსებულია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის¹⁴⁹ XXXVIII თავი მთლიანად ეძღვნება ტერორისტულ დანაშაულებს, საერთაშორისო კონვენციებზე დაყრდნობით შეიძლება, დავასკვნათ, რომ ტერორისტული დანაშაულებისთვის დამახასიათებელი ნიშნების შემცველია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული სხვა დანაშაულის შემადგენლობანიც. კერძოდ, საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 227-ე მუხლი); წყლის ხომალდის ნაოსნობისთვის საშიშროების შექმნა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 227¹-ე მუხლი); მეკობრეობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლი). საჰაერო ხომალდისთვის საშიშროების შექმნა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 227³-ე მუხლი); ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 231-ე მუხლი) ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ მოთხოვნა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 231¹-ე მუხლი); ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ან გამოყენების მუქარა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 231² -ე მუხლი); ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 232-ე მუხლი). დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, ტერორისტული ხასიათის დანაშაულებმა კარდინალური ცვლილებები და დამატებები განიცადა, რაც

¹⁴⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი - გამომცემლობა ბონა კაუზა ქ.თბილისი 2019 წლის 15 ივნისის მდგომარეობით

კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო ეტაპობრივად ახორციელებს ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო ხასიათის ნორმათა იმპლემენტაციას, რაც საერთაშორისო კონვენციებიდან და ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შემადგენელი ნაწილია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის შენიშვნაში მოცემულია ტერორისტული მიზნის დეფინიცია, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVIII თავში მოცემული თითქმის ყველა დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის განსაზღვრისთვის აუცილებელი ორიენტირია (გამონაკლისია, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 324¹-ე, 325-ე, 326-ე და ა.შ.). კანონმდებლის ამგვარი მიდგომა კანონიერების პრინციპთან სრულ შესაბამისობაშია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ტერორიზმს აქვს რამდენიმე ალტერნატიული მიზანი: ა) მოსახლეობის დაშინება; ბ) ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება; გ) ან ქვეყნის/უცხო ქვეყნის/საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების დესტაბილიზაცია ან განადგურება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 329-ე მუხლის სუბიექტური შემადგენლობა ტერორისტულ მიზანთან ერთად მიუთითებს რელიგიური ორგანიზაციის იძულების მიზანზეც, რაც ალტერნატიულად აფუძნებს ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების სუბიექტურ შემადგენლობას. ტერორისტულ მიზანთან ერთად ამგვარი ალტერნატიული მიზნის მითითება განაპირობა იმან, რომ საქართველოს კანონმდებლობით ტერორისტულ მიზანში მუქარის ადრესატად მოხსენიებული არ არის რელიგიური ორგანიზაცია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 324-ემუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია: „ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის ან მისი კომპონენტის, პათოგენური მიკროორგანიზმის, რადიაქტიური ან/და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა ნივთიერების გამოყენება, მათ შორის, ბირთვული, ქიმიური ან ძლიერი ტექნოლოგიური ან და ეკოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტის ხელში ჩაგდება,

ჩადენილი ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ზემოქმედების ან ტერორისტული მიზნით”. როგორც ვხედავთ, აქ ტერორისტულ მიზანთან ერთად მითითებულია არა ზოგადად მოსახლეობა, რომელიც ადამიანთა ფართო მასებს მოიცავს, არამედ შევიწროებულია და სამიზნე ობიექტად მითითებულია ფიზიკური ან იურიდიული პირი. 1999 წლის გაეროს „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ კონვენციის საფუძველზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 331¹ -ე მუხლი (ტერორიზმის დაფინანსება, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით უკანასკნელი წლების განმავლობაში დასჯადად გამოცხადდა ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრებისათვის ან ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის პირის გადაბირება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 327¹-ემუხლი). ასევე სისხლის სამართლის კოდექსის ტერორისტულ დანაშაულთა თავში აისახა საჰაერო ან წყლის ხომალდის, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ან სხვა საზოგადოებრივი ან სატვირთო ტრანსპორტის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, ჩადენილი ტერორისტული მიზნით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 329¹ -ე მუხლი); ტერორისტული საქმიანობის ან/ და ტერორისტული ორგანიზაციის საჯაროდ მხარდაჭერა ან ტერორიზმისაკენ საჯაროდ მოწოდება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330¹ -ე მუხლი); წვრთნის ჩატარება და ინსტრუქტაჟის გაწევა ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330¹ -ე მუხლი). ყოველივე ეს შეესაბამება 2008 წლის 28 ნოემბერს ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებულ ჩარჩო-გადაწყვეტილებას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

თავი V. ტერორიზმის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულად კვალიფიკაციის შესაძლებლობა

როგორც ავლნიშნეთ დღესდღეობით ტერორიზმი თავისი სფეციფიკიდან გამომდინარე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. ტერორიზმთან ბრძოლის სირთულის დაძლევის დღემდე უშედეგოდ ცდილობს მსოფლიოს ქვეყანათა უმეტესობა, რაც გამოიხატება ტერორიზმთან ბრძოლის კონვენციების შექმნით, მისი საერთაშორისო გმობით. ტერორიზმთან გამკლავება არ ამოიწურება მხოლოდ შიდა ინტერვენციით და ის სცდება კონკრეტული ქვეყნების ფარგლებს. ტერორიზმი წარმოადგენს უმძიმეს დანაშაულს, რომელიც მისი სიმწვავეით და დიდი დანაკარგებიდან გამომდინარე, შეიძლება გაუტოლდეს ისეთ საშიშ დანაშაულებს, როგორებიცაა: **გენოციდი, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული და აგრესია**, სწორედ ამიტომაც გაჩნდა მოსაზრება ტერორიზმის საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულად აღიარების მიზანშეწონილობის თაობაზე. ზოგადად, ტერორიზმი უნდა იყოს თუ არა საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულად აღიარებული, ამ საკითხთან დაკავშირებით, კონკრეტულად ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი აზრი არ არსებობს, სწორედ ამიტომ აღნიშნული საკითხი შეიძლება გაანალიზდეს რამდენიმე კუთხით კერძოდ: 1) დარჩეს დანაშაულად, რომელიც იქნება აღიარებული საერთაშორისო კონვენციებით და ამგვარად მოხდეს მასთან ბრძოლა საერთაშორისო დონეზე; 2) დაექვემდებაროს „ICC“-ის იურისდიქციას და უნდა აისახოს, რომის სტატუტში, როგორც დამოუკიდებელ მებუთე დანაშაული; 3) თუ რომის სტატუტით გათვალისწინებულ ოთხი დანაშაულიდან ერთ-ერთი უნდა მოიცავდეს.

5.1. ტერორიზმის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „ICC“-ის იურისდიქციაში მოქცევის კონცეფცია

რომის სტატუტის მიხედვით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „ICC“-ს აქვს იურისდიქცია, განიხილოს ტერორიზმი, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული. ეს საკითხი განხილული იყო რომის კონფერენციაზე, სადაც წევრ

სახელმწიფოთა უმრავლესობა უარყოფითად ეკიდებოდა ამ მოსაზრებას.¹⁵⁰ შეთავაზება იყო, რომ ტერორიზმი რომის სტატუტში ჩამოთვლილ 4 დანაშაულიდან ერთ-ერთში მოაზრებულყო შემდეგი დასაბუთებით: 1. ტერორიზმი ავტომატურად მოიაზრება და დებულებებშია გათვალისწინებული; 2. დანაშაული გათვალისწინებულია საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის 6 კონვენციაში; 3. დანაშაულში ჩართულია ცეცხლსასროლი იარაღი, ასაფეთქებელი ნივთიერებები, სხვა საშიში ხერხები, როგორც ძალადობის გამოყენების განურჩეველი საშუალებები, რომლებიც იწვევს მოსახლეობის ან პირთა ჯგუფის სიკვდილს ან სხეულის სერიოზულ დაზიანებას. თუმცა აღნიშნული მოსაზრების მოწინააღმდეგენი ხედავდნენ რამდენიმე დამაბრკოლებელ ფაქტორს, რაც ხელს უშლის ტერორიზმის საერთაშორისო სისხლხის სამართლის იურისდიქციაში შემავალ დამოუკიდებელ დანაშაულად განხილვას და, პირველ რიგში, გამოსაყოფია : პირველი - ტერორიზმის საყოველთაოდ მიღებული განმარტების არარსებობა. მართლაც, რთული წარმოსადგენია „ICC“-იმ იურისდიქცია გაავრცელოს იმ ქმედებაზე, რომლის ერთიან დეფინიციაზე ჯერ კიდევ ვერ თანხმდებიან.¹⁵¹

მეორე - დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ სამი ძირითადი: სამხედრო, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და გენოციდი წარმოადგენილია როგორც უდიდესი საყოველთაო-საერთაშორისო დანაშაულები და ტერორიზმი მათ დონეს ვერ აღწევს, თუმცა დაწყებულია მსჯელობა, რომ დღეს ტერორისტები არიან ომის, გენოციდის ან ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენნი, რადგან ტერორიზმს აქვს უდიდესი საერთაშორისო ხასიათი, იწვევს კატასტორფულ შედეგებს და, აქედან გამომდინარე, მაღალია ამ ქმედების საერთაშორისო დაგმობის ხარისხი.¹⁵²

მესამე - ტერორიზმის „ICC“-ის იურისდიქციაში ჩართვის უარყოფის საფუძველი იყო ის, რომ თავიდან აცილებულიყო სასამართლოს ზედმეტი დატვირთვა და მძიმე

¹⁵⁰ Cohen A., Prosecuting Terrorists at the International Criminal Court: Reevaluating an Unused Legal Tool to Combat Terrorism, 223- 229, ix., [18.06.2016]

¹⁵¹ Cryer R. et. al., An Introduction to International Criminal Law and Procedure, Cambridge University Press, 2010, 85.

¹⁵² Cryer R. et. al., An Introduction to International Criminal Law and Procedure, Cambridge University Press, 2010, 85.

გადაწყვეტილების მიღების საჭიროება, თუმცა ამის საწინააღმდეგოდ იყო არგუმენტი რომ „ICC“-ს აქვს ისეთი მექანიზმები და შესწევს ძალა განიხილოს მძიმე ტერორისტული აქტები, როგორც მძიმე დანაშაული და აგრესიაა.

რომის სტატუტის პირველი მუხლის თანახმად, „ICC“ განიხილავს ყველაზე მძიმე ხასიათის საერთაშორისო დანაშაულებს. გარდა ამისა, მე-5 მუხლით სასამართლოს იურისდიქცია შემოიფარგლება მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის შემაშფოთებელი უმძიმესი დანაშაულებით. კომპლემენტარულობის პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არის დამატებითი იურისდიქცია.

მე-4 არგუმენტი იყო ის, რომ რომის სტატუტში ტერორიზმის ჩართვა გამოიწვევს რომის სტატუტის მიღების დაბრკოლებას. ეს მოსაზრება რომის სტატუტის მიღების დროს შესაძლებელია, ლოგიკურად იყო, მაგრამ ამ ეტაპზე შეუსაბამოა, რადგან რომის სტატუტი აღიარებულია 123 წევრი სახელმწიფოს მიერ და შესაძლებელია, წევრმა სახელმწიფოებმა იფიქრონ საერთაშორისო სისხლის სამართლის იურისდიქციის გაზრდა-განვითარებაზე.

მეხუთე არგუმენტი უფრო პრაქტიკულია - ზოგიერთ სახელმწიფოს ტერორიზმის ასახვა სტატუტში ზედმეტად მიაჩნია, რადგან ეს საკითხი საერთაშორისო დონეზე ისედაც აღიარებულია დიდ პრობლემად და მასთან საბრძოლველად არაერთი საერთაშორისო კონვენციაა მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს მართლაც ასეა, მხოლოდ ამ არგუმენტის გამო ტერორიზმის უარყოფა გაუმართლებელია, რადგან, **მაგალითად, გენოციდი, როგორც უდავოდ ძირითადი დანაშაული**, ასევე იყო საერთაშორისო ხელშეკრულებებით ბრძოლის რეჟიმის ობიექტი და მიუხედავად ამისა, ის სტატუტში მოხვდა როგორც დამოუკიდებელი დანაშაული. **გარდა ამისა, სამხედრო დანაშაული**, რომელიც რომის სტატუტშია შეტანილი, მანამდე წესრიგდებოდა ჟენევის კონვენციებით.

მეექვსე წინააღმდეგობა არის ის, რომ, რადგან ტერორიზმი არის პოლიტიკურად მეტად მგრძნობიარე თემა, **თუ მას „ICC“ განიხილავს**, იძულებული იქნება ჩაერთოს

პოლიტიკაში, რაც დაკარგვინებს მას ლეგიტიმურობას და სანდოობას როგორც მიუკერძოებელ სასამართლოს.¹⁵³ ამ არგუმენტის პირველი ნაწილი, მართალია, ტერორისტული აქტები აღვივებს პოლიტიკურ დებატებს იმის შესახებ, ქმედება რატომ არის ტერორისტული აქტი და არა პროტესტის სამართლიანი ფორმა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ პოლიტიზირების საფრთხე ერთადერთი არ არის ტერორიზმისთვის.

2010 წელს ზაფხულში წევრმა სახელმწიფოებმა გააქტიურეს „ICC“-ის იურისდიქცია აგრესიის დანაშაულის მომატებასთან დაკავშირებით. თანამედროვე რეალობაში, სადაც არაწევრი სახელმწიფოები ახორციელებენ სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიაზე შეიარაღებულ კონფლიქტს, რომელსაც არ აქვს საერთაშორისო ხასიათი და „დაბალი ინტენსივობის შეიარაღებული კონფლიქტის მოკლე ომი ჰქვია, იწოდა ხანგრძლივ კონფლიქტად ახლო აღმოსავლეთში. არანაირი ეჭვი არ არსებობს, რომ შემთხვევა შეეხება აგრესიას, რომლის საერთაშორისო პოლიტიკის სული და გული სახელმწიფო სუვერენიტეტის დარღვევაა. უფრო მეტიც, „ICC“ არ არის პოლიტიკური თავშესაფარი. მაგალითად, ოფიციალური მიზეზი, რატომაც ისრაელი არ შეუერთდა სტატუტს, მიუხედავად ადვოკატირებაში მისი აქტიური როლისა, არის ის, რომ ერთვებოდა დანაშაულის პოპულარიზაციაში ოკუპირებულ ტერიტორიაზე ომის წარმოებით. მწვავე პოლიტიკური და ერთ-ერთი აქტუალური თემაა ისრაელ-პალესტინის დავა. საბოლოო ჯამში, უნდა ითქვას, რომ ყველა საერთაშორისო დანაშაული რაღაც დოზით ჩართულია პოლიტიკურ განხილვაში, ამიტომ ტერორიზმის მსგავსი არგუმენტით უარყოფა გაუმართლებელია. ზემოთ წარმოდგენილი 6 არგუმენტი განხილული იყო 1998 წელს რომის კონფერენციაზე ტერორიზმის რომის სტატუტში ჩართვის მრავალი მოწინააღმდეგის, გამო განხილვა გადაიდო მომდევნო კონფერენციამდე, თუმცა 2010 წლის ზაფხულში უგანდაში, კამპალაზე, სიტყვაც არ უხსენებიათ ტერორიზმზე და არ ყოფილა განხილული ეს საკითხი.

¹⁵³ Cryer R. et. al., *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, Cambridge University Press, 2010, 85.

5.2. როგორ მოვაქციოთ ტერორიზმი „ICC“-ის იურისდიქციაში

რომის სტატუტის 121-ე მუხლი ადგენს, რომ წესდების ძალაში შესვლიდან 7 წლის გასვლის შემდეგ ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს მასში შესწორების შეტანის შესახებ. ამდენად, თეორიულად ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს ცვლილების ან დამატების შეტანა წესდებაში. მას შემდეგ, რაც ოფიციალური წინადადება მომზადდება, „ICC“-ის საკანონმდებლო ორგანო - ასამბლეა წყვეტს მიღების საკითხს. ასამბლეა იკრიბება ყოველწლიურად. ცვლილება შეიძლება მიიღონ შეთანხმებით ან ხმათა 2/3-ით, რაც პროცედურულად საკმაოდ მარტივია, 123 სახელმწიფოდან 2/3-მა უნდა დაუჭიროს მხარი შესაბამის ცვლილებას. როგორც ვხედავთ, გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკური, ისე იურიდიული ნაბიჯები.¹⁵⁴ აქედან გამომდინარე, თეორიულად არაფერი უშლის ხელს იმას, რომ რომის სტატუტში ტერორიზმის დამატების თაობაზე რომელიმე სახელმწიფომ შეიმუშავოს წინადადება.

მატერიალური ასპექტები

ზოგადად არსებობს ორი გზა, რომ ტერორიზმი დაექვემდებაროს „ICC“-ის იურისდიქციას: 1. მიეკუთვნებოდეს რომის სტატუტში არსებული რომელიმე დანაშაულს. 2. განხილულ იქნეს როგორც დამოუკიდებელ დანაშაულად.

5.2.1. შესაძლებელია თუ არა ტერორიზმის „ICC“-ის იურისდიქციაში შემავალ დანაშაულების ნაწილად მოაზრება?

რომის სტატუტის 22-ე მუხლი მკაცრად აწესებს დანაშაულის განსაზღვრების ზუსტ განმარტებას და კრძალავს ანალოგიას. ტერორისტული აქტები ამ მხრივ არის უაღრესად პრობლემატური, ვინაიდან მისი მრავალი გამოვლინება არსებობს. ტერორიზმს ახასიათებს არა მხოლოდ სისხლის სამართლებრივი განზრახვა, არამედ მის უკან დგას პოლიტიკური მოტივები, რაც მიზნის მიღწევის საშუალებაა. რომის სტატუტის 30-ე მუხლის მიხედვით თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, პირს ეკისრება

¹⁵⁴ Cohen A., Prosecuting Terrorists at the International Criminal Court: Reevaluating an Unused Legal Tool to Combat Terrorism, 223- 229, [18.06.2015]

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაისჯება სასამართლოს იურისდიქციაში შემაჯავლი დანაშაულისთვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მხარისათვის დამახასიათებელი ნიშნებით იგი ჩადენილი იყო განზრახ და შეგნებულად. ამ მუხლის მიზნებისთვის, პირს აქვს განზრახვა (ა) ქცევის მიმართ, თუ ის აპირებს ასე მოქცევას; (ბ) შედეგის მიმართ, თუ ის აპირებს გამოიწვიოს ეს შედეგი ან გაცნობიერებული აქვს, რომ ეს შედეგი გამოწვეული იქნება მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში. ამ მუხლის მიზნებისთვის "შეგნებულად" ნიშნავს იმის გაცნობიერებას, რომ გარემოება არსებობს ან შედეგი გამოწვეული იქნება მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში., "ცოდნა" და "შეგნება" უნდა განიმარტოს შესაბამისად. ტერორისტული აქტები გამომდინარეობს პოლიტიკური ან იდეოლოგიური მიზნებიდან, თუმცა ტერორისტს, როგორც მკვლელობაში ბრალდებულს და როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დამნაშავეს, შეიძლება ეს სპეციალური განზრახვა არც გააჩნდეს.

განვიხილოთ სტატუტის თითოეული დანაშაული ტერორიზმთან მიმართებით

გენოციდი

როგორც ვიცით, რომის სტატუტის მიხედვით, გენოციდი¹⁵⁵ არის ქმედება, ჩადენილი ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით. ქმედება შეიძლება გამოიხატოს ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობაში, სხეულის მძიმე დაზიანებასა თუ ფსიქიკურ მოშლის გამოწვევაში, ასევე, რომელიმე ჯგუფისთვის ისეთი საარსებო პირობების შექმნაში, რომელიც მიზნად ისახავს განადგურებას. როგორც ჩანს, გენოციდს აქვს სპეციალური მიზანი, ხოლო ტერორიზმის მიზანი იშვიათადაა მსხვერპლთა ჯგუფის მთლიანი განადგურება და ასეთ დროს ტერორისტული აქტი გამოყენებულია როგორც რაიმე სხვა, სასურველი მიზნის მიღწევის ბერკეტად. თუმცა არის ტერორისტულ აქტებში მიზნის მხრივ გამონაკლისი. მაგალითად, ტერორისტული ორგანიზაცია ჰეზბოლა, რომლის პირდაპირი მიზანიც იყო ისრაელის სახელმწიფოს განადგურება, რელიგიური და ეროვნული ნიშნებიდან

¹⁵⁵ იხ. რომის სტატუტის მე-6 მუხლი

გამომდინარე. მიუნხენის ოლიმპიადის დროს განხორციელებული ტერორისტული აქტის მიზანი იყო პალესტინელი პატიმრების გათავისუფლება, პანამისა და სექტემბრის ტერაქტის შეთხვევაში ანტიამერიკული კამპანია.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

არსებობენ ანალიტიკოსები, რომელთაც სჯერათ, რომ ტერორიზმი ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. მისი მატერიალური ელემენტებია სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმა, ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმა მოსახლეობაზე. ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედება ტერორიზმის მსგავსია სასტიკი, არაადამიანური ქმედების გამო, რადგან მსხვერპლი განიცდის სხეულის მძიმე ფიზიკურ ან ფსიქიკურ დაზიანებას. ტერორიზმი არის მრავალაქტიანი და შეიძლება მოიცავდეს აფეთქებას, დაბომბვას, მძევლად აყვანას ან სხვა ძალადობრივ გზას. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტია **ფართომასშტაბიანი და სისტემატური თავდასხმა**, თუმცა აქ გასარკვევია, რამდენად გვაქვს საქმე ტერორიზმის დროს ფართომასშტაბიან და სისტემატურ თავდასხმასთან? მაგალითად, ტერორისტების მიერ ჩადენილი მიუნხენის აქტი ან 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი აშშ-ში მოწმობს, რომ შესძლოა ერთმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ განახორციელოს რამდენიმე ფართომასშტაბიანი და სისტემატური თავდასხმა. ასევე, თავდასხმა უნდა იყოს მიმართული მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტერორისტულმა ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს მკაფიო პოლიტიკური შეტევა. ზემოთ მოყვანილ მაგალითების ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა თავდასხმა მიმართული იყო მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და ნამდვილად ატარებდა ფართომასშტაბიან ხასიათს. ტერორისტული აქტები ინსტიტუციურად, როგორც ჩანს, შეესაბამება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ცნებას, მაგრამ მისი ფაქტობრივი გამოყენება, რომის სტატუტის მე-7 მუხლის მიხედვით, არ არის სრულყოფილი.¹⁵⁶

სამხედრო დანაშაული

¹⁵⁶ Cohen A., Prosecuting Terrorists at the International Criminal Court: Reevaluating an Unused Legal Tool to Combat Terrorism, 223- 229, ix., [18.06.2015]

ომიანობის პერიოდში ადამიანური თანაცხოვრების ძირითადი პრინციპები ხშირად კარგავს თავიანთ ძალას, თუმცა ამავედროულად საერთაშორისო სამართალი უზრუნველყოფს ომიანობის პერიოდშიც გარკვეული წესების მოქმედებას. ომის დანაშაულად ითვლება არა ნებისმიერი ქმედება, რომელიც ჩადენილია ომიანობის პერიოდში ან რომელიმე შეტაკებისას, არამედ მხოლოდ ის ქმედება, რომელიც დასჯადია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით. რომის სტატუტის მე-8 მუხლის ამოსავალი წერტილია შეიარაღებული კონფლიქტის დროს ელემენტარული სამართლებრივი სიკეთეების დაცვა. ის ეხება პირთა გარკვეული ჯგუფების დაცვას და ბრძოლის მეთოდებისა და საშუალებების გარკვეულწილად შეზღუდვას. შეიარაღებული კონფლიქტები შეიძლება იყოს როგორც ნაციონალური, ისე ინტერნაციონალური.¹⁵⁷ რომის სტატუტის მე-8 მუხლის მიხედვით, სამხედრო დანაშაულია ის, რომელიც ჩადენილია გეგმის ან პოლიტიკის ფარგლებში, ან ამგვარი დანაშაულის ფართომასშტაბიანი ჩადენის შემთხვევაში გამოიხატება განზრახ მკვლევლობაში, წამებაში ან არაადამიანურ მოპყრობაში და ა.შ. **სამხედრო დანაშაულები ჩადენილია უკანონო ქმედებით შეიარაღებული კონფლიქტის დროს.** იმისათვის, რომ გაირკვეს რამდენად ჯდება ტერორიზმი ომის დანაშაულის დეფინიციაში, აუცილებელია, დადგინდეს, ჩადენილია თუ არა ტერორისტული აქტი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებს საკუთრივ ომის დანაშაული. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო წლების განმავლობაში ტერორისტული აქტები ვლინდება ომიანობის დროს, აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს.¹⁵⁸

აგრესია

აგრესიის დეფინიციაზე სახელმწიფოები რომის სტატუტზე მუშაობისას ვერ შეთანხმდნენ, თუმცა 2010 წლის 11 ივნისის რეზოლუციის წესდებას დაემატა მე-8 მუხლი, რომელმაც განსაზღვრა აგრესიის დანაშაულის შემადგენლობა. **აგრესია სტატუტის მიხედვით ნიშნავს ერთი სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალების**

¹⁵⁷ ზატცგერი ჰ., საერთაშორისო დანაშაულები რომის სტატუტის მიხედვით, განსაკუთრებით დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ჟურნ. 'მართლმსაჯულება და კანონი, 2011, #4, 20-21

¹⁵⁸ Cryer R. et. al., An Introduction to International Criminal Law and Procedure, Cambridge University Press, 2010, 96.

გამოყენებას სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან სხვაგვარად, რაც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. აგრესიის დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალური სუბიექტი, კერძოდ, ისეთი, რომელსაც თავისი მდგომარეობის გამო აქვს სახელმწიფოს პოლიტიკური ან სამხედრო მოქმედებების ეფექტიანი კონტროლის ან ხელმძღვანელობის შესაძლებლობა.¹⁵⁹ როგორც აგრესიის დეფინიციიდან ჩანს, საკმაოდ რთულია ტერორიზმი მოექცეს ამ დანაშაულის იურისდიქციის ქვეშ, რადგან თუ ტერორისტულ აქტში, რომელიმე მხარედ სახელმწიფო არ არის ჩართული, მაშინ აგრესიის დისპოზიციიდან გამომდინარე, ტერორიზმი გამოირიცხება.

როგორც ითქვა, გენოციდის დანაშაული სტრუქტურულად საკმაოდ რთული ფენომენია და აუცილებლად სპეციალურ მიზანს მოითხოვს. ტერორისტები ყოველთვის ცდილობენ შეცვალოს „სტატუს ქვო“, რათა გაანადგურონ დაცული ჯგუფი. კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ალბათ, ყველაზე შესაფერისია დევნის განსახორციელებლად, თუმცა მოითხოვს ფართომასშტაბიანობის და სისტემურობის კონტექსტს. აქედან გამომდინარე, ბარიერი იწევს იზოლირებულ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით. ომის დანაშაული განპირობებულია შეიარაღებული კონფლიქტის არსებობით. აქედან გამომდინარე არ მოიცავს ტერორისტულ აქტებს მშვიდობიანობის დროს. აგრესია გამორიცხავს ტერორიზმს, თუ არ არის ჩარეული სახელმწიფო. სწორედ ამ გამოწვევის გამო ტერორისტული აქტები „ICC“-ის შემადგენლობაში უმჯობესია განიხილებოდეს ცალკე, ინდივიდუალურ დანაშაულად.

5.2.2. ტერორიზმის „ICC“-ის იურისდიქციაში დამოუკიდებელ დანაშაულად მოაზრების კონცეფცია

მე-V თავის დასაწყისში განვილიხელთ რომის სტატუტის მიღების დროს ტერორიზმის ICC-ის იურისდიქციაში მოქცევის უარყოფის 06 არგუმენტი, დღეის მდგომარეობით, აღნიშნული არგუმენტებიდან ფაქტიურად ხუთი უკვე აღარ არსებობს და დარჩენილია

¹⁵⁹ Cryer R. et. al., An Introduction to International Criminal Law and Procedure, Cambridge University Press, 2010, 96.

მხოლოდ ტერორიზმის როგორც დანაშაულის საერთო განსაზღვრების არ არსებობის პრობლემა, რაც ჩემი აზრით საპრობლემო სულაც არ არის, ვინაიდან „ICC“-ის 123 წევრი სახელმწიფოდან 90% ზე მეტი აღიარებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონვენციებში მოცემულ დეფინიციებს და აღნიშნული დეფინიციის შესაბამისად ცდილობს ტერორიზმთან გამკვლავებას, მათ შორის 94.7% უკვე აღიარებს „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ კონვენციაში არსებულ „ტერორიზმის“ დეფინიციას, ამ კუთხით ინოვაცია იქნებოდა ტერორიზმის „ICC“-ის იურისდიქციაში მოქცევა და შესაბამისად აღნიშნული დანაშაულის რომის სტატუტში დანერგვა, მაგრამ აღნიშნულმა საკითხმა სახელმწიფოთა პოლიტიკური ნების გამო შესაძლოა კვლავ გამოიწვიოს აზრთა სხვადასხვაობა.

ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით შესაძლებელია ტერორიზმის დანაშაულის მოდელირება შემდეგნაირად : **ტერორისტული დანაშაული 1.** სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ტერორისტული აქტებზე; 2. ამ წესდების მიზნებისათვის "ტერორიზმი" **მოიცავს**, მაგრამ არ **შემოიფარგლება**:

- ა) დანაშაულს განსაზღვრულს საერთაშორისო კონტრტერორისტული კონვენციებით ;
- ბ) ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში საომარი მოქმედებების დროს სამოქალაქო ან სხვა პირისათვის სიკვდილის ან სერიოზული სხეულის დაზიანების მიყენებას, როდესაც ასეთი ქმედების მიზნია მოსახლეობის დაშინება, ანდა სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება განახორციელონ ან თავი შეიკავონ გარკვეული ქმედებისგან. შესაბამისად სრულიად ლეგიტიმურია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ტერორიზმი დაექვემდებაროს ICC-ის იურისდიქციას.

საერთაშორისო ურთიერთობებსა და საერთაშორისო სამართლის სფეროში, როდესაც არსებობს ნება არსებობს გზაც. თუ სახელმწიფოები აიღებენ ვალდებულებას გამოიყენონ „ICC“-ის ტერორისტული აქტების აღსაკვეთად, ისინი მიიღებენ ზემოაღნიშნულ პლათფორმიდან ნებისმიერს. პრობლემა მდგომარეობს ნების წარმოშობაში. „ICC“-ის მიერ ტერორისტების დევნა წარმოშობს უპირატესობებს და მოიცავს სხვადასხვა

საკითხებს, მათ შორის ბრალდებულის უფლებების უკეთ რეალიზებას. „ICC“- ის უპირატესობები სამართლებრივი პროცედურის თვალსაზრისით ზოგიერთ ეროვნულ სამართლებრივ სისტემასთან შედარებით უფრო მოქნილია, რომელთა ნაწილიც (ეროვნული სამართლებრივი სისტემა) არაეფექტურია ან აღიქმებიან არაეფექტურად, „ICC“ უზრუნველყოფს უფრო ქმედით ფორმებს. „ICC“ უზრუნველყოფს ყველაზე მაღალი სტანდარტის სასამართლო პროცეს და იცავს ბრალდებულის უფლებებს, ვინაიდან აღნიშნული სასამართლოს პრესტიჟი და მომხიბვლელობა სწორადაც, რომ ობექტურობასა და მიუკერძოებლობაშია. „ICC“-ის ნაციონალური სასამართლოსგან განსხვავებით შეუძლია ტერორისტულ დანაშაულში ბრალდებულს გამოუცხადოს ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა და შესთავაზოს ნეიტრალურ და მიუკერძოებელ სასამართლო და მისცეს საშუალება დაცულ იყოს ნებისმიერი ზეწოლისგან, რომლებსაც ისინი შეხვდებოდნენ იმ შემთხვევაში თუ გასამართლდებოდნენ ნაციონალურ სასამართლოში.

ასევე აღსანიშნავია „ICC“-ის უპირატესობა ისეთ შემთხვევებთან მიმართებით, როდესაც ტერორისტული აქტი ჩადენილია რამდენიმე სახელმწიფოში და ყველა სახელმწიფოს გააჩნია იურისდიქციის სხვადასხვა მოთხოვნები (ბრალდებულის ექსტრადიციის პრობლემა). ეფექტურობის მხრივ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო სანდოა და საშუალებას იძლევა განიხილოს დიდი მოცულობის მსხვერპლთა საქმე. გარდა ამისა, სასამართლო ნეიტრალური და მიუკერძოებელია, რაც მნიშვნელოვანია პოლიტიკური ზეგავლენისგან დაცვის კუთხით.¹⁶⁰ მნიშვნელოვანია სტატუტის 25-ე მუხლის აღნიშვნა, რომელიც პირის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას ეხება და რომლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო უფლებამოსილია, დასაჯოს არა მხოლოდ ამსრულებლები, არამედ თანამონაწილეებიც, მათ შორის, ისინიც, ვინც უხელმძღვანელებს, წააქეზებს ან ხელს შეუწყობს კონკრეტული დანაშაულის ჩადენას. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ტერორისტული დანაშაულების უმრავლესობა თვითმკვლელობის სახით არის ჩადენილი, ასეთ

¹⁶⁰ Cohen A., Prosecuting Terrorists at the International Criminal Court: Revaluating an Unused Legal Tool to Combat Terrorism, 223- 229, ix., [18.06.2015]

შემთხვევებში, რათქმა უნდა, თავად დამნაშავე ვერ წარსდგება სასამართლო წინაშე, თუმცა ის პირები, რომლებიც დაეხმარნენ ან რაიმე სახით ხელი შეუწყეს მას, ან სხვა გზით მიიღეს მონაწილეობა დანაშაულის განხორციელებაში წარსდგებიან სასამართლოს წინაშე. აღნიშნულის ხსენება ტერორისტულ აქტებთან აუცილებელია, რადგან ასეთ ქმედებათა უდიდესი უმრავლესობის ამრსულებლების პასუხისმგებლობაში მიცემა შეუძლებელია და ძირითადად პასუხი ეკისრებათ თანამონაწილეებს (ორგანიზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს). როგორც ვხედავთ, რომის სტატუტის 25-ე მუხლი ძირითად და დამატებით პასუხისმგებლობის სახეებს გამოყოფს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აღნიშნულ დაყოფას (მაგალითად, აშშ, საფრანგეთი, ავსტრია, ავსტრალია, იტალია, ურუგვაი და სხვ.) და შესაბამისადაც, არ არის გამოკვეთილი განსხვავებული სასჯელის სახეები დანაშაულში ამრსულებლობისა და თანამონაწილეობისათვის. მათი თვალთახედვით, ნებისმიერი დანაშაულის მონაწილე, მიუხედავად მისი აქტიურობის ხარისხისა, ჩაითვლება ძირითად ამრსულებლად, თუმცა განაჩენში შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს დამნაშავეს როლი დანაშაულის ჩადენაში. მათ, შესაძლებელია, ერთნაირი სასჯელიც კი შეეფარდოთ. განსხვავებული მიდგომის კარგი მაგალითია **სიერა-ლეონეს სპეციალური სასამართლოს მიერ განხილული *Prosecutor v. Taylor***-ის საქმე.¹⁶¹ ლიბერიის ყოფილ პრეზიდენტს დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომელიც, რომის სტატუტის მიხედვით, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამატებით ფორმას წარმოადგენს, სასჯელის სახით შეეფარდა 50 წლით თავისუფლების აღკვეთა¹⁶², იმის ხაზგასმით, რომ იგი იყო დანაშაულში „მეორე ხარისხის მონაწილე“.

„ICC“-ის თავისი იურისდიქცია ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით შეუძლია გაამკაცროს, რის საფუძველაც კომპლიმენტურობის პრინციპი იძლევა, აშკარაა, რომ თავისი შექმნიდან მოკლე პერიოდში „ICC“-მ, მონაწილე სახელმწიფოთა მხრიდან სტატუტის რატიფიცირების გზით შეძლო, შეექმნა ისეთი მძლავრი ინსტიტუტი, რომელმაც დაავალდებულა მონაწილე სახელმწიფოები, განეხილათ, მის იურისდიქციას

¹⁶¹ იხ. *Cassese, Acquaviva, Fan, Whiting*, ICL (2011), 323; იხ. ასევე თურნავა, მოძღვრება (2011), 56_57.

¹⁶² *SCSL, Prosecutor v. Taylor*-ის საქმე, *Gell*, Trial of Charles Taylor, *mu hexo V1#Jalloh* (ed.), SCSL and its Legacy (2014), 975b98<1

დაქვემდებარებული საქმეები. თუმცა მონაწილე სახელმწიფოებს მისცა ზოგიერთ დანაშაულთან მიმართებით (სამხედრო და აგრესიის დააშაული) დროის გარკვეული პერიოდში (07 წელი) დათქმის გაკეთების საშუალება იურისდიქციის გავრცელებაზე, იმ მიზნით, რომ ეროვნულ სახელმწიფოებს უფრო ეფექტურად დაეცვათ მოქალაქეების უფლებები, შიდასახელმწიფოებრივი ძალისხმევით, აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინება ტერორიზმის „ICC“-ის იურისდიქციაში მოქცევის შემთხვევაშიც შესაძლოა ველოდოთ, რაც თავისთავად არ არის ცუდი პირიქით აღნიშნული შეიძლება დადებითად შეფასდეს, ვინაიდან ამ პერიოდში „ICC“ -ი შექმნის ტერორიზმთან ბრძოლის სისხლის სამართლებრივი დევნის დახვეწილ სტანდარტს (თუნდაც ტერორიზმის ზუსტი დეფინირების კუთხით).

სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ნაკლებობა ტერორიზმში ბრალდებული პირების ექსტრადიციის პრობლემას ქმნის, რაც თავისთავად ტერორისტების სასარგებლოდ წყდება, იმ შემთხვევაში თუ ტერორიზმს „ICC“-ის იურისდიქციაში მოვაქცევთ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ „ICC“-ის მიმართ იგივეს გაკეთების შესაძლებლობა სახელმწიფოებს არ ექნებათ. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული სახელმწიფოების გამოხატულებები „არ სურს“ ან „არ შეუძლიათ“, როგორც მოსალოდნელია, „ICC“-მ უნდა გაზარდოს იურისდიქცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მისი სახელმწიფოებთან ორმხრივი თანამშრომლობის გზით. გარდა ამისა, ნორმატიულ დონეზე ტერორიზმის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციაში მოქცევა იქნებოდა მკაფიო სიგნალი, ტერორიზმის დანაშაულის მაქსიმალურად დასაგმობად და გაცილებით უფრო რეალური და ქმედითი შეიქნებოდა მის წინააღმდეგ ბრძოლა.

აღსანიშნავია, რომ „ICC“-ის არ გააჩნია საკუთარი პოლიცია და დამოკიდებულია მონაწილე სახელმწიფოების კეთილ ნებასა და თანამშრომლობაზე, ყველა ეტაპზე, დაწყებული დაზვერვიდან, მტკიცებულებების შეგროვებამდე, ეჭვმიტანილის დასაკავებლად. თუ „ICC“ ვერ შეძლებს ტერორისტების სასამართლოში წარდგენას მაშინ რისთვის უნდა იქნეს ტერორიზმი განხილული „ICC“-ის იურისდიქციაში? ამის სანაცვლად, უფრო სასარგებლო იქნება, რომ უფრო მეტი ძალისხმევა მოხმარდეს შიდა

სამართლებრივი სისტემების გაძლიერებას ტერორიზმთან საბრძოლველად, ინდივიდუალური სტრატეგიის შექმნით, თითოეული სახელმწიფოსთვის და „ICC“-მ გაზარდოს იურისდიქცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მისი სახელმწიფოებთან ორმხრივი თანამშრომლობის გზით.

კიდევ ერთი პრაქტიკული პრობლემა არის ის, რომ შეერთებული შტატები ამჟამად არ არის „ICC“-ის მონაწილე სახელმწიფო გარკვეული პოლიტიკური უთანხმოების გამო (მას სურდა ვეტოს უფლების გამოყენება გამოძიების დაწყების საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნული თავისთავად არ იქნა გაზიარებული სტატუტის მიღებისას, რაც ჩემი აზრით ერთაერთი სწორი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო „ICC“-ის როგორც პოლიტიკურად ნეიტრალურ და ობიექტურ ორგანიზაციად ჩამოსაყალიბებლად) რომელმაც დაიწყო დამოუკიდებელი კამპანია ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ, შესაბამისად „ICC“ იურისდიქციისთან მიმართებით შეიძლება, შეიქმნას ორი კონკურენტული მიმართულება. ამდენად, მესამე ქვეყნებს შეიძლება ჰქონდეთ დილემა, თუ რომელ მათგანთან ითანამშრომლონ. დავუშვათ რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფომ დააკავა ტერორისტული ექვმიტანილი, რომელზეც გაცემული იყო დაპატიმრების ორდერი და ამასთანავე აღნიშნული პირი იძებნება აშშ-შიც, მაშინ ჩნდება კითხვა ვის უნდა გადაეცეს ეს ექვმიტანილი? რომელი ვალდებულებაა პირველი - ვალდებულება ითანამშრომლოს „ICC“-თან თუ ვალდებულება, უპასუხო აშშ-ს ექსტრადიციის მოთხოვნას? რა თქმა უნდა ვალდებულება ითანამშრომლოს „ICC“-ის თან არის უპირატესი, რაც წესრიგდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან წესდების მონაწილე სახელმწიფოთა თანამშრომლობის კანონით, სადაც აღნიშნულია, რომ პირის ექსტრადიციასთან დაკავშირებით წარმოშობილ კოლიზიურ საკითხებთან მიმართებით უპირატესობა ენიჭება რომის სტატუტს.

თავი VI. ტერორიზმის სტატისტიკა

6.1. ტერორიზმის სტატისტიკა მსოფლიოში

ტერორიზმი XX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ უფრო განვითარდა და დღემდე რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. 90-იანი წლებიდან დღემდე განხორციელებული ტერაქტების ქრონოლოგია ასეთია: 1995 წელი - ტოკიო, დაიღუპა 12, დაშავდა 1000 ადამიანი. 1995 წელი-ქალაქი ოკლაჰომა, დაიღუპა 168 ადამიანი. 1998 წელი- კენია და ტანზანია, დაუღუპა 257 ადამიანი. 1998 წელი- ომა, ჩრდილოეთ ირლანდია, დაიღუპა 29 ადამიანი. 2000 წელი- იემენი, დაიღუპა 17 ადამიანი. 2001 წელი- ნიუ-იორკი, ვაშინგტონი, დაიღუპა 3000 ადამიანი. 2002 წელი-ინდონეზია, დაიღუპა 202, დაშავდა 209 ადამიანი. 2003 წელი- მაროკო, დაიღუპა 33, დაშავდა 100 ადამიანი. 2004 წელი- ესპანეთი, მადრიდის რკინიგზა, დაიღუპა 191, დაშავდა 1500 ადამიანი. 2004 წელი- რუსეთი, ბესლანის სკოლა, 1100 მძევალი, დაიღუპა 385, ათასი დაშავდა. 2005 წელი- გაერთიანებული სამეფო, ლონდონის მეტრო, დაიღუპა 56, დაშავდა 700 ადამიანი. 2005 წელი-იორდანია, 3 სასტუმრო, დაიღუპა 59, დაშავდა 150 ადამიანი. 2006 წელი- ინდოეთი, დაიღუპა 200 ადამიანი. 2007 წელი-პაკისტანი, დაიღუპა 139, დაშავდა 450 ადამიანი. 2008 წელი- ინდოეთი, მუმბაი, დაიღუპა 172 ადამიანი. 2010 წელი - რუსეთი, აფეთქება მეტროში, დაიღუპა 40, დაშავდა 100 ადამიანი. 2011 წელი- ნორვეგია, ოსლო, დაიღუპა 80 ადამიანი. 2013 წელი ისლამისტების გაერთიანებული მოძრაობა. 2015 წელი- საფრანგეთი, პარიზი; დანია, კოპენჰაგენი.¹⁶³ 2015 წელი - თურქეთი, ანკარა, დაიღუპა 95, დაშავდა 245 ადამიანი.

ტერორიზმის გლობალურ მონაცემთა ბაზის (GTB), მონაცემებით 2014 წელს ტერორისტულ აქტებს შეეწირა 32.765 ადამიანის სიცოცხლე.

დღევანდელ დღეს "ისლამური სახელმწიფო" აღიარებულია ყველაზე სასიკვდილო ორგანიზაციად. მისი მებრძოლებმა 2015 წელს თავის თავზე აიღეს 6141 მკვლელის პასუხისმგებლობა 250-ზე მეტ ქალაქში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. „ბოკო ჰარამი“

¹⁶³ Challenges and Responses to Nuclear Security and Non-Proliferation 2015, Tbilisi International Forum for Regional Stability, Civil Council on defense and Security, Tbilisi, 2015

პასუხისმგებელია 5478 მკვლელობაზე, „თალიბანი“ - 4502 მკვლელობაზე, ხოლო „ალ-ქაიდა“ - 1620 მკვლელობაზე. საერთო ჯამში, 2015 წელს ტერორისტების ხელით მოკლულ იქნა 29 376 ადამიანი. 2014 წელს ტერორიზმის მიერ მიყენებული ზარალი შეადგენდა 105.8 მილიონ დოლარს, 2015 წელს ტერორიზმის მიერ მიყენებული ზარალი შეადგენდა 89.6 მლნ დოლარს.¹⁶⁴

2016 წელს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ტერაქტი ბრიუსელში 22 მარტს მოხდა. ტერორისტების სამიზნე ზავენტემის აეროპორტი და მალბეკის მეტროსადგური გახდა. პირველი 2 აფეთქება ბრიუსელის აეროპორტში, თვითმკვლელმა ტერორისტებმა განახორციელეს, რის შედეგად 14 ადამიანი დაიღუპა, 36 კი დაიჭრა. მეორე აფეთქება მეტროში მოხდა, რასაც 20 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 106 დაშავდა. მაშინ მომხდარზე პასუხისმგებლობა "ისლამურმა სახელმწიფომ" აიღო.

2015 წელს ყველაზე მასშტაბურ ტერაქტად მაინც ნიცას ტერაქტი მიიჩნევა. 2015 წლის პარიზის ტერაქტების შემდეგ საფრანგეთის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი დღე მიმდინარე წლის 14 ივლისი გახდა. შემზარავი ტერაქტი ქალაქ ნიცაში მოხდა, როდესაც ბასტილიის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მაღალი სიჩქარით მოძრავი მანქანა ხალხში შევარდა და 2 კილომეტრი გაიარა. მაშინ 86 ადამიანი, მათ შორის 10 ბავშვი დაიღუპა. დაშავებულთა რიცხვმა კი 300-ს გადააჭარბა.

2016 წლის ბოლო საზარელი თავდასხმა ევროპაში 19 დეკემბერს ბერლინში მოხდა. სატვირთო ავტომობილი საშობაო ბაზარში შეიჭრა და 80-მეტრამდე გაიარა, რის შედეგადაც 12 ადამიანი დაიღუპა, 48 კი დაშავდა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა ისევ "ისლამურმა სახელმწიფომ" აიღო.

¹⁶⁴ Атасунцев А. (2016, 11 20). *Терроризм шагает на Запад*. Retrieved from gazeta.ru: https://www.gazeta.ru/politics/2016/11/20_a_10350995.shtml

6.2. ტერორიზმის სტატისტიკა საქართველოში

საქართველოში ტერორისტული დანაშაულები ჯერ კიდევ მეფის რუსეთის პერიოდიდან ფიქსირდება. ტერორისტული აქტები, დივერსიები და პროვოკაციები საქართველოში 1921 წლის დასაწყისში, საქართველოში „წითელი არმიის“ შემოსვლიდან დაიწყო.

კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოს სამართალწარმოებაში რამდენიმე ფაქტი იქნა დაფიქსირებული, რომელთაც ტერორიზმის კვალიფიკაცია მიენიჭათ. აღნიშნულ ფაქტებს მიეკუთვნება 1961 წლის თებერვალში, თბილისში სტუმრად მყოფი ხრუმჭოვის ლიკვიდაციის მცდელობა.

აღრე ტერორისტული აქტები ძირითადად საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ხდებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კარგა ხნის მანძილზე, ქვეყანაში ტერორისტული დანაშაული ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რასაც ასეულობით ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეეწირა.¹⁶⁵

ტერორისტული აქტები განხორციელდა შემდეგ პიროვნებებზე: ნიკა კეკელიძე, სოლიკო ხაბეიშვილი, გია გულუა, გია ყარყარაშვილი, გია ჭანტურია, გურამ თევზაძე, ნუგზარ შევარდნაძე, ჯაბა იოსელიანი, თუმცა იმ ხანად საქართველოში ტერორისტული აქტები ყველაზე მეტად ქვეყნის მეთაურ ედუარდ შევარდნაძის მიმართ განხორციელდა. მის მიმართ ტერორისტული აფეთქება ოთხჯერ დაიგეგმა. ტერორისტებმა მიზანს ვერც ერთხელ მიაღწიეს. გამოძიების მტკიცებით, ქვეყნის პირველი პირის მკვლელობის მიზანი ხელისუფლების შეცვლა იყო.¹⁶⁶

2004 წელს განხორციელდა ტერორისტული აქტების მთელი სერია, რომელიც ძირითადად ოსი სეპარატისტების დაჯგუფებამ განახორციელა, რაც რუსეთში დაიგეგმა. მათ ქმედებებს ზიანი უნდა მიეყენებინა საქართველოს ენერგოსისტემის,

¹⁶⁵ Glonti G. (2006). *Analyses of International Cooperation in the Fight against International Terrorism in Georgia: Organizations & Approaches. Materials of International NATO*. Washington, USA.

¹⁶⁶ გაზეთი "ჯორჯიან თაიმსი". (2001, 10 18-25).

კავშირგაბმულობისა და სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებისთვის, რაც საბოლოოდ ქვეყნის დასუსტებას გამოიწვევდა.¹⁶⁷

2005 წლის 19 აპრილს პარლამენტის თავმჯდომარეს სახელმწიფო დაცვის სამსახურიდან აცნობეს პარლამენტში ნაღმის არსებობის შესახებ, რამაც გამოიწვია საქართველოს პარლამენტში სამუშაო პროცესის შეწყვეტა რამდენიმე საათით, რადგანაც საჭირო გახდა პარლამენტარების ევაკუაცია, თუმცა პარლამენტის შემოწმებისას ნაღმი ვერ იპოვეს. ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა ამ დროისათვის. 2005 წელს უამრავი ცრუ შეტყობინებები განხორციელდა.

2005 წლის 3 აგვისტოს, ა.შ.შ.-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტის დროს ადგილი ჰქონდა ტერორისტული აქტის მოწყობის მცდელობას, როდესაც ვ. არუთინიანმა ისროლა ტრიბუნისკენ ხელნაკეთი ყუმბარა. აღნიშნულ საკითხზე აღძრულ იქნა საქმე 323-ე მუხლით. საქმე იქნა გახსნილი.

2005 წელს განხორციელდა ასევე ტერორისტული აქტი გორის სამხარეო პოლიციის შენობასთან, რომელსაც 3 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.¹⁶⁸

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მაჩვენებლის მიხედვით, 2006-2007 წლებში მომხდარი ტერორისტული აქტების მაჩვენებელი 0-ს წარმოადგენდა, ანუ არცერთი ტერორისტული აქტი არ დაფიქსირებულა. 2008 წელს მომხდარი ტერორისტული აქტები 12 თვის მაჩვენებლით არის 3 და არცერთი მათგანია გახსნილი. 2009 წელს მომხდარი ტერორისტული აქტები 12 თვის მაჩვენებლით არის 2 და ამ 2-დან მხოლოდ 1 ტერორისტული აქტია გახსნილი.

2015 წლის საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა გამოძიება ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ ე.წ. წარმომადგენლის აიუფ ბორჩაშვილის და მისი დაჯგუფების წევრების (გ. კუპრავა, გ. ხუტუნიშვილი და დ. ფირისებია)

¹⁶⁷ ნატოს გენერალური მდივნის ლორდ ჯორჯ რობერსტონის 2002 წლის 17 აპრილის ათენში საერთაშორისო კონფერენციაზე ~ახალი უსაფრთხოების ქსელი XXI საუკუნისათვის" გამოსვლის ტექსტი.

¹⁶⁸ ჭელიძე ს. ტერორიზმის გამოწვევები საქართველოში. (2011). კრიმინოლოგი. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი 1(6) . გვ. 11

წინააღმდეგ. საქმე აღძრულია სსკ-ს 327¹ (ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის ან ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის პირის გადაბირება) და 328 (უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება ან ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება) მუხლებით. 2016 წლის 7 მარტს დასრულდა მათი სასამართლო პროცესი. თბილისის საქალაქო სასამართლომ აიუფ ბორჩაშვილს 14 წლით, გიორგი ხუტუნაშვილს 11 წლით, დავით ფირისებიას კი, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დაჯგუფების კიდევ ერთ წევრთან გიორგი კუპრავასთან პროკურატურამ გააფორმა საპროცესო შეთანხმება, რის შედეგადაც მას სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და პირობითი 5 წლიანი პატიმრობა, 6 წლიანი გამოსაცდელი ვადით.

ოპერატიული ღონისძიებები გატარდა აჭარასა და გურიაშიც. შედეგად დადგინდა იმ პირთა ვინაობა რომელთაც სავარაუდოდ ე.წ. ერთგულების ფიცი მისცეს „ისლამურ სახელმწიფოს“. მათ საცხოვრებელ სახლებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა სხვადასხვა ნივთმტკიცებები, მათ შორის, ცეცხლსასროლი იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობები. დაკავებულ იქნა 4 პირი.¹⁶⁹

2016 წლის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის ტერორისტული აქტივობების საფუძველზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის 9 საქმეზე, რამდენიმე პირზე დაწყებულია სისხლის სამართლებრივი დევნა. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში ბრალდების მხარის სასარგებლოდ, დასრულდა 2015 წელს აღძრული რამდენიმე რეზონანსული სისხლის სამართლის საქმე.¹⁷⁰

2017 წლის 21-22 ნოემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საერთაშორისო ტერორისტის, აჰმედ ჩატაევისა და მისი კარგად ორგანიზებული, ტერორისტული დაჯგუფების წინააღმდეგ სპეცოპერაცია ჩაატარა. აჰმედ ჩატაევისა და მისი ე.წ. დაცვის წევრებთან გამართული შეტაკებისას დაიღუპა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი ივანე გოლაშვილი, დაიჭრა 4 სამართალდამცველი. თავიდან იქნა

¹⁶⁹ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.08.2015-31.12.2015. გვ.9-11.

¹⁷⁰ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2016-31.12.2016. გვ.12-15

აცილებული მსხვერპლი მშვიდობიან მოქალაქეებს შორის. მოგვიანებით გამოვლენილ იქნენ ჩატაევის ტერორისტულ ჯგუფთან კავშირზე მყოფი სხვა პირებიც. 2017 წლის 26 დეკემბერს თბილისსა და ახმეტის რაიონში, აღნიშნული პირების დაკავების მიზნით, ჩატარდა სპეცოპერაცია. დაკავებულ იქნა 5 პირი. ერთ-ერთი მათგანი მოგვიანებით, სპეცოპერაციის დროს მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა (თ.მაჩალიკაშვილი).

სუს-ის ანგარიშის მიხედვით 2017 წლის მონაცემებით სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში საქართველოს დაახლოებით 30 მოქალაქე იბრძვის და მათი ქვეყანაში დაბრუნების ფაქტი არ დაფიქსირებულა. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 6 საქმეზე. გატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის შედეგად, დადგენილ იქნა ტერორიზმთან შესაძლო კავშირის მქონე რამდენიმე ათასი პირი, რომლებმაც, შესაძლოა, საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტულად გამოყენება სცადონ. აღნიშნული პირების მიმართ გატარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.¹⁷¹

2018 წლის საანგარიშო პერიოდში გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ტერორიზმის თავით გათვალისწინებული დანაშაულებების 10 საქმეზე, ასევე გაგრძელდა საგამოძიებო მოქმედებები 2017 წელს დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებზე. საანგარიშო პერიოდში დადგინდა რამდენიმე პირი, რომლებიც ინტერნეტსივრცის, მათ შორის, სოციალური ქსელების გამოყენებით, ტერორისტული ორგანიზაციების იდეებს ავრცელებდნენ. აღნიშნული პირების მიმართ გატარდა კანონით გათვალისწინებული პროცედურები.¹⁷²

¹⁷¹ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2017-31.12.2017. გვ.12-14

¹⁷² საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2018-31.12.2018. გვ.9-12.

დასკვნა

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებები მოხდა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო. ეს ინსტიტუტი თითქმის ათწლეულის მანძილზე მუშაობს და მისი წევრი ქვეყნები ცდილობენ ერთიანი ძალებით გაუმკლავდნენ ისეთ დანაშაულში ბრალდებულებს როგორცაა გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, სამხედრო დანაშაული და აგრესია. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო განვითარების ეტაპზეა და ჯერ კიდევ იმყოფება ჩაკეტილ მდგომარეობაში, თავისი ლეგიტიმურობისა და ავტორიტეტის გამო და კომპლემენტარობის პრინციპიდან გამომდინარე უშვებს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვას, ნაციონალური სახელმწიფოების მიერ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განვითარების პარალელურად უკანასკნელ ათასწლეულებში ტერორიზმმა საგრძნობლად იმატა და თავისი სისასტიკით გაუთანაბრდა რომის სტატუტის იურისდიქციაში შემავალ დანაშაულთა კატეგორიას, რაც დასტურდება მე-6 თავში განხილული ტერორიზმის სტატისტიკითაც. ტერორისტული ორგანიზაციები მოქმედებენ დამოუკიდებლად თუ სახელმწიფოს ეგიდით, მიზნად ისახავენ მშვიდობიან მოსახლეობის მიმართ ძალადობის განხორციელებას, იმ იმედით, რომ მათი დანაშაულებრივი ქმედებებით ზეგავლენა მოახდენონ სახელმწიფოებზე გადაწყვეტილების მიღების კუთხით. მიუხედავად იმისა რომ, ტერორისტები აფეთქებდნენ ბომბებს ავტობუსებში, მეტროებში, ქუჩებში, მატარებლებში, სავაჭრო ცენტრებში, აეროპორტებში, თვითმფრინავებში... ისინი და მათი მეთაურები, ლიდერები დაუსჯელები არიან, რაც შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ მაპროვოცირებელ ფაქტორად, რომ ისინი მომავალში უფრო დახვეწენ თავინთი მოქმედების სტილს და მათთვის სასარგებლო შედეგის მიღების სანაცვლოდ ყველანაირი გზით შეეცდებიან მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ზიანის მიყენებას.

აღსანიშნავია იმ სახელმწიფოთა ქმედებები, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ტერორისტული აქტები და მისი შედეგები, ისინი იღებენ თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ზომებს, რათა უკეთ დაიცვან თავი ახალი საფრთხისგან, რომლიც, თავისთავად დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. გამომდინარე აქედან ლეგიტიმურად ისმევა კითხვა, თუ სახელმწიფოები ასე თავდაუზოგავად ებრძვიან ტერორიზმს, რატომ არ უნდა შედიოდეს ის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „ICC“-ს იურისდიქციაში? აღნიშნულ კითხვაზე პასუხი უფრო მეტად არის პოლიტიკური და პოლიტიკის შეზღუდვის საკითხი, ვიდრე სამართლებრივი. წინა თავებში განვიხილეთ 06 მიზეზი, თუ რატომ არ იქნა 1998 წლის რომის კონფერენციაზე ტერორიზმი შეტანილი „ICC“-ის იურისდიქციაში¹⁷³, აღნიშნულიდან გამომდინარე მივდივართ დასკვნამდე, რომ ის ექვსი ძირითადი პრობლემიდან, რომლებიც ხელს უშლიდნენ ტერორიზმს რომის სტატუტის იურისდიქციაში მოქცევაში ხუთი პრობლემა აღარ არსებობს. დღეს მხოლოდ ერთი - ტერორიზმის დანაშაულის დეფინიციის პრობლემა არის დარჩენილი, მაგრამ აღნიშნული პრობლემაც ნაწილობრივ არის დაძლეული, კანონმდებლებმა და პრაქტიკამ ჩამოაყალიბეს საყოველთაო აზრი, თუ რა არის ტერორიზმი. ეს საყოველთაო განმარტება, ეხება ტერორიზმის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ საერთაშორისო განმარტებას, რომელიც მოცემულია 1999 წლის **ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მე-2 მუხლში**¹⁷⁴ აღნიშნული კონვენციის მონაწილეა რომის სტატუტის მონაწილეთა 90%-ზე მეტი სახელმწიფო, ასევე მოიაზრება სხვა კონტრტერორისტული კონვენციებიც, რომლებიც აღიარებენ ტერორიზმის როგორც საერთაშორისო დანაშაულს, აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ჩვენეული კონცეფცია ტერორიზმის დეფინიციაზე, რომლის მიხედვითაც "ტერორიზმი" მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- ა) დანაშაულს განსაზღვრულს საერთაშორისო კონტრტერორისტული კონვენციებით;
- ბ) ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში საომარი მოქმედებების დროს სამოქალაქო ან სხვა პირისათვის სიკვდილის ან

¹⁷³06 მიზეზი, რის გამოც არ იქნა შეტანილი რომის კონფერენციაზე ტერორიზმი „ICC“-ს იურისდიქციაში.

¹⁷⁴ საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ 1999 წელი „გაერო“

სერიოზული სხეულის დაზიანების მიყენებას, როდესაც ასეთი ქმედების მიზნია მოსახლეობის დაშინება, ანდა სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება განახორციელონ ან თავი შეიკავონ გარკვეული ქმედებისგან. მოცემული განმარტება არის ყველაზე მისაღები და პრაქტიკული. აღნიშნული განმარტება ეხება თანამედროვე გამოწვევებსაც, როგორც არასახელმწიფო სუბიექტების მიერ გამოვლენილი ტერორიზმი და კიბერტერორიზმი, ასე რომ, ყველაზე რთული საკითხი - ტერორიზმის განმარტებაც კი, არ არის დაუძლეველი.

უადაოა, რომ ტერორიზმის დანაშაულის „ICC“-ის იურისდიქციაში მოხვედრის შემთხვევაში ტერორისტების სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა ეფუძნებოდეს ბუნდოვნებას, ტერორიზმის დანაშაული კი ფორმულირებულ უნდა იყოს დამოკიდებულ დანაშაულად. რომის წესდებაში ცვლილების შეტანა, დამოუკიდებელი დანაშაულის - ტერორიზმის შეტანის გზით, მოითხოვს დიდ პოლიტიკური და დიპლომატიურ ძალისხმევას. „ICC“-ის უპირატესობა, ძირითადად, ნორმატიულ ფასეულობებში მდგომარეობს, როგორცაა პროცესის მონაწილეთათვის უფლებების უკეთ რეალიზება, ნეიტრალური და მიუკერძოებელი სასამართლოს არსებობა, იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე სახელმწიფოს აქვს ურთიერთ საწინააღმდეგო იურისდიქციის მოთხოვნები „ICC“-ს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებული სირთულეების მოგვარებაში. პირველ რიგში, „ICC“-ის იურისდიქციაში ტერორიზმის შეტანა, დააჩქარებს „ICC“-ის მონაწილე წევრ სახელმწიფოებს მიიღონ ტერორიზმის საერთო დეფინიცია, აქ შეგვიძლია გამოვიყენოთ აგრესიის დანაშაულის ანალოგია, იმ კუთხით, რომ სტატუტის მიღების დროს არ არსებობდა „აგრესიის დანაშაულის“ ერთიანი განსაზღვრება, რასთან დაკავშირებითაც მონაწილე სახელმწიფოები სტატუტის მიღებიდან 12 წლის მერე ჩამოყალიბდნენ, შესაბამისად ტერორიზმის „ICC“-ის იურისდიქციაში მოქცევის შემთხვევაში სტატუტის მონაწილე 123 სახელმწიფოს ერთიანი ძალისხმევა მიქცეული იქნება ტერორიზმის საერთო დეფინიციის შემუშავებისკენ, რაც თავისთავად უფრო გაამარტივებს მასთან ბრძოლას, ამასთან ერთიანი დეფინიციის განსაზღვრებამდე მონაწილე სახელმწიფოებს შეეძლებათ თავისი

მოქალაქეების უფლებების უკეთ რეალიზების მიზნით ამოქმედონ სტატუტის 124-ე მუხლი და ტერორიზმის საერთო დეფინიციის მიღებამდე პერიოდი გამოაცხადონ გარდამავალ პერიოდად.

მეორე „ICC“- ის მთავარი როლი არის კომპლემენტარობა, რაც გულისხმობს მისი მხრიდან უფლებამოსილების გამოყენებას მხოლოდ მაშინ, როდესაც უფლებამოსილი ქვეყანა უუნაროა ან არ სურს თავად სათანადოდ ჩაატაროს გამოძიება, განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა და მართლმსაჯულება. ამ დროს სახელმწიფოს სუვერენიტეტი არ არის დარღვეული, რადგან უპირველეს ყოვლისა, გამოყენებულ უნდა იქნეს შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოები

.მესამე - „ICC“ არის დამოუკიდებელი მიუკერძოებელი და ობიექტური ორგანიზაცია, იგი არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, რაც თავისმხრივ ამცირებს სასამართლო საქმეებთან დაკავშირებულ საკითხების პოლიტიზირებას.

დღევანდელი მოცემულობით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა როგორც შიდასახელმწიფოებრივ ასევე საერთაშორისო დონეზე იწვევს მიკერძოების განცდას, მაგალითად, პოლიტიკურმა მიზეზებმა შეიძლება გამოიწვიოს ზესახელმწიფოების მიერ ვეტოს უფლების გამოყენების რეალიზება, რაც ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას ეჭვ ქვეშ აყენებს, ხოლო „ICC“- ი ასეთ ელემენტს „ვეტოს“ არ იცნობს, რაც „ICC“- ს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ ერთ დამატებით პლიუსს მატებს.

გარდა ამისა, დღეის მდგომარეობით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მონაწილეა 123 ქვეყანა, რაც თავისმხრივ მის ლეგიტიმაციას ზრდის, ანიჭებს უზარმაზარ უფლებამოსილებას და კიდევ ერთხელ მოგვიწოდებს ტერორიზმის დანაშაული რომის სტატუტის იურისდიქციაში მოვაქციოთ, რაც იქნება ახალი საფეხური ტერორიზმის დანაშაულთან საბრძოლველად.

ბიბლიოგრაფია

1. სუჯაშვილი. დ. „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ - თბილისი, 2018 წელი. 264 გვ.
2. ხუციშვილი გ. „ტერორიზმი : რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ?“ [ქართ. და რუს. ენ.]. - თბილისი. გამომც: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთ. კვლევ. ცენტრი, 2003; გვ.43.
3. ზურაბაშვილი დ. „ ტერორიზმი - ეს აზროვნების სახეა Терроризм - это образ мышления“ - თბილისი. 2002;
4. გორაშვილი, გ: „ეთნიკურ-სეპარატისტული ტერორიზმის განვითარების საფრთხე საქართველოში და მისი პროფილაქტიკის გზები“ [რედ. გოჩა მამულაშვილი] ; საქ. ეროვნ. სამეცნ. ფონდი. - თბ. : უნივერსალი, 2010. - 176გვ. : ფოტ. ; 21სმ;
5. გახოკიძე.ჯ. „ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები“ - თბილისი 2007 წ. გვ.155-179.
6. გახოკიძე.ჯ. „ფარული გამოძიება სპეცსამსახურების საქმიანობაში და ადამიანის უფლებები“ მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე „თანამედროვე ტექნოლოგიები სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის აქტუალური პრობლემები“ - თბ.2017 წ.
7. ასათიანი გ. „თანამედროვე ტერორიზმი - წარმოშობის ისტორია, კლასიფიკაცია და პრევენციის საკითხები“ , თბილისი, 2017 წელი.
8. ტერორიზმის ქსელი : [ბროშურა]. - [ად.ა., წ.ა.]. – 24 გვ. : ფოტ. 27სმ;
9. სიმაშვილი თ. „საერთაშორისო ისლამური ტერორიზმი და "ალ-ქაიდა" : ("ალ-ქაიდადან" "ალ-ქაიდიზმამდე") / თენგიზ სიმაშვილი, გივი ლადალაშვილი ; [რედ. თეიმურაზ ვახტანგიშვილი]. - თბ., 2007. - 113 გვ. ; 20 სმ.. - რეზ. ინგლ. ენ.. - ბიბლიოგრ.: გვ. 107-111;
10. ურუშაძე მ: გლობალიზაცია-გლობალური ტერორიზმის საფრთხე / მერაბ ურუშაძე ; [რედ. მამია ებრალიძე]. - თბ. : უნივერსალი, 2007. - 211გვ. ; 20სმ;

11. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო / თსუ, საქ. აკად. აღმოსავლეთმცოდნ. ინ-ტი. - თბ. : თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. - 20სმ;
12. ბურდული გ. „სახელმწიფო ტერორიზმი : ისტორია და სინამდვილე“ - თბ. : ნაკადული, 1986. - 120გვ. ; 17სმ;
13. სანიკიძე გ: „ტერორიზმი-მართული პროცესები“ [რედ.: ვაჟა შუბითიძე, ფრიდონ სიხარულიძე] ; საქ. ეროვნ. აკად., ტერორიზმის გნოსეოლ., ისტ. ეტაპების, თანამედროვეობისა და პროფილაქტიკის საერთაშორ. ს/კ ცენტრი. - თბ. 2006. - 20სმ;
14. კვაჭაძე.მ. „სახელმწიფო ორგანოების როლი ტერორიზმთან ბრძოლაში - ამიერკავკასიის რეგიონი“. ჟურნალი „საერთაშორისო სამართალი“ N3-4, 1999 წ.
15. სუჯაშვილი.დ. „ტერორიზმი - საქართველოს საკანონმდებლო ჭრილში“. ჟურნალი „კრიმინოლოგი“ N1 (11-12). თბილისი 2016-2017. გვ.78-84.
16. სუჯაშვილი. დ. „სახელმწიფო ტერორიზმის ზოგიერთი ფორმის ისტორიული ასპექტები“. ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, N34, თბილისი 2016, გვ. 234.
17. სუჯაშვილი. დ. „ისლამური სახელმწიფოს“ ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული მახასიათებელი“. ჟურნალი „ბიზნეს ინჟინერინგი“ N4, თბილისი 2016, გვ. 187-189.
18. ტერორიზმი მეცნიერებაში : [კრებული / მთ. რედ.: თ. ჭყონია] ; საქ. მეცნ. აკად. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. - თბილისი. გამომც: მემატთანე, 1999 ;
19. ჭიდიტაშვილი, ა: ტერორიზმი თანამედროვეობის გლობალური პრობლემა / ანა ჭიდიტაშვილი ; [რედ. გიორგი ღლონტი]. - თბ. 2010. - 288გვ. : სქ. ; 28სმ;
20. რაზმაძე. რ. „ტერორიზმი კავკასიაში“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტოტო დისერტაცია“. თბილისი 2013.
21. ალფენიძე, მ: „საზოგადოებრივი ანტაგონიზმი: შეიარაღებული დაპირისპირებები, მათი ეკოლოგიური შედეგები და რეგიონების მდგრადი განვითარება“ / [რედ.: კობა ხარაძე] ; თსუ-ს სოხუმის ფილიალი. - თბ. : თსუ-ს სოხუმის ფილიალი, 2006 (ს/ს "კარტოგრაფია"). - 187გვ. : ცხრ. ; 20სმ;

22. საერთაშორისო სამართალი : [სახელმძღვ. სტუდ., რომლებიც სწავლობენ "იურისპრუდენციის" სპეციალობით] / [კ.კ. გასანოვი, ი.ა. კუზნეცოვი, დ.ა. ნიკონოვი [და სხვ.] ; ნ. ერიაშვილის რედ.. - თბ. გამომცემლობა - სამართლიანი საქართველო, 2010. - 412 გვ. ; 20სმ;
23. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. - თბ. : [ბონა კაუზა, 2010]. - 342გვ. 20სმ;
24. დიასამიძე მ: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი : ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილი : [სახელმძღვ. სამართლის სპეც. სტუდ. / რედ.: როსტომ გუნთაიშვილი]. - ბათუმი : აჭარა, 2004. - 467გვ. 20სმ;
25. კორკელია კ. „ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები“ (სტატიათა კრებული) თბილისი 2009 წელი; 296 გვ;
26. მაგდშადატი თ, გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, თბ., 2010. 635.გვ.
27. ზელოტები (მოშურნენი) - ქრისტიანობის ლექსიკონი, პიერო პეტროზილო, თბ. 2011.
28. გვარამია ვ. „ინტერპოლი და ევროპოლი “ საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2009. 311; გვ.
29. გვარამია ვ. „ საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადიცია “, თბილისი 2002. 128 გვ.
30. გვარამია ვ. „ ექსტრადიციაზე უარის თქმის იმპერატიული საფუძვლები “, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთელის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა; თბილისი 2005წ. 112 გვ.
31. სენარკლენი პ; არიფენი ი.,„საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე თეორიები და ამოცანები“, გამომც.ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2014. 191 გვ.
32. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, 2017. 415 გვ.

33. ნაკაშიძე გ., სტატია, „კიბერტერორიზმი - XXI საუკუნის მწვავე გამოწვევა“, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, №4 ივლისი-აგვისტო, 2012, 170 გვ.
34. კვიციანი ბ. სამაგისტრო ნაშრომი „კომპიუტერული დანაშაული“ (კიბერტერორიზმი), თბილისი, 2018 წელი. 80. გვ.
35. Политический режимы и преступность. В.Н.Бурлакова Ю.Н. Волкова В.П. Салникова. Санкт-Петербург 2001г – 345 СТ;
36. Террооризм и правовое регулирование противодействия ему Ю.С. Горбунов монография Москва 2008 г- 258 СТ;
- 37.Террооризм- Глобальная Проблема Современности В. Замковой М. Ильчиков Москва Фирма гардарика 1996 г -156 СТ;
38. 28.Ю.В. Чуфаровский, Терроризм - глобальная проблема современности (методологический анализ) // Следователь, 1998. №5
39. ВИШНЯКОВА Я.Д „ОСНОВЫ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ ТЕРРОРИЗМУ“ Под редакцией Я.Д.ВИШНЯКОВА Москва. (2006). Ст.234;
- 40 .Ю. М. Антонян, Терроризм. Криминологическое и уголовно-правовое исследование. М. ЩИТ-М, 2001. с. 6.
41. М. Квачадзе. Характеристика современного терроризма. В кн. Российский ежегодник международного права.
42. Histoire du Terrorisme de l'Antiquite a al Qaida. Sous la direction de Gerard Chaliand et Arnaud Blin, Bayard, Paris, 2004, p.9.
43. И. И. Карпец, Преступное общество. М.,1983, с. 29.
44. Ю. С. Горбунов, Терроризм и правовое регулирование противодействия ему. Монография, М, 2008, с. 20
45. Ю. С. Горбунов, Терроризм и правовое регулирование противодействия ему. Монография, М. 2008, с. 21-22.
46. С.Г. Лозинский. История папства. 3-е изд. М.,1986, С. 20-21

47. Ф.А. Брокгауз, И.А. Ефрон. Энциклопедический словарь. СПб., 1894, Т. 25, С. 200.
48. А.А. Крамсков. Терроризм и западное христианство. Терроризм и религия. М.,2005.С.49.
49. История терроризма в Росси в документах, биографиях, исследованиях, Автор-составитель О. В. Будницкий. Ростов н/д: Феникс, 1996. с. 32-88.
50. В. Замкова, М. Ильчков, Терроризм-глобальная проблема современности, М., 1996, с. 4-5.
51. К.Н.Салимов Современные проблемы терроризма (криминологическое исследование) Диссертация на соискание ученой степени доктора юр.наук. 2000 с. 18.
52. G. E. Fuller, "Redrawing the World's Borders," World Policy Journal, Vol. 14, No. 1, Spring 1997. p. 100
53. I. O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins. Countering the New Terrorism. 1999 Rand, p.13.
54. C. Sterling, The Terror Network: The Secret War of International Terrorism (New York: Reader.s Digest Press, 1981)
55. Bassiouni, M. Cherif. 2002. "Legal Control of International Terrorism: A Policy-Oriented Assessment." Harvard International Law Journal 43:83-103.
56. Terrorism: national security policy and the home front. Stephen C.Pelletiere Editor May 15, 1995 Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, Pa 17013-5050. p. 53.
57. S. C.Pelletiere, Terrorism: national security policy and the home front. Editor May 15, 1995 Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, Pa 17013-5050. p.64.
58. B. M. Jenkins, International Terrorism The Other World War. 1985. Rand. p.12
59. Ф.А. Брокгауз, И.А. Ефрон. Энциклопедический словарь. СПб., 1894, Т. 25, Ст.
60. I. O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins. Countering the New Terrorism. 1999 Rand, p.13.
- 61.Ф.А. Брокгауз, И.А. Ефрон. Энциклопедический словарь. СПб., 1894, Т. 25, Ст. 200.
62. Larousse trois volumes en couleurs. Tome trois. Librairie Larousse, P., 1966. P. 828

63. С. И. Ожегов, Н.Ю. Шведова «Толковый словарь русского языка». М., 1995 г., с. 784
64. В. Даль, Толковый словарь живого великорусского языка. Т. IV. –М.: «Русский язык», 1980.
65. с. 401; С.И. Ожегов Словарь русского языка. –М.: «Русский язык», 1968.с. 784
66. Ю. М. Антонян Терроризм. Криминологическое и уголовно-правовое исследование. М.: Щит-М, 2001. с. 8
67. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი, გამომ: „ბონა კაუზა“, 1995 წლის 24 აგვისტო, 2019 წლის 15 ივნისის მდგომარეობით;
68. საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, თბილისი - 2007, 27 ივნისი;
69. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი - თბილისი გამომ: „ბონა კაუზა“, 1997 წლის 22 ივლისი, 2019 წლის 15 ივნისის მდგომარეობით;
70. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი - თბილისი გამომ: „ბონა კაუზა“, 1998 წლის 20 თებერვალი, 2019 წლის 15 ივნისის მდგომარეობით;
71. გაეროს ანტიტერორისტული კონვენციებისა და ოქმების კრებული. - თბილისი. გამომც: საქ. გაეროს ასოციაცია, 2002;
72. ევროპული კონვენცია „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, 1977 წლის 27 იანვარი.
73. გაეროს კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“, 1999 წლის 09 დეკემბერი.
74. გაეროს კონვენცია „ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ“ 2005 წლის 13 აპრილი.
75. ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“, 2005 წლის, 16 მაისი.
76. საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, ბრიუსელი, 2014 წლის 27 ივნისი.
77. Dr. D. J.W. Vanderhoof, The Criminology of Terrorism. The University of North Carolina at Pembroke, www.uncp.edu. გადამოწმებულია 2019 წ.

78. S.C. Res. 1377, Annex, U.N. Doc. S/res/1377 . www.un.org. გადამოწმებულია 15.06.2019 წ.
79. ქავთარაძე გ., ქრისტიანობის მოსვლა რომის იმპერიის სათავეში, http://www.lib.ge/body_text.php?6527, გადამოწმებულია 15.06. 2019 წ.
80. X. A. Льюренте. Критическая история испанской инквизиции. Том www.bookshelf.ath.cx/LIBRARY/CHI/contents.html. გადამოწმებულია 15.06. 2019 წ.
81. P.P. Рахманова, Инквизиция. www.atheism.ru/library/Rahmanova_1.phtml გადამოწმებულია 15.06.2019 წ.
82. X. A. Льюренте. Критическая история испанской инквизиции. Том I. www.bookshelf.ath.cx/LIBRARY/CHI/contents.html. 2010 . გადამოწმებულია 15.06. 2019 წ.
83. P.P. Рахманова, Инквизиция. www.atheism.ru/library/Rahmanova_1.phtml 2008. გადამოწმებულია 15.06.2019 წ.
84. Савельев С. (n.d.). *Терроризм – прибыльный бизнес для его организаторов*. Retrieved from <http://www.sec4all.net/modules/myarticles/article.php?storyid=607>; <http://www.inforos.ru> . გადამოწმებულია 15.06.2019 წ.
85. Лекарев С. (n.d.). *Особенности терактов на территории современной России*. Retrieved from www.oxpaha.ru, <http://www.sec4all.net/modules/myarticles/article.php?storyid=238>.. გადამოწმებულია 15.06.2019 წ.
86. www...ICC-cpi.int/Pages/Main.aspx . გადამოწმებულია 15.06. 2019 წ.